საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და ხრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის-ზის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—53

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარიცხებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., პირველ გვერდზე—25 კ. საზღვ.—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 235 (1390)

ხვალინდელი ნომერი შეიცავს 6 გვ.

დღიური

— გარდაიცვალა ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს მდივანი ფრედ ბრამლი.
— საფრანგეთის იუსტიციის მინისტრად დე-მონზი დაინიშნა.
— ბერლინში საარჩევნო კრებაზე კომუნისტებსა და სოც.-დემოკრატებს შორის შეტაკება მოხდა.
— პეკინის სტუდენტები მოითხოვენ გარეშე საქმეთა მინისტრის გადაყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამწყვეტი მომენტი

ლოკარნოს კონფერენციაზე დადგა გადამწყვეტი მომენტი. „მოკავშირეებმა“ ამ შემთხვევაში მოახერხეს ერთიანი ფრონტით გამოსვლა გერმანიის წინააღმდეგ. და უკანასკნელის „შეურიგებლობასაც“ ბოლო ეღება.

შეხლა-შემოხლის მთავარ საგანს შეადგენს ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლი. თუ წინედ გერმანია ერთა ლიგაში შესვლის პირობად აღიარებდა მასზე ამ მუხლის გაუვრცელებლობას, დღეს შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ იგი ამ მოთხოვნაზე ხელს იღებს და ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ ის შევა ლიგაში მე-16-ე მუხლის საფუძველზე. როგორც ეტყობა, გერმანია თანხმდება „მოკავშირეთა“ სხვა მოთხოვნებზედაც, რომელთა მიღება მას ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკის იარაღად ხდის ევროპაში. მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა მაინც, კერძოდ ჩვენთვის, აქვს ხსენებულ მე-16-ე მუხლს, რომლის ძალით ინგლისი შეეცდება გერმანიის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გერმანიის ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა ცდილობს შტრეზემანის თითქმის უკვე გამორკვეულ კაპიტულიაციის ფაქტის შერბილებას, რათა დაამშვიდოს „საზოგადოებრივი აზრი“. „ფორვერტს“ იმასაც კი ამბობს, რომ მე-16-ე მუხლის საკითხი წმინდა თეორიული ხასიათისაა, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო. სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ამ შემთხვევაში უეჭველად საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილი ალაპარაკებს, მას, რა თქმა უნდა, არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, თუ გერმანია ჩაებმებოდა ანტისაბჭოთა კოალიციაში. ზოგიერთი სხვა გაზეთები აცხადებენ, რომ მართალია, მე-16 მუხლი ჰქმნის მუქარას ევროპისათვის, მაგრამ „საჭიროა ისეთი ფორმულა, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის ნეიტრალიტეტსო“. გერმანიის დელეგაციაც „საზოგადოებრივი აზრის“ თვალის ასახვევად ცდილობს მიაღწიოს ამ საკითხში თუ გინდ უმნიშვნელო ფორმალურ დათმობას, იმის დაპირებას „მოკავშირეთა“ მხრით, რომ ეს საკითხი მომავალში განხილული იქნება ერთა ლიგის საბჭოს თუ სესიის მიერ. საეჭვოა, რომ გერმანიამ ასეთი უმნიშვნელო სიტყვიერი დაპირებაც მიიღოს. ეს კიდეც რო მოხდეს, ამას არავითარი ღირებულება არ ექნება, რამდენადაც ლიგაში გაბატონებულია ინგლისი, რომელიც ყოველთვის გაიყვანს იქ თავის თვალსაზრისს.

გერმანიის კაპიტულიაციის საფასურად მას აღუთქვამენ მეორე ხარისხოვან დათმობებს—კელნის ზონის დაცლის დაჩქარებას, რეინის ოლქში საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქებას, დათმობას განიარაღების საკითხში, რომელიც უმთავრესად ეხება პოლიციის ორგანიზაციას გერმანიის მუშათა კლასთან საბრძოლველად.

რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში? საგულისხმოა ნაციონალისტურ „კრეიც-ცეიტუნგის“ განცხადება, რომ „გერმანია საჭიროა ორივე მხარისათვის (ინგლისი და საბჭოთა კავშირი)' ამიტომ ჩვენ რაც შეიძლება ძვირად უნდა გავყიდოთ ჩვენი ამა თუ იმ მხარისათვის მიმხრობა“-ო. თავისთავად ცხადია, გერმანიას სურს გამოიყენოს თავისი მდგომარეობა ორივე მხრით. საბჭოთა კავშირთან დაახლოვებით (რომლის ფაქტები ჩვენ აღნიშნული გვქონდა) გავლენა მოახდინოს ინგლის-საფრანგეთზე, რომ მათ რაიმე შეღავათი თუ დათმობა „გამოცინცლოს“; მეორე მხრივ ანტანტასთან დაკავშირება მას, მისი აზრით, ვითომ ერთგვარ „კოზირს“ აძლევს ხელში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში.

ეხლა არ შეიძლება იმის თქმა, თუ რას მისცემს გერმანიას ეს ორმაგი თამაში. როგორც „როტე ფანე“-ს ლოკარნოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ინგლისელებს საიდუმლოდ წინადადება მიუციათ გერმანიის დელეგაციისათვის, რათა უკანასკნელმა იშუამდგომლოს ერთა ლიგის წინაშე რაპალოს ხელშეკრულების გასაუქმებლად, რომელი ხელშეკრულებაც ვითომდა „განუხორციელებელი“ შეიქმნა. ეს გაკვეთილად გამოადგება შტრეზემანს, რომელიც რიხით ლაპარაკობს გერმანიის დამოუკიდებელ პოლიტიკაზე, მის საკუთარ ორიენტაციაზე.

ინგლისი, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შეეცდება, რათა გერმანია, დაქვემდებარებული ერთა ლიგისადმი, ჩამოაშოროს საბჭოთა კავშირს და მის მოწინააღმდეგე ბანაკში მოაქციოს, რაც დამღუპველი იქნება პირველ ყოვლისა თვით გერმანიისათვის. ამიტომ მას მართებს მეტი სიმტკიცის გამოჩენა, რომ „მოჩვენებითმა“ შეთანხმებამ ინგლის-საფრანგეთთან არ გამოიწვიოს იმ ნამდვილი სარგებლობის დაკარგვა, რომელსაც იძლევა მისი დაახლოვება საბჭოთა რესპუბლიკებთან.

შინა-მრეწველობის გამოკვლევისათვის

ამ დღეებში გამოქვეყნებულ იქნა მთავრობის დადგენილება შინამრეწველობის და ხელოსნობის წარმოების გამოკვლევის შესახებ სოფლად. სათანადო მუშაობა დაიწყება 15 ამა ოქტომბერს და უნდა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში. გამოკვლევის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს, ხოლო მისი ტეხნიკური განხორციელება ადგილობრივ თემის და სოფლის საბჭოებს. უკანასკნელთ გამოკვლევის ჩასატარებლათ უფლება ეძლევათ გამოიყენონ სხვადასხვა უწყებების ადგილობრივი თანამშრომლები.

პარტიისა და ხელისუფლების მხრით შინა-მრეწველობას და ხელოსნობას ბოლო ხანებში უდიდესი ყურადღება ექცევა. ამ დარგის განვითარება მიჩნეულია ერთ-ერთ საშუალებად სოფლად სიღატაკის მოსპობის და უმუშევრობის შემცირების, აგრეთვე საქონლის ნაკლებობის დაძლევის საქმეში. მთავრობა იღებს ყოველგვარ ზომებს შინა-მრეწველობის აღორძინება-გაფართოებისათვის; შინამრეწველთ ეძლევათ სხვადასხვა შეღავათები და ნივთიერი დახმარება; სწარმოებს მათი შეკავშირება, კოოპერატიული გაერთიანება.

მაგრამ რომ მიღებულ იქნეს ამ მხრივ მიზან-შეწონილი ღონისძიებანი, საჭიროა პირველყოვლისა ვიცოდეთ, თუ რანაირია ნამდვილათ შინამრეწველობის მდგომარეობა და რა საჭიროებები აქვს მას, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია. საკითხის დაწვრილებითი გამოკვლევა საფუძვლათ უნდა დაედვას ჩვენს საქმიანობას ამ დარგში, ისე როგორც ეს ხდება საერთოდ მშენებლობის სხვა დარგებში.

მეცნიერულად დამუშავებული მასალა შინამრეწველობის შესახებ ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება; გვაქვს მხოლოდ დაახლოვებითი ცნობები. ამ ცნობების მიხედვით შინამრეწველობაში ჩაბმულია 50,000 კომლი. შინამრეწველობა ყოველწლიურად იძლევა 7.500.000 მანეთის პროდუქციას. ჩვენში უმთავრესად განვითარებულია მეაბრეშუმეობა, შალის, ნაბდების და ხალიჩების დამზადება. კალათების და შინაური მოწყობილობის სხვა საგნების დაწნა, თიხის დამუშავება, ხის დამუშავება, ლითონის ნაწარმოებთა დამზადება და სხვა.

ეს ზერელე ცნობებიც ამტკიცებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შინამრეწველობას ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, მით უმეტეს, როცა საფაბრიკო-საქარხნო წარმოება ჩვენში ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტადაა განვითარებული.

ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი ამ დარგის აღორძინებას. ამას გულისხმობს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა, მიმართული სოფლად საწარმოო ძალების გაშლისკენ. ჯერ-ჯერობით კი ამ პოლიტიკამ ვერ მოასწრო საჭირო რეალური შედეგების გამოღება და შინა-მრეწველობა უეჭველად კრიზისს განიცდის.

რა ესაჭიროება ჩვენს შინა-მრეწველობას?—ნედლი მასალა, კრედიტი, ნაწარმოების გასაღება. ამ მხრივ საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ კიდეც გამოიტანა ამას წინეთ დადგენილება, რომლის თანახმად შინამრეწველობა შედის სახელმწიფო მომარაგების გეგმაში და მისი მოთხოვნილებანი ნედლეულსა და კრედიტზე უნდა იქნეს დაკმაყოფილებული სახელმწიფო მასშტაბით; აგრეთვე უნდა იქნას მოგვარებული შინაწარმოების პროდუქციის შესყიდვა სახელმწიფო ორგანოების მიერ.

დიდი მნიშვნელობა აქვს შინამრეწველობისათვის საინსტრუქტორო მუშაობის კარგათ დაყენებას. მრავალ დარგში ვადაეჩვივენ, ან წინათაც აქა-იქ უხეიროთ ამზადებდნენ ამა თუ იმ საგანს. საჭიროა გაუმჯობესებული ტეხნიკის, მხატვრული ელემენტის, თანამედროვე გემოვნების და სტილის შეტანა შინა-წარმოებაში. ამ გზით მისი პროდუქცია უფრო ფართოდ გავრცელდება და უცხოეთის ბაზარსაც მოიპოვებს. აუცილებლად უნდა შეიქმნას ინსტრუქტორთა მომზადებული კადრი შინამრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის.

ყველაფერი ამის მიღწევა მოსახერხებელი შეიქნება, თუ სახელმწიფო დახმარებასთან ერთად, თვით შინამრეწველნი დაირაზმებიან კოოპერატიულად. სახელმწიფო დახმარების მიღებაც ამ შემთხვევაში უფრო ადვილი გახდება და ის სათანადო ნაყოფსაც გამოიღებს. დაქსაქსული შინა-მრეწველნი თავს ვერ გაართმევენ დღევანდელი ეკონომიური სინამდვილის რთულ პირობებს, თავს ვერ დააღწევენ ეხლანდელ სიბეჩავეს. ამიტომ დაწყებული მუშაობა შინა-მრეწველთა გასაერთიანებლათ კოოპერაციაში უნდა გაძლიერდეს და დამთავრდეს ახლო მომავალში. ამ გზით შინამრეწველობა მოექცევა ქვეყნის მოწესრიგებულ მეურნეობის საერთო სისტემაში და მისი განვითარება ჩადგება ისეთ კალაპოტში, რომელიც სარგებლობას მოუტანს შინამრეწველობასაც და ხელს შეუწყობს სოციალისტურ ელემენტების ზრდას სოფლად.

შინა-მრეწველობის და ხელოსნობის წარმოების მომავალმა გამოკვლევამ ამ მხრივ უნდა მოგვცეს ამომწურავი მასალა, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდება რეალურ ღონისძიებათა გამომუშავება ამ დარგის გეგმაშეწონილ აღორძინებისათვის.

X.

ერთიანი ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ

გერმანია არსებითად სტოვებს პოზიციას, ხოლო ცდილობს ამის დამალვას რაიმე ფორმალურ დათმობის მიღებით მოკავშირეებისაგან

გერმანელ ს.-დ. ორგანო „ფორვერტს“ მხარს უჭერს საგარანტიო ხელშეკრულებას

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი სკშინსკი არ უჭერს მხარს საფრანგეთს

ინგლისის დელეგაციამ წინადადება მისცა გერმანელებს რაპალოს ხელშეკრულება „განუხორციელებლათ“ გამოაცხადონ

საგარანტიო ხელშეკრულების განხილვა

პარიზი, 11 ოქტ. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება ლოკარნოდან: 10 ოქტომბერს კონფერენციაზე განახლდა საგარანტიო ხელშეკრულების მეორე მუხლობრივი წაკითხვა. მუხლების უმრავლესობა მიღებული იქნა საბოლოო რედაქციით. დარჩენილი მუხლები განხილული იქნება შემდეგ სხდომაზე, 12 ოქტომბერს.

გერმანიის პოზიცია

ბერლინი, 11 ოქტომბერი. თანდათან ნათელი ხდება, რომ გერმანიის დელეგაცია ლოკარნოში წავა დათმობაზე. ეს დათმობა, რომელიც არსებითად დააკმაყოფილებს მოკავშირეებს, იმგვარად უნდა იყოს შეტანილი შეთანხმებაში, რომ გერმანიის მთავრობის პოლიტიკურ მოსაზრებებსაც ეთანხმებოდეს. ამისდამიხედვით, მთავრობის პოლიტიკის მომხრე გაზეთები ერთის მხრივ ხაზს უსვამენ მე-16 მუხლთან დაკავშირებულ საფრთხეებს, მეორის მხრივ ათავსებენ ისეთი დაწვრილებით ცნობებს ლოკარნოში წარმოებულ მოლაპარაკებების შესახებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გერმანიის დელეგაცია აწარმოებს მოლაპარაკებას მხოლოდ და მხოლოდ იმ ფორმალურ საკითხების გარშემო, რომელთა შესრულების შემდეგ გერმანია დასთანხმდება მოკავშირეების მოთხოვნილებებზე.

ასე მაგალითად, გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“ აცხადებს, **რომ ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლი წარმოადგენს საფრთხეს მთელი ევროპისათვის**, მაგრამ აქედან გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „ამიტომ საჭიროა ფორმულა, რომელიც უზრუნველყოფს გერმანიის ნეიტრალიტეტს“.

„**ფოსიშე ცეიტუნგის**“ კორესპონდენტი ლოკარნოდან იუწყება, თითქოს დასავლეთის სახელმწიფოები მზად არიან წავიდენ დათმობაზე გერმანიის მიმართ: მისცენ მას მანდატები კოლონიებზე და **დააჩქარონ რეინის მარჯვენა ნაპირების ევაკუაცია, თუ გერმანია დასთანხმდება მე-16 მუხლის სავალდებულოთ ცნობაზე.**

არა მარტო მე-16 მუხლის, არამედ სხვა სადაო საკითხებშიაც გერმანიის დელეგაცია აშკარად ცდილობს მიიღოს მხოლოდ წმინდა ფორმალური დათმობანი და ამ გვარად მიაღწიოს შეთანხმებას. ასე მაგალითად, ნაციონალისტების მოთხოვნილების გამო გადასინჯული იქნას მსოფლიო ომისათვის გერმანიის პასუხისმგებლობის საკითხი, „ბერლინერ ტაგებლატი“ აცხადებს, რომ გერმანიის მომავალი დელეგატი ერთა ლიგაში გააკეთებს ამის შესახებ მოხსენებას ლიგის კრებაზე, ან მოითხოვს კომისიის შედგენას ამ საკითხის განსახილველად.

ყველაზე მეტ მიდრეკილებას დათმობისაკენ იჩენს „ფორვერტსი“, რომელიც აღნიშნავს, რომ მე-16 მუხლის საკითხი არის წმინდა თეორეტიული საკითხი, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

ნაციონალისტური „კრეიცცეიტუნგი“ ეხება რა საგარანტიო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ინგლისის გეგმებს, გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: „გერმანია საჭიროა ორივე მხარისათვის (ინგლისი და საბჭოთა კავშირი), ამიტომ ჩვენ რაც შეიძლება ძვირათ უნდა გავჰყიდოთ ორიენტაციის არჩევა“.

„როტე ფანე“ გერმანიის მომავალი კაპიტულიაციის შესახებ

ბერლინი, 11 ოქტომ. გერმანიის კომპარტიის ორგანოს „როტე ფანეს“ კორესპონდენტი ლოკარნოდან გვაძლევს დაწვრილებითი ცნობებს გერმანიის მომავალ კაპიტულიაციის შესახებ: გერმანია უკამათოდ იღებს მე-16 მუხლს. ამის ნაცვლად გერმანიის საზოგადოებრივ აზრის დამშვიდების მიზნით, მოკავშირეები თანხმდებიან მე-16 მუხლისათვის უმნიშვნელო განმარტებების მიცემაზე, ამასთანავე მიდიან დათმობაზე გერმანიის მიმართ ზოგიერთ მეორეხარისხოვან საკითხებში,—მაგალითად აღუთქვამენ კელნის ზონის ჩქარა დაცლას, რეინის ოლქში საოკუპაციო რეჟიმის შესუსტებას, კოლონიალურ მანდატების მინიჭებას, და დათმობას განიარაღების საკითხში, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება შეიარაღებას და საპოლიციო არმიის ორგანიზაციას (ეს არმია გამოყენებული უნდა იქნეს გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიაში სამოქალაქო ომმა იფეთქა).

კორესპონდენტი დამატებით იუწყება, რომ **საფრანგეთის მოთხოვნილება გერმანიის ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარების გატარების შესახებ, გარკვეულათაა უკვე ჩამოყალიბებული.**

საფრანგეთი მოითხოვს, რათა მისი ჯარების გასატარებლათ მას დაეთმოს კელის არხი და მისი ნაპირები. მე-16 მუხლის საკითხში გერმანიის დელეგაცია დაკმაყოფილებულია ამ მუხლის განმარტებით, მაგრამ მას სურს მხოლოდ „ჯენტლმენური შეთანხმება“ (არაფორმალური დაპირება) ამ მუხლის შეცვლის შესახებ ახლო მომავალში გერმანიის განიარაღებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა ინგლისელებმა საიდუმლო წინადადება მისცეს გერმანიის დელეგაციას იშუამდგომლოს ერთა ლიგის წინაშე მე-19 მუხლის ძალით, რათა შეცვლილი იქნეს რაპალოს ხელშეკრულება, რომლის განხორციელება „შეუძლებელი აღმოჩნდა“.

„როტე ფანე“ ხაზს უსვამს, რომ დღემდის გერმანიის მთავრობას იმედი ჰქონდა მე-19 მუხლის ძალით აღეძრა საკითხი აღმოსავლეთის საზღვრების საკითხის გადასინჯვის შესახებ. ეხლა კი ეს მუხლი მიმართულია გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთ-დამოკიდებულების წინააღმდეგ, ამიტომ გერმანიის დელეგაციამ უნდა აირჩიოს: ან ერთა ლიგაში შესვლა და, მაშასადამე, რაპალოს ხელშეკრულების გაუქმება, ან უკანასკნელის შენარჩუნება.

სკშინსკის განცხადება

პარიზი, 11 ოქტ. ლოკარნოდან მიღებულ ცნობებით, პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ლოკარნოში სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მიზნით საყოველთაო მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ვარშავაში ჩიჩერინის ჩასვლის მნიშვნელობის შესახებ, სკშინსკიმ განაცხადა, რომ ის საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახ. კომისართან ერთად იხილავდა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირისათვის საინტერესო საკითხებს. ამ საკითხების განხილვა გაგრძელდება, სკშინსკის განცხადებით, რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ის თვით ინახულებს მოსკოვს.

„ენფორმასიონ“-ის ცნობით, სკშინსკი აღარ მოითხოვს საფრანგეთის ჯარებისათვის გერმანიის ტერიტორიაზე გატარების უფლების მინიჭებას, „იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთს თავს დაესხა საბჭოთა კავშირი“.

იტალია სავსებით ეთანხმება ინგლისს

რომი, 12 ოქტომბერი. „ჯორნალე დ'იტალია“-ს ცნობით, იტალიის დელეგაციამ ლოკარნოში გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„განსახილველად წარმოდგენილ საგარანტიო ხელშეკრულების პროექტზე არის იტალიის ხელისმოწერა, რაც არ ყოფილა პირველ ხელშეკრულებაზე, რომელიც შემუშავებული იყო ლონდონში იურისტების თათბირზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიის, როგორც ეს არაერთხელ განუცხადებიათ ჩვენს დელეგატებს, [illegible] მიიღოს მონაწილეობა საგარანტიო ხელშეკრულებაში იმ წინადადების საფუძველზე, რომელიც წარმოადგინა ინგლისმა გარანტიების შესახებ“.

„იდეა ნაციონალე“ არჩევს იტალიის დელეგაციის ამ განცხადებას და სწერს:

„შალოიამ (იტალიის დელეგატი ლოკარნოში) თავისი განცხადებით ცხადჰყო, რომ იტალია მოქმედობს ინგლისთან სრული შეთანხმებით“.

„დიდი ნაბიჯი წინ“

პარიზი, 12 ოქტომბერი. ლოკარნოდან მიღებული ცნობით, საფრანგეთის დელეგაციასთან ახლო მდგომი წრეები დარწმუნებული არიან, რომ გადადგმულია დიდი ნაბიჯი წინ საბოლოო შეთანხმებისაკენ. როგორც ჩანს, გერმანიის დელეგატები დარწმუნდენ, რომ ლოკარნოს კონფერენციაზე შეუძლებელია ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის შეცვლა და, რომ ეს მუხლი, ისევე როგორც რეინის საგარანტიო ხელშეკრულება, სრულებითაც არ წარმოადგენს ომის იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საფრანგეთის წრეებში ფიქრობენ, რომ ამჟამად გერმანიის დელეგატებს საშუალება უნდა მიეცეთ მოამზადონ ამ მხრივ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი და რომ აუცილებელია ისეთი ფორმულის გამონახვა, რომელიც გაუადვილებს გერმანიას მე-16-ე მუხლის მიღებას.

დიპლომატიური წვრილმანები და სერიოზული პოლიტიკური საკითხები

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 12 ოქტომ. „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

„განმარტებანი, რომლებიც მისცა ჩიჩერინმა გერმანიის და საერთაშორისო პრესას, არ მოეწონა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს—შტრეზემანს. თავის ინტერვიუში ლოკარნოში შტრეზემანმა განაცხადა, რომ ჩიჩერინის გამოსვლა არ შეიძლება ჩაითვალოს მაინც და მაინც ტაქტიკურ გამოსვლად: „ბერლინში სტუმრად ჩამოსული მეგობარი სახელმწიფოს გარეშე საქმეთა მინისტრი აძლევს გერმანიის მთავრობას და გერმანიის პრესას რჩევა-დარიგებას საგარეო პოლიტიკის საკითხებში“.

რომ შტრეზემანს მართლაც ჰქონდეს განზრახვა იბრძოლოს ანტანტის მიერ გერმანიისათვის დამღუპველი ვალდებულებათა თავზე მოხვევის წინააღმდეგ, ჩიჩერინის გამოსვლები და ამ გამოსვლებზე პრესის გამოხმაურება სასიამოვნო უნდა ყოფილიყო მისთვის, ვინაიდან ამით ძლიერდება ბრძოლა ანტანტის პრეტენზიების წინააღმდეგ.

გერმანიის გეოგრაფიული მდგომარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის წარმოადგენს მისთვის უდიდეს საფრთხეს და მოითხოვს ყველასაგან, ვისაც სურს არა აგიტაციის წარმოება, არამედ რეალური ურთიერთობის დამყარება გერმანიასთან, ამ გეოგრაფიული მდებარეობისათვის ანგარიშის გაწევას. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ ურჩევია გერმანიისათვის კავშირის გაწყვეტა დასავლეთის მეზობლებთან. ჩვენ მშვენივრათ გვესმის, რომ გერმანია უნდა შეუთანხმდეს საფრანგეთს; მაგრამ გერმანია საფრანგეთს კი არ უთანხმდება, არამედ ეძებს ინგლისის მფარველობას, რომელსაც მუქთად ვერ მიიღებს.

ბატონ შტრეზემანის ფორმულები არაფრად არ ვარგა, ვინაიდან ის ანგარიშს არ უწევს იმას, თუ როგორი დამოკიდებულება დასავლეთთან შეეფერება კარგ დამოკიდებულებას აღმოსავლეთთან. საბჭოთა დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა დახმარება გაეწია შტრეზემანისათვის და გერმანიის საზოგადოებრივი აზრისათვის—კონკრეტულათ ჩამოეყალიბებიათ საერთო ფორმულები. ჩიჩერინმა ეს ჩაიდინა აშკარად და დაბეჯითებით. ლოკარნოს კონფერენციის დასრულება გვაჩვენებს, რამდენად გაიგეს—შტრეზემანმა და გერმანიის დიპლომატიამ საქმის ვითარება“.

ფრედ ბრამლი

გარდაიცვალა ფრედ ბრამლი, ძველი მუშა, ბელადი ინგლისის ტრედ-იუნიონიზმისა, მდივანი ამ ტრედიუნიონების გენერალური საბჭოსი, მეგობარი საბჭოთა კავშირის. ის ეკუთვნოდა ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელთა იმ თაობას, რომელმაც განიცადა გავლენა ტრადიციული რეფორმიზმისა ინგლისის მუშათა მოძრაობაში, მაგრამ დღეს, ამ მოძრაობის ძველი ილიუზიების, მშვიდობიანი განვითარების იმედების დაკარგვასთან ერთად მაგრდება იმ პოზიციებზე, რომლებიც დამახასიათებელი შეიქნენ მემარცხენე ოპოზიციისათვის.

თავისი მსოფლმხედველობით ის განირჩეოდა კომუნისტებისაგან და ამის შესახებ მას არა ერთხელ განუცხადებია. მაგრამ მით უფრო აღსანიშნავია, რომ თავისი პირადი გამოცდილებით, და ინგლისის მუშათა მოძრაობის ტრადიციული მეთოდების კრიტიკული შეფასების გზით, ის მივიდა იმავე დასკვნამდე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მორიგ ამოცანების და საბჭოთა კავშირის მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც იზიარებს წითელი პროფინტერნი. ამ ახალ გზაზე ის შეეხეთა ამსტერდამელებს და მათ სოციალ-დემოკრატიულ ბელადებს. თავდაჯერილობამ, რომელიც ახასიათებდა მას სხვა მის თანამოაზრეებთან ერთად, არ შეუშალა მას ხელი, პირში წაეყენებია თავისი ყოფილი ამხანაგებისათვის საკმაოდ მწვავე ბრალდებანი. ერთი ასეთი შეტაკება არის აღსანიშნავი. ჩვენ ხელთ არის ტექსტი იმ სიტყვის, რომელიც მან წარმოსთქვა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე, რომელსაც ის დაესწრო ტრედ-იუნიონების გენერალური საბჭოს მანდატით. ის შეეხო სხვათა შორის დამსწრე სოციალ-დემოკრატებს და სიტყვის ამ ნაწილში განაცხადა შემდეგი:

„თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ რა საკითხებზედაც გინდათ ისე, რომ არ ჩავარდეთ გამოუთქმელი შიშისა და აღელვების პანიკურ მდგომარეობაში, როგორც ეს გემართებათ, როდესაც ვაგახსენდებათ ხოლმე რუსეთის საკითხი. ეს არის ჩემთვის გადაუწყვეტელი და გამოურკვეველი (მე ხომ მეცნიერი არა ვარ!) ფსიქოლოგიური პრობლემა, მაგრამ ეს არის ფაქტი. თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებითა და აუღელვებლათ იმსჯელოთ ფაშისტების ყაჩაღური გამოსვლების შესახებ იტალიაში; თქვენ შეგწევთ თავდაჭერილობა და სიმშვიდე ილაპარაკოთ პროფკავშირების სასტიკ დევნაზე სხვადასხვა ქვეყნებში; თქვენ შეგიძლიათ შეეხოთ მოქმედებას კაპიტალისტური მთავრობებისას, რომლებიც ყველა ქვეყნებში მიწასთანასწორებენ მუშათა ორგანიზაციებს და ყოველივე ამას სჩადიხართ ისე, რომ თქვენი სახე არ იღარება სრულიად კანონიერი ღელვებისა და აღშფოთების განცდით. მაგრამ საკმაოა დაიწყოთ ლაპარაკი რუსეთზე და მაშინვე აღმოჩნდება, რომ თქვენ შეპყრობილხართ მძვინვარე რაღაც საშინელი სენისა, რომლის შესახებ მე სიტყვას ვერ გავაგრძელებ, რადგან ვერ გამიგია რაში მდგომარეობს ეს ავათმყოფობა“.

ეს სენი, რომლითაც განუკურნებლად დაავადებულია რევოლიუციისა და პროლეტარიატის მოღალატე სოციალ-დემოკრატია, პრაქტიკულათ შეისწავლა უკანასკნელ ხანებში ინგლისის პროფმოძრაობის განსვენებულმა ბელადმა და სწორეთ ეს იყო სხვათა შორის იმის მიზეზი, რომ ის ასე კატეგორიულათა ასე გადაჭრით გამოდიოდა თავისი მეგობარ პერსელთან ერთად საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს; რომ ის ასე უკმეხად წაუდგა პირში, ინგლისში დაბრუნების შემდეგ, დელეგაციის ამ გამოსვლებით და აღშფოთებულ ფაფარ-აყრილ ბრიტანეთის ბურჟუაზიას; რომ ის გაბედულათ გამოვიდა სკარბოროს კონგრესზეც მოხსენებით ერთიან ფრონტის შესახებ და რომ დაბოლოს ამხანაგ ტომსკისთან ერთად ხელი მოაწერა ინგლის-საბჭოთა გაერთიანების კომიტეტის ისტორიულ მოწოდებას ყველა ქვეყნის პროლეტარიატისადმი, იმ მოწოდებას, რომელსაც გათახსირებული ორგანო გერმანელი მენშევიკებისა, „ფორვერტსი“ (29 სექტემბერი), უტიფრათ უწოდებს სამარცხვინო დოკუმენტს.

ჩვენ, კომუნისტებს, კანონიერი სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი შეხედულება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მორიგ საკითხებზე აქტიურ და ღრმა რწმენით აღსავსე დამცველებსა და გამტარებლებს ჰპოულობს მსხვილი მრეწველობის ქვეყნის პროფმოძრაობის თვით არა კომუნისტ ბელადებში, ჰპოულობს იმიტომ, რომ ეს შეხედულება გამოხატავს პროლეტარიატის მოძრაობის სწორ გზებს და მიზნებს.

ბრამლი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი დარჩება სიმბოლოთ პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებისა და მუდმივ მოწოდებათ გადამწყვეტ ბრძოლისაკენ ძველი მსოფლიოს წინააღმდეგ.

ნ. კ.

ფრედ ბრამლის გარდაცვალება

ფ. ბრამლის ბიოგრაფია

ლონდონი, 11 ოქტ. 9 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მდივანი **ფრედ ბრამლი**, ინგლისის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე.

ბრამლი დაიბადა 1874 წელს. სპეციალობით ხარატი იყო. ბრამლი ჯერ კიდევ ახალგაზრდა შევიდა ავეჯის მრეწველობის მუშათა გაერთიანებულ კავშირში შემდეგ ის გახდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრათ, არჩეულ იქნა ავეჯის მრეწველობის მუშათა კავშირის მდივნათ და შემდეგ ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს მდივნათ.

როგორც მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრე, ბრამლი თავგამოდებით იცავდა ისეთი ახალი ინტერნაციონალის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა ყველა პროფკავშირებში შეკავშირებულ პროლეტარიატს.

ბრამლი იყო პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის ინგლის-საბჭოთა კომიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.


ფრედ ბრამლი

1 წლის წინათ ფრედ ბრამლი ეწვია საბჭოთა კავშირს, როგორც ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის მდივანი. ამას წინად პროფკავშირთა ყრილობაზე სკარბოროში მან მოხსენება გააკეთა გენერალურ საბჭოს მუშაობის შესახებ პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის დარგში და გადაჭრით მოითხოვა ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მუშაობის მოწონება. ბრამლიმ ხელი მოაწერა აღნიშნულ კომიტეტის მოწოდებას.

პროფინტერნის და საკავშირო პროფსაბჭოს დეპეშები

მოსკოვი, 11 ოქტ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ და საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ გაუგზავნა ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს სამძიმრის დეპეშები ინგლისის პროფმოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის ფრედ ბრამლის სიკვდილის გამო.

საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ დაავალა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ინგლისში დასდოს ბრამლის კუბოზე გვირგვინი შემდეგი წარწერით: **„პიონერ-მებრძოლს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოსაგან“.**

ინგლისელ კონსერვატორების ყრილობა

მოითხოვენ კონსტიტუციის შეცვლას

ლონდონი, 11 ოქტომბერი. კონსერვატიული პარტიის კონფერენციამ ბრაიტონში დაადგინა წინადადება მისცეს მთავრობას შეიტანოს ზოგიერთი ცვლილებები ზედა (ლორდთა) და ქვედა (თემთა) პალატის კონსტიტუციაში.

როგორც ვიცით, ინგლისის ლიბერალურმა მთავრობამ 1911 წელს შესცვალა მანამდე არსებული კონსტიტუცია: შეზღუდა ლორდთა პალატის ზოგიერთი უფლებები. კონსერვატორები ამ ცვლილების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ დღემდე, რომ არ გამოეწვიათ უკმაყოფილება, ვერ პოულობდენ შემთხვევას გაეფართოებიათ ლორდების შეზღუდული უფლებები.

კონფერენცია მოითხოვს აგრეთვე სხვადასხვა გვარ რეფორმებს ზედა პალატაში.

შეტაკება საარჩევნო კრებაზე ბერლინში

ბერლინი, 11 ოქტ. სოციალ-დემოკრატების მიერ მოწვეული პირველი საარჩევნო კრება ბერლინში, რომელზედაც გამოვიდენ პარტიის ცნობილი ლიდერები შეიდემანი, კრისპინი და სხვა **დამთავრდა სერიოზული შეტაკებით კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.** შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ სიტყვა არ მისცეს კომუნისტ-ორატორს. სოციალ-დემოკრატები ილაშქრებდენ სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების ბლოკის წინააღმდეგ.

რეაქციის იერიშები

„საიდუმლო არქივი“

ბერლინი, 11 ოქტომბ. პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა კომუნისტურ გაზეთის რედაქციაში ბრესლავლში და დააპატიმრა მთელი რიგი თანამშრომლები.

ბერლინში პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა სოციალურ მეცნიერებათა არქივის შენობაში, ვითომდა იმ საბუთით, რომ იქ ვითომ არის მოთავსებული კომუნისტური პარტიის საიდუმლო არქივი. არქივის ყველა თანამშრომლები დროებით დაპატიმრებული არიან.

ჩეხიის კომუნისტების პროცესი

პრაღა, 11 ოქტ. კომუნისტ ილეკის, მაუზერის და სხვების პროცესზე მოწმეები აჩვენებენ, რომ ბრალდებულმა **ბრანდეისმა, რომელიც პარტიიდან იქნა გამორიცხული, გადასწყვიტა შურისძიება.** ბრანდეისის მტკიცება, რომ არსენალში დაწყობილ იარაღის შესახებ ცნობა მან გაუგზავნა ილეკს პარტიულ ორგანიზაციის ბლანკზე ბეჭედ დასმული, გაბათილებული იქნა.

ჩხრეკა „ლ'იუმანიტე“-ს რედაქციაში

პარიზი, 11 ოქტომბერი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება, რომ პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა საფრანგეთის კომპარტიის ორგანოს „ლაიუმანიტეს“ რედაქციაში და კონფისკაცია უყო რამდენიმე ათასს მოწოდებას საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

კომუნისტების დევნა სუმატრაზე

ბერლინი, 11 ოქტ. ჰოლანდიის პოლიციის რაზმმა კუნძულ სუმატრაზე დააპატიმრა გამოჩენილი კომუნისტები. დაპატიმრებამ დიდი მღელვარება გამოიწვია მცხოვრებლებში, **რომლებიც შეეცადენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.** ადგილობრივ კომუნისტურ პარტიაში ირიცხება 1300 წევრი. ადგილობრივ მთავრობის მიერ შექმნილ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიას მიმდევრები არა ჰყავს ქვეყანაში.

კომუნისტების დაპატიმრებით მთავრობა სცდილობს შექმნას ნიადაგი ამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიისათვის.

კომუნისტების დევნა იავაზე

ბერლინი, 11 ოქტ. ჰოლანდიის პარლამენტის დეპუტატმა კომუნისტმა **დე-ვიზერმა** კოლონიათა მინისტრს მისცა შეკითხვა ბატავიაში კუნძულის გუბერნატორსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის გამართულ თათბირის შესახებ. ამ თათბირზე იხილავდენ რეპრესიულ ღონისძიებებს კომუნისტების წინააღმდეგ. დევიზერმა მოითხოვა განმარტება სამარანგში კრებების აკრძალვის და მალაელთა გაზეთების „აპინოს“ რედაქტორის დაპატიმრების გამო.

მასიური დაპატიმრებანი რუმინეთში

ვენა, 11 ოქტ. მთელ რუმინეთში გრძელდება კომპარტიის წევრთა მასიური დაპატიმრებანი. დაპატიმრება მოხდა კიშინიოვში, გალაცში, ჩერნოვიცში და სხვ. „რემედასის“ შესახებ ფანტასტიური ცნობების გავრცელებით „ოხრანკა“ სცდილობს დაამტკიცოს, რომ დაპატიმრებულები ამზადებდენ შეთქმულებას სახელმწიფოს წინააღმდეგ და აგრეთვე ახალ აჯანყებას ბესარაბიაში.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოსკოვში ამ დღეებში განახლდება სავაჭრო მოლაპარაკება გერმანიასთან

პოლონეთში ძლიერ კმაყოფილი არიან საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაუმჯობესებით

ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის გამოსათხოვარი წერილი

„საბჭოთა შენობა მტკიცედ დგას"—„საბჭოთა მთავრობის სიმტკიცე ეჭვს გარეშეა"

ავსტრიელი რკინისგზელები დელეგაციას გზავნიან საბჭოთა კავშირში

სავაჭრო მოლაპარაკება გერმანიასთან

მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე

მოსკოვი, 12 ოქტ. 10 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი ფონკერნერი გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების მიზნით მოლაპარაკების საწარმოებლათ.

მასთან ერთად ჩამოვიდა გერმანიის გენერალური კონსული მოსკოვში შლეიზინგერი.

სადგურზე მათ შეხვდენ საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრები.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივები

პოლონეთში კმაყოფილი არიან.

ვარშავა, 11 ოქტ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ვოიკოვი გაემგზავრა მოსკოვში. გამგზავრების წინ მან მიიღო ვარშავის გაზეთების წარმომადგენლები და ესაუბრა მათ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. ვოიკოვის განცხადება მოთავსებულია ყველა გაზეთებში.

„ეხო ვარშავსკოე" აღნიშნავს, რომ ვოიკოვთან საუბარმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის პრესის წარმომადგენლებზე. **საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სავსებით საქმიანი, ციფრებით დასაბუთებული განცხადება და პოლონეთ-საბჭოთა ვაჭრობის გამოცოცხლების შედეგები მოწმობენ, გაზეთის სიტყვით, იმას, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ვითარდება ორივე ქვეყნის სასარგებლოდ.**

„რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ ჟურნალისტების საუბარს ვოიკოვთან დაესწრო პრესის წარმომადგენლების გაცილებით უფრო მეტი რაოდენობა, ვინემ ოდესმე წინად, და რომ ეს გარემოება დამახასიათებელია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

ავსტრიელ რკინისგზელების დელეგაცია

ვენა, 11 ოქტომბერი. ჩრდილოეთის რკინისგზის მემანქანეების და ცეცხლის გამჩაღებლების საერთო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს რკინისგზელთა პროფკავშირს გაგზავნოს დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია.

მოსკოვი, 12 ოქტ. 10 ოქტომბერს პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოში გაიმართა სხდომა ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის პატივსაცემად.

იმავე დღეს დელეგაცია გაიყო რამდენიმე **ჯგუფად** პროფესიების მიხედვით. ამ **ჯგუფებმა** ინახულეს პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები.

შეტაკება რუმინეთ-უნგრეთის საზღვარზე.

ვენა, 11 ოქტომ. **რუმინეთის** გაზეთის „ადევერულ"-ის ცნობით, რუმინეთ-უნგრეთის საზღვარზე სოფელ ჩოკომში მოხდა შეტაკება უნგრეთის ჟანდარმებსა და რუმინელ გლეხებს შორის. შეტაკების დროს მოკლულია 5 გლეხი, დაჭრილია მრავალი. შეტაკება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გლეხებმა უარი სთქვეს კვირას სათემო სამუშაოს შესრულებაზე.

ჩინეთის ამბები

ჩინეთი მოითხოვს საბაჟო ავტონომიას

პეკინი, 11 ოქტ. ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ საბაჟო კონფერენციაზე ვან-ჩჟენ-ტინმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ დელეგაცია მოითხოვს ჩინეთისათვის საბაჟო ავტონომიის მიცემას, ეს საკითხი პირველათ იქნება დასმული კონფერენციის დღის წესრიგში.

თუ უცხოეთის დელეგაციები უარს იტყვიან ამ საკითხის განხილვაზე, სთქვა ვან-ჩჟენ-ტინმა, მათ მოუხდებათ პეკინის ისტორიულ ნაშთების დათვალიერება, კონფერენცია კი შესწყვეტს მუშაობას.

პეკინის სტუდენტები მოითხოვენ გარეშე საქმეთა მინისტრის გადადგომას

პეკინი, 11 ოქტ. პეკინის სტუდენტთა კავშირმა მოითხოვა მთავრობისაგან გარეშე საქმეთა მინისტრის გადაყენება იმის გამო, რომ უკანასკნელი დაეთანხმა უცხოეთის დიპლომატების თვალსაზრისს 30 მაისს შანხაის დემონსტრაციის დახვრეტის საკითხში. თუ ეს მოთხოვნილება არ შეასრულეს, კავშირი მიმართავს გადამწყვეტ ზომებს.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის გამგზავრება

დელეგაცია რიკოვთან

მოსკოვი, 14 ოქტ. ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია მ ინახულა ამხ. რიკოვი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

გამგზავრება

10 ოქტომბერს დელეგაცია გაემგზავრა ლენინგრადში, საიდანაც დაბრუნდება ინგლისში.

გამოსათხოვარი წერილი

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. გამგზავრების წინ ინგლისის საპარლამენტო დელეგაციამ გადასცა საბჭოთა კავშირის მშრომელებს თავისი გამოსათხოვარი განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ შეურყეველი იმედი და რწმენა თავის და კავშირში შემავალ ყველა ერების მომავლისადმი—წარმოადგენს ერთ-ერთ თვალსაჩინო თავისებურობას, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის მდგომარეობას.

„აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევდით—ნათქვამია განცხადებაში—ადასტურებს ამ რწმენას და იმედს. თქვენ მუშაობაში აღებული გაქვთ სწორი ხაზი.

ჩვენთვის სავსებით ცხადია, რომ მსოფლიოს სამრეწველო, ეკონომიურ ისტორიაში ჩაიწერება ახალი ფურცელი.

მაგრამ ზოგი რამ უნდა იქნეს განხორციელებული დაუყოვნებლივ. მიზნათ უნდა დაისახოთ, რათა საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდებოდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების პროდუქციას. მუშებმა თავიანთი ინტერესების მიხედვით უნდა განავითარონ სისწრაფის და წესრიგის პრინციპი.

ჩვენის აზრით, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა დღევანდელი მთავრობის სიმტკიცე. საბჭოთა მშენებლობა მტკიცეთ სდგას. მისი მექანიზმი შეეფერება ხალხის ხასიათს. მისი მართვა-გამგეობის მეთოდებით უსათუოდ სწრაფად უნდა ჩაითვალოს".

თათბირი პარიზში

პარიზი, 11 ოქტ. მოსკოვის სახ. ბანკის პარიზის განყოფილებაში გაიმართა ცენტროსოიუზის და საფრანგეთ-ბელგიის კოოპერატიულ ბანკების წარმომადგენელთა კრება.

გამომუშავებულია საფრანგეთის და ბელგიის კოოპერატიულ ორგანიზაციებთან სავაჭრო და საბანკო თანამშრომლობის საერთო ფორმები.

ბელგიის წარმომადგენლების წინადადებით, გადასწყდა დაარსდეს მომავალში საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის და ბელგიის კოოპერატიულ ბანკების კონსორციუმი.

დე-მონზი—იუსტიციის მინისტრი

პარიზი, 11 ოქტ. სახალხო განათლების მინისტრი დე-მონზი დაინიშნა იუსტიციის მინისტრად.

ომი მაროკოში

პარიზი, 11 ოქტ. „ჰავასის" სააგენტო იუწყება ფეციდან, რომ საფრანგეთის კავალერიის რაზმებმა მიაღწიეს სადი-მუროკოს.

რეპრესიები 24 საათის გაფიცვის წინააღმდეგ

პარიზი, 12 ოქტომბერი. მაროკოს ომის წინააღმდეგ მიმართულ 24 საათის საპროტესტო გაფიცვის ჩასაშლელად მთავრობამ მიიღო სასტიკი რეპრესიული ზომები. აკრძალულია მიტინგები და დემონსტრაციები. საფრანგეთიდან გასახლებული იქნებიან ყველა უცხოელები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გაფიცვაში.

პარიზში მოწოდების ფურცლების დარიგების დროს დააპატიმრეს დეპუტატები ბერნუა, ოფრე და ბარუ. ვალანსიენში მიტინგის დამთავრების შემდეგ დააპატიმრეს გუი ქერომი და იურბი.

პალესტინელ არაბების მოთხოვნილებები.

იერუსალიმი, 11 ოქტ. პალესტინელ არაბთა აღმასკომმა წარუდგინა ინგლისის უმაღლეს კომისარს პალესტინაში ორი მემორანდუმი, რომლებშიაც მოითხოვს დაცული იქნეს უფლებები წვრილი გლეხობის, რომლის მიწებს ხელში იგდებენ კაპიტალისტები, და გადიდებული იქნეს საშუალებები სახალხო განათლებისათვის.

ბულგარეთის ს.-დ. პარტიის ყრილობა

ვენა, 11 ოქტომბერი. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტიამ უნდა იბრძოლოს ცანკოვის ჩამოსაგდებათ და ახალი დემოკრატიული მთავრობის შესადგენად, პარტიის დამოუკიდებელი ხაზის დაცვით,—ასე თავდება: „პარტია არ უნდა გაურბოდეს ამავე დროს შესაძლებელ კონკრეტიულ გადაწყვეტილებებს",—ბულგარეთის სოციალ-დემოკრატებმა უკანასკნელი ბუნდოვანი ფრაზით ღიად დასტოვეს საკითხი კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობის შესახებ ცანკოვის მთავრობის დაცემის შემდეგ.

შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს საალყო წესების გაუქმებას სახელმწიფოში, „უპასუხისმგებლო" მკვლელობათა შეწყვეტას, პროპორციონალურ საარჩევნო სისტემის აღდგენას და ზომების მიღებას მუშების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

პროფმოძრაობის საკითხის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პროფმოძრაობის მთლიანობა შესაძლებელია მხოლოდ ამსტერდამის ინტერნაციონალის ფარგლებში.

მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი

პარიზის ტრამვაის მუშების გაფიცვა

პარიზი, 11 ოქტომბერი. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ გამოაცხადა პარიზის ტრამვაის და ავტომუსების მოსამსახურეების გაფიცვა, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული მუშების ყველა მოთხოვნილებები, რომლებიც შეეხებიან სამუშაო ხელფასის გადიდებას და ამას წინანდელ გაფიცვის შემდეგ დათხოვნილ მუშების სამსახურში მიღებას.

საპროტესტო გაფიცვა

პარიზი, 11 ოქტომბერი. მოქმედების კომიტეტმა დანიშნა ორშაბათისათვის 24 საათის საყოველთაო გაფიცვა ნიშნად პროტესტისა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მაროკოში და სირიაში.

იტალია

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის აკრძალვა

ბერლინი, 11 ოქტომბერი. მუშათა საერთაშორისო დახმარების ცეკამ ბერლინში მიიღო იტალიის მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის მდივნისაგან ცნობა, რომ იტალიის პოლიციის დეკრეტით მუშათა საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზაცია იტალიაში ცხადდება დაშლილად და აკრძალულად.

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის იტალიის სექციამ გაუგზავნა მთავრობას პროტესტი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტი არის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის ორგანიზაცია, რომელსაც ვერ მოსპობს ვერავითარი აკრძალვა, და რომ კომიტეტი არ შესწყვეტს თავის მუშაობას ამ მიმართულებით.

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის აკრძალვა დაკავშირებულია იტალიის კომუნისტური პარტიის დევნასთან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ლენინგრადში მომხდარ წყალდიდობის გამო.

ლენინგრადი, 12 ოქტ. ძლიერი ქარიშხალის დროს, რამაც გამოიწვია ნევაზე წყალის აწევა და ნაწილობრივი წყალდიდობა, შეწყვეტილი იყო სატელეფონო კავშირი პსკოვთან, რეველთან და ვიბორგთან.

უხტომსკის გამოსათხოვარი წერილი.

მოსკოვი, 12 ოქტომბ. 1905 წელს მოსკოვში დეკემბრის აჯანყების დროს გმირულად დაღუპულ მემანქანის უხტომსკის ოჯახმა მოსკოვის „პარტის"-ში ჩამოიტანა ნაგლეჯი ქაღალდი—უხტომსკის გამოსათხოვარი წერილი. დაწერილია სიკვდილით დასჯის წინ. მოსკოვის „პარტის"-მა უხტომსკის წერილი გადასცა რევოლიუციის მუზეუმს.

დეკაბრისტის შვილიშვილი.

მოსკოვი, 12 ოქტ. სოფელ რიბინსკში, ტვერის გუბ. სცხოვრობს ცნობილ დეკაბრისტის შესტუპეტრომინის შვილიშვილი. სრულიად რუსეთის ცაკმა, მისი ღრმა მოხუცებულობის გამო, გადასწყვიტა გადასცეს მას სარგებლობისათვის მამული, რომელშიაც ის სცხოვრობს.

დეკაბრისტ იაკუშკინის პროექტი გლეხების განთავისუფლების შესახებ.

ლენინგრადი, 12 ოქტ. ცენტრო არქივის ლენინგრადის განყოფილებაში ეხლახან აღმოაჩინეს გლეხების განთავისუფლების პროექტი, რომელიც წარუდგინა ალექსანდრე პირველს დეკაბრისტმა იაკუშკინმა. ამ პროექტს დიდი ხანია დაეძებდენ და დაკარგული ეგონათ.

პროექტი აღმოაჩინეს ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. ის შესდგება 4 გვერდისაგან და იმყოფებოდა მოსასპობ ქაღალდებს შორის.

პროექტზე წარწერილია „არ არის დროული". აქედან სჩანს, რომ პროექტი განხილული იყო ალექსანდრე პირველის მიერ და გადაეცა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს მოსასპობად.

გენერალ კუროპატკინის ბიბლიოთეკა.

მოსკოვი. 12 ოქტ. ყოფილმა გენერალმა კუროპატკინმა გარდაცვალების შემდეგ დასტოვა ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომელშიაც ინახება 8.000 ტომი, მათ შორის ბევრია სამხედრო ხასიათის წიგნებიც. სრულიად რუსეთის ცაკის სამდივნომ წინადადება მისცა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომს გადასცეს ეს ბიბლიოთეკა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს.

ქარიშხალი ვოლგაზე.

სტალინგრადი, 10 ოქტ. რამდენიმე დღის განმავლობაში ვოლგაზე მძვინვარებს ძლიერი ქარიშხალი. გემები დადიან დაგვიანებით.

სტალინგრადში უკანასკნელ 4 დღის განმავლობაში მძვინვარებდა საშინელი ქარიშხალი.

უკრაინა

მრეწველობის სასახლე.

ხარკოვი, 12 ოქტ. დაიწყო მრეწველობის სასახლის აგება. ეს იქნება უდიდესი შენობა, რომელიც დაიტევს ყველა სამრეწველო დაწესებულებებს. შენობა იქნება სიდიდით 175.000 კუბიკური მეტრი. შენობა დაიტევს 7.000 კაცს და იქნება 11 სართულიანი. შიგ მოწყობილი იქნება 30 ასაწევი მანქანა (ლიფტი).

მრეწველობის სასახლეში მოწყობილი იქნება ავტომატიური ტელეფონის სადგური და მექანიკური ფოსტა და აგრეთვე სხვა ახალი ტეხნიკური გაუმჯობესებანი.

შენობა დამთავრდება 2 წლის განმავლობაში. შენობაზე იმუშავებს ყოველ დღე 3.000 მუშა. შენობა დაჯდება 7 მილიონი მანეთი.

მრეწველობის სასახლე იქნება ყველაზე დიდი შენობა საბჭოთა კავშირში.

იტალიიდან დაბრუნდენ საბჭოთა ნაოსნები.

სევასტოპოლი, 10 ოქტ. იტალიიდან დაბრუნდენ შავი ზღვის ფლოტის ნაოსნები „პეტროვსკი" და „ნეზამოჟნიკი". ნაოსნები იმყოფებოდენ საზღვარგარეთ 8 კვირის განმავლობაში.

კრედიტი სახალხო მეურნეობისათვის

მოსკოვი, 12 ოქტ. საკრედიტო კომისიის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება 1925—26 წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების შესახებ.

სახელმწიფო ბანკის ვარაუდით მთელი სახალხო მეურნეობისათვის 1925—26 წელს საჭიროა 700 მილიონი მანეთის მოკლე ვადიანი კრედიტი. ეს კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: მრეწველობამ უნდა მიიღოს 300—350 მილიონი მანეთი, კოოპერაციამ და სავაჭრო დაწესებულებებმა—100 მილიონი მანეთი, საკრედიტო დაწესებულებებმა—85 მილიონი მანეთი, ფასიან ქაღალდების სესხისათვის რჩება დაახლოვებით 200 მილიონი მანეთი. მრეწველობისათვის საჭიროა დაახლოვებით 600 მილიონი მანეთი მოკლე-ვადიანი კრედიტის სახით. სამრეწველო ბანკი მისცემს 125—150 მილიონ მანეთს, სხვა ბანკები—50 მილიონ მანეთს. 50—100 მილიონის დეფიციტი.

შეხო რა გრძელვადიან კრედიტების შესაძლებლობას, საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ბლიუმმა აღნიშნა, რომ წინასწარი გამოანგარიშებით სახელმწიფო მშენებლობისათვის 1925—26 წელში საჭიროა 2 მილიარდ მანეთზე მეტი.

ეს თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: მრეწველობას—1.633.000 მანეთი, კომუნალური მეურნეობა და საბინაო აღმშენებლობა—195.000.000 მანეთი, გზების მშენებლობა—473.000.000 მანეთი, კოოპერაცია და სასოფლო მეურნეობა-315.000.000 მანეთი. ამ თანხიდან 165 მილიონი მანეთი მოდის კრედიტზე, 600 მილიონი—საკუთარ საშუალებებზე, 300 მილიონი—სამეურნეო აღდგენის სესხზე და დანარჩენი საკავშირო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე.

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატი ფიქრობს, რომ სახალხო მეურნეობის რესურსების მობილიზაციით სავსებით შესაძლებელია ამ პროგრამის განხორციელება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილი იქნა მახლობელ დღეებში შემოწმებულ იქნეს მრეწველობის სხვადასხვა დარგების მოთხოვნილებანი.

ა.-ფ. ფედერაციაში

საქართველო

საექიმო პუნქტი

ოზურგეთი, 12 ოქტომბერი. ზაფხულის [illegible] ფულით სოფელ დვაბზუში აგებულ იქნა სპეციალური შენობა საექიმო პუნქტისათვის, საექიმო პუნქტი უკვე გაიხსნა ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან.

კონტრაბანდისტების შეტაკება.

ოზურგეთი, 12 ოქტომბერი. აჭარისტანის საზღვარზე მოხდა შეტაკება კონტრაბანდისტების ორ ჯგუფს შორის. მოჰკლეს ერთი კონტრაბანდისტი.

მოჯამაგირეების კავშირი.

ოზურგეთი, 12 ოქტომბერი. მოჯამაგირეების კავშირში ამჟამად ითვლება 106 წევრი, მათ შორის 37 ქალი. უკანასკნელ თვეში კვლავ მიღებულ იქნა 14 წევრი. კავშირის 26 წევრი წერა-კითხვის უცოდინარია.

აჭარისტანი

ცემენტი „ზაჰესისათვის".

ბათომი, 12 ოქტ. ბათომში მიღებულია „ზაჰეს"-ისათვის 30.000 კასრა ცემენტი. ამ დღეებში ნოვოროსისკიდან მიღებული იქნება კიდევ 50.000 კასრა ცემენტი.

ჯებირის შეკეთება.

ბათომი, 12 ოქტ. ნავთის სინდიკატმა გადასდო 30.000 მანეთი იმ ჯებირის შესაკეთებლად, რომელიც იცავს ნავთის აუზებს მდინარე ბარცხანისაგან.

აზერბეიჯანი

ნავთის პროდუქტების გატანა

ბაქო, 12 ოქტ. 10 ოქტომბერს ნავთის სინდიკატმა ხელშეკრულების თანახმად გაგზავნა „დოა"-ს ფირმის სახელზე 5,430 ტონა მანქანის ზეთი და 577 ტონა ცილინდრის. დაიწყო მაზუთის მიწოდება რკინისგზებისათვის. 9 დღის განმავლობაში გატანილია 328,000 ფუთი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ტრაპიზონში ნავთის გასატანად დაუკვეთა ნავთის სინდიკატს 10,000 ბიდონი.

ნავთის სინდიკატმა გაგზავნა უცხოეთში 180 ტონა ბენზინი, 150 ტონა ნავთი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

ბაქო, 12 ოქტ. თურქებით დასახლებულ სოფლებში იხსნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო [illegible] პუნქტი, რომლებშიაც წელს [illegible] დაახლოვებით 45,000 კაცი.

სომხეთი

დარალაგეზის ცხელი წყაროები.

ერევანი, 12 ოქტ. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკო-ქიმიური ლაბორატორიის ანალიზით გამოირკვა, რომ დარალაგეზის ცხელი წყაროები სამკურნალო მინერალურ მარილების რაოდენობით არ ჩამორჩება მსოფლიოს საუკეთესო მინერალურ წყლებს. ჯანსახკომს განზრახული აქვს გამოძებნოს საშუალებები ამ წყაროების ექსპლოატაციისათვის.

სომხეთის დამხმარე კომიტეტის განყოფილება აბისინიაში

ერევანი, 12 ოქტ. აბისინიაში გაიხსნა სომხეთის დამხმარე კომიტეტის განყოფილება, რომელიც უკვე შეუდგა საშუალებების შეგროვებას და ითხოვს ინსტრუქციებს ცენტრალურ კომიტეტისაგან.

სიმართლე საქართველოს ყოფ. სოც.-დემოკრატ. პარტიის, მისი ბელადებისა და ქართული ემიგრაციის შესახებ*)

რევანში აუცილებელი შეიქნა, საჭირო იყო ავტორიტეტის აღდგენა ევროპაში და რამიშვილის მეთაურობით მოეწყო ქართველი ერის უდიდესი ტრაღედია. აჯანყების საკითხი აღძრეს ჩვენმა „მეთაურებმა" ჯერ კიდევ 1921 წ., თუმცა ნამდვილი მომზადება აჯანყებისათვის დაიწყე'ს მხოლოდ 1923 წლის დასაწყისში. არა ერთხელ მიმიწერია მე ამხანაგებისთვის როგორც საზღვარგარეთ, აგრეთვე საქართველოში (ამხ. გიორგაძეს) იმის შესახებ, რომ ჩვენი მეთაურები ამზადებენ აჯანყების საშინელ ავანტიურას. ვწერდი და მოუწოდებდი მენშევიკურ დაშნაკიზმის ამგვარ პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ საუბედუროთ,—თუმცა საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგების უმრავლესობა თანაუგრძნობდა ჩემს აზრს,—მაგრამ ცხადათ გამოსვლა და აღიარება აზისა მათ ვერ გაბედეს იმ მორალურ და ფიზიკურ ტერორის გამო, რომლის დამყარება საზღვარგარეთ მოახერხეს ნ. ჟორდანიამ და რამიშვილმა (ამ „დემოკრატიულ" რეჟიმის და საზოგადოთ იმ ბინძურ ჯაშუშურ ატმოსფერის შესახებ, რომელიც მეფობს აქ—ემიგრაციაში, მე მოგაყვებით როგორმე სხვა დროს).

ამ ჟამად, განსაკუთრებით აჯანყების აქტიურ მონაწილეთა პარიზში ჩამოსვლის შემდეგ, სრულიად ცხადია ყველასათვის, რომ აჯანყება პარიზის კარნახით იყო მოწყობილი, მაგრამ მე მგონია ფართო მუშათა წრეებისათვის, რომელნიც აქამდე ვერ გარკვეულან საქმეში ამ ამბებში, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაცნო ჩემი უკანასკნელი ლაპარაკი ვალიკო ჯუღელთან მის საქართველოში საბედისწერო გამგზავრების წინა დღეს. ის დაიღუპა საქმისთვის, რომელიც თვით არ სწამდა.

ვალიკოს და ასობით სხვა მოტყუებულ მსხვერპლთა უდროო სიკვდილი დააწყეთ საფლავის მძიმე ლოდათ მათ დამღუპველ ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკურ სინიდისს.

საქართველოში გამგზავრების წინა დღეს ვალიკომ დამიბარა მე კაფეში და კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ უცებ მითხრა:

—„მე მივდივარ საქართველოში ქართველი ხალხის დასაღუპავად—აჯანყების მოსაწყობად".

ამ სიტყვებმა მე ისე გამაოცა, რომ ხმა ველარ ამოვიღე, ვალიკომ კი მძიმედ ამოიოხრა, თავი ძირს ჩაღუნა და დიდი ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. სიჩუმე მე დავარღვიე და ვკითხე:

—კაცო რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი მეთქი.

მაშინ მან კიდევ გამიმეორა, რომ ის მიდის საქართველოში საზღვარგარეთ მყოფ ცენტრალურ ბიუროს დავალებით და დაუმატა:

—„მე ვიცი, რომ ამ აჯანყებას ჩვენ წავაგებთო".

ამის შემდეგ მომცა წინადადება მეც გავყოლოდი მას დასახმარებლად.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რად მიდის, თუ კი თითონაც არ არის დარწმუნებული გამარჯვებაში, მიპასუხა:

—„აბა რა ვქნათ, სხვა რა გამოსავალი გზა გვაქვს, მერმე კიდევ ევროპა თანდათან იხრება საბჭოებისაკენ, და თუ ეხლა არა, შემდეგში ის აღარ დაუჭერს მხარს ჩვენს აჯანყებას; გარდა ამისა, ასეთია ჩვენი ც. კ. და მთავრობის დადგენილება"-ო.

მე, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარით უპასუხე და ურჩევდი მასაც არ წასულიყო. ამით ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, ორივე დარწმუნებული და დაღონებული: ვალიკო იმით, რომ მე, მისმა ძველმა ამხანაგმა და მეგობარმა, უარი უთხარი გაჭირვებაში მასთან გაყოლაზე, და მე კი იმით, რომ ვალიკო, რომელსაც მე უაღრესად პატივს ვცემდი, მიემგზავრებოდა ბოროტი საქმის დასაწყებად (ვალიკოს სიტყვები მე მომყავს თითქმის უცვლელად; მე ეს კარგათ დამამახსოვრდა, რადგან ჩვენი ლაპარაკი არ იყო ხანგრძლივი, მის მიერ ნათქვამი კი იმდენათ მნიშვნელოვანი და აღმაშფოთებელი იყო, რომ კარგად დავიმახსოვრე და ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება.

ავგისტოს აჯანყება და პარიზის ემიგრაციის ხელი ამ საშინელ საქმეში დიდი და რთული საკითხია, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებით დაფასებას და გაშუქებას, და ყოველი შეგნებული ქართველი მოვალე არის განიხილოს ეს საკითხი მთელი სივრცით. მე შევეცდები ამას როდისმე. ჯერ-ჯერობით კი, მე მინდა მივცე „პატივცემულ" ლიდერებს რამოდენიმე შეკითხვა:

1. რა მიზეზით, როგორ მოხდა, რომ რუსულ მონარქისტ ოფიცერთა კავშირმა, პარიზში, ოფიციალური მიმართვით მიულოცა ლეგაციას და ჟორდანიას „დემოკრატიულ" მთავრობას, როგორც აჯანყებულ ერის მეთაურებს, და აღუთქვა მათ დახმარება მთელი თავისი ძალით?

2. რა იყო მიზეზი, რომ ბ. სუვორინის მონარქისტული გაზეთი, აჯანყების დაწყებიდან—დასრულებამდე, თითქმის ოფიციოზი იყო ქართულ ლეგაციისა და თვით ბატონი სუვორინი აღტაცებით ბეჭდავდა მსხვილი შრიფტით ყველა იმ ცრუ ცნობებს, რომელსაც აძლევდა ქართული ლეგაცია და თვით ბ-ნ რამიშვილის ინტერვიუს აჯანყების მსვლელობის შესახებ?

3. რა მიზნით, რისთვის მოვიდა ქართულ ლეგაციაში, გაჩაღებული აჯანყების დროს, „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის" ნ. ნიკოლოზის ძის აგენტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, ნიკოლოზ მე-2 დროის კავკასიის მეფის მოადგილის შვილი და რას ნიშნავდა ის საიდუმლო მოლაპარაკება, რომელსაც აწარმოებდენ მასთან მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების გამოჩენილი მეთაურები?

4. ხომ არ ამზადებს ახალი პარიტეტული კომიტეტი ან ცალკე პარტიების ც. კ. ახალ აჯანყებას საქართველოში?

5. რატომ უარყოფენ ბ. ბ. ჟორდანია და რამიშვილი იმ წერილის საჯაროდ გამოქვეყნებას, რომელიც მათ მისწერეს ერთ-ერთ თავის თანამოაზრეს საქართველოში და რომელშიაც ორივე „ბელადი" მოითხოვდენ მებრძოლ რაზმების შექმნას და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ პარტიზანულ ომის გაგრძელებას და გაძლიერებას, მაგრამ სადღაც მთებში კი არა, როგორც ამას შერებოდა აჯანყებულთა ერთი ბელადი—ქაქუცა ჩოლოყაშვილი („რაღაცა შეტაკებანი მთებში არავის არ აინტერესებს, ევროპის ყურადღების მოპყრობა კი უსათუოდ საჭიროა—სწერს რამიშვილი თვით ჟორდანიის წინადადებით.—ამიტომ საჭიროა ხიდების, რკინის გზების, ნავთსადგურების და სხვ. აფეთქება"... ეს წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-10 №-ში. შეიძლება ეს გაზეთი არ მიუღია ბ-ნ რამიშვილს და საზოგადოთ მთელ ქართველ ლეგაციას).

6. რას ფიქრობენ ამ წერილის შესახებ სხვა პარტიების წარმომადგენლები: ნ. დ-ბი და მათი მეთაური ს. კედია, ფედერალისტები, ეთანხმებიან ისინი ამ მოწოდებას და თუ არა, რატომ არ გაშორდებიან ს.-დ. ბელადებს?

7. რისთვის, რა დავალებით წავიდა ბ. ასათიანი პოლონეთში და მოახერხა თუ არა მან პოლონეთის უაღრესად რეაქციონურ ჯარში კიდევ 30 ქართველ ოფიცერთა „მოწყობა", გარდა იმათი, ვინც უკვე „მოწყობილია" იქ საქ. „დემოკრატიულ" მთავრობის მიერ? რა პარტიულ მოვალეობას ასრულებენ ქართველი ერის წინაშე ეს ქართველი ოფიცრები—ძალმომრეობის, სისხლისმღვრელ და წვრილ ერთა დამჩაგვრელ ჯარში?

8. რა მანდატი აქვს და რა ფუნქციებს ასრულებს ამერიკაში ცნობილი ავანტიურისტი დუმბაძე?

9. მართალია, რომ ნ.-დ. პ. ც. კ. ზოგიერთი წევრები აწარმოებენ მოლაპარაკებას კირილე ვლადიმერისძესთან?

10. რა იქნა ჯუღელის წერილი, რომლითაც ის მეტეხის ციხიდან სწერდა მთავრობას საზღვარგარეთ და მოუწოდებდა ქვეყანას, რომ საქართველოში აჯანყება არ მომხდარიყოს, თორემ საქართველო დაიღუპებოდა; რათ არ მიიღეთ ზომები, რომ აჯანყება არ მომხდარიყო?

11. რად მოხდა ისე, რომ როდესაც თქვენი დირექტივების თანახმად, ევროპის კაპიტალისტური მთავრობების ჯარების, ზარბაზნების და დრედნოუტების, ევროპის მუშათა კლასის და ნაციათა ლიგის იმედით აჯანყებაში ჩათრეული ხალხის სისხლი იღვრებოდა (თქვენივე ცნობების თანახმად, საქართველო სისხლით შეღებილ სამარეს წარმოადგენდა), რატომ ამ დროს მთელს ქვეყანაზე არ გამოჩნდა ისეთი ძალა, ისეთი ადამიანი, ან მთავრობა და ან რომელიმე ორგანიზაცია, რომელსაც უბრალო საყვედური მაინც განეცხადებია. სად დაიმალენ ის თქვენი მოკავშირე მთავრობები, თავისი დრედნოუტებით და ჯარებით, რომელთა იმედით თქვენ საქართველო მოატყუეთ?

12. 28 ავგისტოს აჯანყებით ქვეყნის დაღუპვის შემდეგ, რად შესდგა პარიზში ახალი პარიტეტული კომიტეტი (კოალიციონური მთავრობა) ბ. ფირცხალავას, კედიას და ი. გობეჩიას თანამშრომლობით, რომელიც მიზნათ ისახავს ძველი, დამღუპველი აჯანყების პოლიტიკის გაგრძელებას.

13. რატომ ემუქრებიან პოლიტიკური ტერორით ჟორდანია და რამიშვილი იმ მუშებს, რომლებიც მოითხოვენ მთელი დამარცხებული პოლიტიკური გზების უარყოფას, ძველი შეცდომების და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ცნობას.

14. რათ დაუმალეთ საზღვარგარეთ და, კერძოთ, პარიზში მყოფ სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციის წევრებს და ქართველ ემიგრაციას თორმეტი ათასი მუშის ს.-დ. პარტიიდან გასვლის მიზეზები და მათი განცხადებები?

15. რათ დაუმალეთ საზღვარ-გარეთ და, კერძოთ, პარიზში მყოფ სოც.-დემ. პარტიის წევრებს ს. დევდარიანის, მაჭარაძის, კუპრაძის, ფარნიევის, მ. ძამაშვილის, ბიქტორ თევზაიას პარტიიდან გასვლის მიზეზები, რომლებიც გმობენ ნოე ჟორდანიის პოლიტიკას და უარყოფენ ამ მთავრობას?

16. რათ დაუმალეთ პარტიულ ორგანიზაციის წევრებს—მუშებს, თქვენის წყალობით რუსეთის ციხეებში მყოფ გრიგოლ ლორთქიფანიძის, ალექსანდრე დგებუაძის, ლადო ჯიბლაძის და მათთან მყოფ ამხანაგების ის წერილი და საბუთები, რომლის ძალითაც ისინი მოითხოვენ თურმე ნ. ჟორდანიას მთავრობის გაუქმებას და ყველა საზღვარგარეთ არსებულ მენშევიკური დაწესებულებების სრულ ლიკვიდაციას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ცნობას და მათთან კულტურულ და აღმშენებლობით საქმეში შრომას?

17. ვთქვათ ზემოაღნიშნული მუშებმა და ხელმძღვანელებმა ბოლშევიკების წითელი არმიის რეპრესიებით და ჩეკით შეშინებულებმა გილალატეს თქვენ. ვთქვათ, რომ ეს „შეშინებული" ხალხი მოითხოვს ნ. ჟორდანიას მთავრობის უარყოფას, ლიკვიდაციას და ბოლშევიკებთან თანამშრომლობას. მაგრამ როგორ უნდა ავხსნათ აქ, საზღვარგარეთ (ჯერ ოსმალეთში, მერე ბერლინში, პრაღაში და პარიზში), პარტიაში ოპოზიციონური ბრძოლის გაჩენა? აქაც ხომ ბოლშევიკების ჩეკა არ მუშაობს, პირიქით, აქ რომ მართლა ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის ჩეკა არის, რომელიც სდევნის და ავიწროებს ყველა თავისუფლათ მოაზროვნე ქართველს! მაგრამ, მიუხედავათ ამისა, 1923 წლის დამლევს აქ, პარიზში, წარმოიშვა ოპოზიცია იმ 62 მუშას შორის, რომელნიც 1922 წელს ბოლშევიკებმა გადმოასახლეს გერმანიაში.

დიახ, პარტიაში გაჩნდა ოპოზიცია. და ამ გაჩენის მიზეზი იყო **პარტიაში გაბატონებულ ნ. ჟორდანიას მთავრობის და მათი ჯგუფების უხეში ბიუროკრატიზმი, სულისშემხუთავი ზნეობრივი ტერორი და ბნელი, ავანტიურისტული მოქმედება.**

და აი ამ ავანტიურიზმს, ბიუროკრატიზმს და ზნეობრივ ტერორს პირველათ, დიდი დაბრკოლებების გადალახვით, ბრძოლა გამოუცხადეს ჯერ ოთხმა ამხანაგებმა: **ნ. სულუხიამ, თედო დემეტრაშვილმა, გიორგი ხულაქველიძემ და ვასო ტულუშმა.** პარტიაში მათმა სამართლიანმა კრიტიკამ და მოთხოვნილებებმა ბევრი მუშა ჩააფიქრა, და დღეს ოპოზიციაში შედიან **გიორგი ფუფხაძე, კ. ბარნოვი, ის. ქარსელაძე, ს. გოგინოვი, მ. მგელაძე, ვ. გოგნიაშვილი, ვ. ხავთასი, ამ. ვადაჭკორია, მ. ვეკუა, ვ. ამვლედიანი, ს. კალანდაძე, რ. ყიფიანი, მ. არსენიძე და გ. ერაძე.**

ოპოზიციაში მყოფ მუშების მოთხოვნილებები ასეთია:

1. პარტიაში გამეფებული ბიუროკრატიზმის მოსპობა და დემოკრატიზმის აღდგენა;

2. ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, ყოველგვარი კომბინაციების უარყოფა იმ ავანტიურისტებთან, რომელნიც იარაღით ომებს მოითხოვენ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ;

3. უარყოფა ძველი, დამარცხებული ლიდერების პოლიტიკისა, ახალი პოლიტიკური გეზის და გზის გამონახვა და რუსეთის ხალხთან მშვიდობიანი შეთანხმებით შეთანხმება.

ოპოზიციონურმა ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1924 წელს 28 ავგისტოს დაწყებული აჯანყება ქართველი ხალხის ტრაღედიით დამთავრდა და ამ საშინელ სისხლისღვრის გამომწვევი მიზეზების კვლევის დროს ერთ კრებაზე ჩხეიძემ და წერეთელმა სიტყვიერათ და ჩხენკელმა წერილობით, ყველასათვის მოულოდნელათ განაცხადეს, რომ მათ არაფერი არ იცოდენ საქართველოში მომხდარ აჯანყების შესახებ.

ამის შემდეგ მტკიცდება, რომ ჩხეიძე, ჩხენკელი და წერეთელი წინააღმდეგი ყოფილან აჯანყებისა. აქედან გამოაშკარავდა, რომ საქართველოში 28 ავგისტოს შეიარაღებული აჯანყების მომხრე და ფარულად მომწყობნი ყოფილან ნ. ჟორდანია, ნოე რამიშვილი და მათი აგენტები.

ამას შემდეგ მოთმინებიდან გამოსულმა ოპოზიციის წევრებმა: თედო დემეტრაშვილმა, ნ. სულუხიამ, გიორგი ერაძემ და კ. წერეთელმა და სხვებმა ოპოზიციის სახელით სასტიკად დაჰგმეს ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის აჯანყების დამღუპველი პოლიტიკა. სხვათა შორის გ. ერაძე ეკითხება ნ. ჟორდანიას: **ნ. ჟორდანია, სად არის ის შენი ძველი სოციალისტური მუშური დროშა, რომელსაც ჩვენ მივყვებოდით? თქვენ ეს სოციალისტური და მუშათა კლასის შემაერთებელი დროშა ძირს დააგდეთ და ეხლა ბუნტარული დროშა ფრიალებს და ამ აჯანყების დროშის ქვეშ ვდგევართ. სად მიგვყავართ თქვენ ამ დროშით? არა, ჩვენ—მუშები თქვენ გზას ვეღარ გავყვებით, ჩვენ სხვა გამოსავალი, სხვა გზები უნდა მოვნახოთ".**

კაკი წერეთელმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის აჯანყების სისხლიანი პოლიტიკა და მიუთითა მათ უპატიებელ მძიმე დანაშაულებზე; იგი ამბობს:

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 234.

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა გაზეთებიდან

მთავარი ამოცანა

ბოლო დრომდე შრომის დაცვის დარგში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა არსებულ უფლებრივ პირობების გატარებას; სამუშაო დღე, შვებულებები, სპეც-ტანისამოსი, ქალთა და მოზარდთა შრომის დაცვა და სხვა—აი რა შეადგენდა სათანადო ორგანოების განსაკუთრებულ მზრუნველობის საგანს, ხოლო უკანა რიგში იდგა სანიტარულ-ტექნიკური საკითხები. უკანასკნელთა გადაჭრა გულისხმობდა ფაბრიკა-ქარხნების საფუძვლიან შეკეთებას, გაუმჯობესებათა შეტანას შენობებში, მანქანების და დაზგების მოწყობაში, რისთვის საჭირო დიდძალი თანხა არ გვქონდა მეურნეობის ნგრევის პერიოდში.

დღეს ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს ძირითადი კაპიტალის აღდგენა, დაძველებულ მანქანების და დაზგების გამოცვლა, ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება. ჩვენი მეურნეობის აღორძინება ჰქმნის ამისთვის ხელსაყრელ ნივთიერ პირობებს. ეს გარემოება წინ აყენებს შრომის პირობების გაჯანსაღების ამოცანას. გაზ. "Труд" სწერს:

„ასეთ პირობებში შრომის დაცვის ორგანოების და პროფკავშირების ყურადღების ცენტრი უნდა იქნას გადატანილი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლების მაქსიმალურ გამოყენებაზე შრომის პირობების გასაჯანსაღებლად წარმოებებში. ისეთი კანონები, როგორიც, მაგ. კანონი, რომელიც კრძალავს უბედურ შემთხვევების ასაცილებელ მოწყობილობას მოკლებულ მანქანების და დაზგების ყიდვას თუ გაყიდვას, აგრეთვე კანონი, რომელიც ჰვავალებს შევათანხმოთ შრომის დაცვის ორგანოებთან ყველა ახალი ანაგების და წარმოებათა საფუძვლიანი შეკეთების ნახაზები და გეგმები,—ფართო შესაძლებლობას შლიან შრომის ნამდვილი დაცვისათვის და ამიტომ უნდა ტარდებოდნენ ცხოვრებაში საკმაო სიმტკიცით. ამასთან ერთად სავსებით შესაძლებელი ჩანს წარმოებათა სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის მრავალ-რიცხოვან შედარებით წვრილ და პატარა ნაკლულოვანებათა აცილება, რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ფართოდ არიან გავრცელებული“.

რა თქმა უნდა, შრომის დაცვის ზევით ხსენებული უფლებრივი ნორმები არც უნდა გავატაროთ წინანდებურ სიმტკიცით, მაგრამ ამავე დროს დღეს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სანიტარულ ტექნიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას წარმოებებში და ამ დარგში მუშაობა უნდა დაუკავშირდეს მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლებას.

ორმაგი „მორალი“

როგორც ვიცით, საფრანგეთი მსოფლიო ომიდან მეტად დავალიანებული გამოვიდა. მარტო ამერიკის მართებს მას მილიარდ ნახევრამდე გირვანქა სტერლინგი, რაც მძიმე ლოდათ აწევს „მესამე რესპუბლიკას“ და მას ამერიკულ ბანკების ყურმოჭრილ მონად ხდის. საფრანგეთი სამხედრო ვალების გადახდის წინააღმდეგაა განწყობილი, რასაც ასე ასაბუთებენ მისი ხელმძღვანელი წრეები და პრესა: სამხედრო ვალები არ შეიძლება განხილულ იქნან, როგორც კომერციული ვალები; საფრანგეთმა 900.000 ვაჟკაცი დაჰკარგა საერთო საქმისათვის; მან 120 მილიარდზე მეტი დახარჯა განადგურებულ ოლქების აღსადგენად; ამიტომ მორალურად ის არც ვალდებულია ეს ვალი გადაიხადოს, მისათვის არც საშუალება შესწევსო.

ამის გამო გაზ. „Известия“ შენიშნავს:

„რას იტყვიან ფრანგი პოლიტიკოსები და ფინანსისტები, თუ საბჭოთა კავშირი განუმეორებს მათ იმავე მოსაზრებებს, რომლებსაც სამართლიანად უყენებენ ისინი ამერიკელ კრედიტორებს. არ აღიარებენ ეს პოლიტიკოსები და პრესის მესვეურნი, რომ რომანოვების და კერენსკის მთავრობები თავის სესხის უდიდეს ნაწილს ხარჯავდნენ შეიარაღებაზე და რომ ეს შეიარაღება წარმოებდა არა მარტო რომანოვებისა და რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, არამედ საფრანგეთის იმპერიალიზმის ინტერესებისათვისაც? და განა ამ შეიარაღების და მრავალ მილიონ რუს მუშების და გლეხების ტანჯვის და სიცოცხლის წყალობით არ გადაურჩა საფრანგეთი მსოფლიო ომში?“

ეს ხომ ასეა, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიას (როგორც ყველა ქვეყნის ბურჟუაზიასაც) ჰოტენტოტებსავით ორმაგი „მორალი“ აქვს: როცა მას ართმევენ,—უსამართლობაა, როცა თვითონ სხვას ართმევს, ეს დასაშვებია!

უცხოეთის პრესა

პროლეტარიატის გაერთიანების მტრები

როგორც ყოველთვის, ეს მტრები არიან სოციალ-დემოკრატები. კერძოთ, ამ შემთხვევაში, გერმანელ სოციალ-დემოკრატებზე ელაპარაკობთ.

მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ამას წინეთ ამხ. ტომსკისა და განსვენებულ ხრამოვის ხელისმოწერით გამოქვეყნდა ინგლის-რუსეთის გამაერთიანებელი კომიტეტის მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. აქ ლაპარაკი იყო პროფკავშირეთა ინტერნაციონალური გაერთიანების აუცილებლობას, იმის საფრთხესა და კიდევ იმის შესახებ, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში, გახდის მას ინგლისის იარაღათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ მოწოდებას თავს დაესხა გერმანელი მენშევიკების გაზეთი „ფორვერტს“, (29 სექტ.) რომელიც არჩევს ამ დოკუმენტს და ამტკიცებს, რომ ის „რუსული“ დოკუმენტი არისო.

„ინგლისელი ეგ ერთიანობის მდგომარეობის ანალიზი ამ მოწოდებაში არის რუსული; დასკვნა გეგმის შესახებ არის რუსული; რუსული არის მისი დებულება საგარანტიო პაქტის შესახებ, რომელიც მიჩნეულია როგორც სამხედრო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ; რუსული არის აგრეთვე სინამდვილესთან სრულიად შეუფერებელი აზრი იმ თანაგრძნობის შესახებ, რომელიც თითქოს ჰქონდა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების მოლაპარაკებამ ერთიანი ფრონტის გაზეთ... ამ ახალი დოკუმენტით ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლები ისეთ მდგომარეობაში შეიქმნენ ჩაყენებული რუსების მიერ, რომ ინტერნაციონალური პროფმოძრაობისათვის შეუძლებელია მომავალში გაჰყვეს.

ერთი თავისთავი გადამწყვეტი სიტყვა სთქვენ ამ დანარჩენმა პროფკავშირებმა, რომლებიც წარმოდგენილი არიან ამსტერდამის გაერთიანებაში, რადგან ცხადია, რომ ინგლისის პროფკავშირების ოლმასკომის წევრები ვეღარ ამიწყვენ რომლებით დაშორდნენ ისინი რუსების მეგობრობის გულისათვის თავიანთ კოლეგებს ევროპის კონტინენტზე“.

ასე სწერენ გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები „რუსებზე“. არას ამბობენ, როგორ უნდათ აამეტყველონ „ამსტერდამი“ და იქ შემავალ კავშირები, როგორი იქნება ეს მათი „გადამწყვეტი სიტყვა“ მაგრამ გვგონია, რომ ეს „სიტყვა“. თავის როლს ითამაშებს მუშათა კლასის გამოფხიზლების საქმეში და დააჩქარებს პროცესს მისი შემოკრებისას ინგლის-რუსეთის გამაერთიანებელი კომიტეტის გარშემო, დაანახვებს ყველას ნათლად „ფორვერტს“-ის რედაქტორებისა და მათი სულის ჩამდგმელების გამურულ შოვინისტურ, ბურჟუაზიულ სახეს.

პარტიული ცხოვრება

ერთი ნაკლის შესახებ

უდავოა, რომ სოფლის უჯრედების პოლიტიკური განვითარების დონე დაბალ საფეხურზე სდგას და პარტიის ბევრი წევრიც წერა-კითხვის უცოდინარია. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ დღეს პარტიის წინაშე მთელი თავისი სიმწვავით სდგას საკითხი ამ უჯრედებში მუშაობის გამოცოცხლების შესახებ.

მაგრამ აქ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. სოფლად ხშირათ შეხვდებით ისეთ შემთხვევას, როდესაც ადგილობრივი პარტამხანაგები პარტიული მოვალეობებისადმი თავისი გულგრილი მოპყრობით მუშაობის ყოველგვარ სურვილს უკარგავენ ცენტრიდან გაგზავნილ ამხანაგებს.

სოფლის პირობები ისეთია, რომ გარდა კვირა-უქმეებისა იქ ძნელია რაიმე მუშაობის წარმოება, ამავე დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც პარტიული ამხანაგები კვირაში ამ ერთ დღესაც კი არ ესწრებიან პარტიულ კრებას ან პოლიტიკურ მეცადინეობას. იმის მაგიერ, რომ მათ წაიკითხონ უბრალო წიგნი, ისინი თვითონ აფერხებენ პარტმუშაობის ნორმალურ მსვლელობას. ამის შედეგი კი ის არის, რომ სოფლად შეუძლებელი ხდება პარტიის ახალი კურსის გატარება.

ერთი სიტყვით უნდა აღინიშნოს, რომ არაა საკმარისი მარტო უმაღლეს პარტორგანოების ლოზუნგები, არაა საკმარისი მარტო მოწინავე ამხანაგების ჩაგზავნა სოფლებში, თუ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წევრები თავისი მხურვალე მონაწილეობით და დახმარებით ხელს არ შეუწყობენ ცენტრიდან გამოგზავნილ ამხანაგებს მუშაობაში. მხოლოდ შეთანხმებული მუშაობით დავძლევთ ყველა იმ დაბრკოლებებს, რომლებიც ჩვენ წინ გვხვდებიან და სასურველათ გადავჭრით იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე არიან წამოჭრილი.

აი ეს კარგად უნდა დაიხსოვნონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ილ—ბაძე—ი.

პარტიული აქტივის შესახებ კომკავშირში

კომკავშირის რიგების რიცხობრივი ზრდა მოითხოვს კომკავშირზე პარტიული ხელმძღვანელობის თავის დონეზე დაყენებას და კომკავშირში ლენინურობითი მუშაობის გაძლიერებას.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ ამოცანის გადაჭრაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს თვით პარტიულმა ორგანიზაციამ. კომკავშირის რიგების გადიდებასთან, მისი თვისობრივად გაძლიერება უპირველესად ყოვლისა პარტორგანიზაციის საზრუნავ საგანს წარმოადგენს. პარტიის წევრებს ნათლად უნდა ესმოდეთ გათვალისწინებული კომკავშირის მორიგი ამოცანები. პარტიული გზით მიწვენებელი უნდა იყოს კომკავშირის უჯრედისათვის.

მართალია, პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებებს, ბიუროებში ურთიერთ წარმომადგენლობას კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პარტხელმძღვანელობის სფეროში არანაკლებ მნიშვნელოვანია პარტიის ის აქტივი, რომელიც ჩვენ კომკავშირის რიგებში გვყავს, ე. ი. ის პარტწევრები და კანდიდატები, რომლებიც კომკავშირის რიგებიდან გადაირიცხნენ პარტიაში.

სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო კავშირის წევრების პარტიაში გადარიცხვამ გამოიწვია გადარიცხული წევრების კომკავშირის მასისაგან მოწყვეტა და დაშორება. პარტიაში გადარიცხული წევრი სრულიად თავის მოვალეობად არ სთვლის შეიხედოს კომკავშირის ორგანიზაციაში და იქ აწარმოოს რაიმე მუშაობა. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც გადარიცხულ წევრს ამაყად და „დიდ კაცად“ მოაქვს თავი და ზევიდან დაჰყურებს კავშირის წევრებს.

ამ ნაკლის გასასწორებლად თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან ასეთი წევრები უფრო მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ პარტიის წინაშე კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

პარტაქტივი კავშირის რიგებში შემაკავშირებელი ხიდი უნდა გახდეს კომკავშირისა და პარტიის შორის, რადგან სწორედ ამ პარტაქტივის საშუალებით შეგვიძლია კომკავშირზე განვახორციელოთ სწორი პარტიული ხელმძღვანელობა.

ქ. წ—ძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ონტოფოს თემი

(სენაკის მაზრა).

ონტოფოს თემში არსებობს ორი პარტიული უჯრედი, რომლებიც აერთიანებენ 14 წევრს. აქამდე უჯრედებში მუშაობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. მიუხედავად სამინდვრო მუშაობისა კვირაში ერთხელ იმართება უჯრედების ღია კრებები, რომლებზედაც ისმება სააღმშენებლო, კულტურული და პოლიტიკური ხასიათის საკითხები. თემის მასშტაბით კი უჯრედების გაერთიანებული კრებები იწვევა თვეში ერთხელ. ადგილობრივად ერთ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. წინად ონტოფოს იყო რაიონის ცენტრი, სადაც არსებობდა პარტიის რაიონული კომიტეტი. მას შემდეგ, რაც გადავედით სათემო სისტემაზე, ასეთი მდგომარეობა შეიქმნა: ონტოფოს თემკომს არ მიეცა მომზადებული და ჯამაგირიანი პასუხისმგებელი მდივანი. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ამას წინად სამაზრო განათლების განყოფილებიდან ჩვენს თემში გამოგზავნილ იქნა ამხ. ს. გოგია, რომელიც ორგანიზაციის მიერ არჩეული იქნა პოლიტხელმძღვანელად. ამხ. გოგიას მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. პარტიულ ამხანაგებში წერა-კითხვის და პოლიტიკურ უცოდინარობას თანდათანობით ბოლო ეღება.

რ. კ—ძე.

სოფ. კოჯორი (თბილისის მაზრა)

ახ. კომკავშირის მნიშვნელოვანი ნაბიჯი

კოჯორის თემში მოსახლეობს ულარიბესი გლეხობა. თემის ყველა სოფლები ჩამორჩენილია როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად. ამით აიხსნებოდა, რომ დღემდე ზოგიერთ სოფელში მაგ. წავკისში და ტაბახმელაში არ იყო დაარსებული კომკავშირის უჯრედები. დღესაც მიუხედავათ ასეთი დაბრკოლებისა, კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ მაინც შესძლო გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ზემოაღნიშნულ სოფლებში დაარსებია უჯრედები, რომლებიც აერთიანებენ 50-დე წევრს. ამ უჯრედებს უკვე გამოყოფილი ჰყავთ თავთავიანთი ბიუროები და პასუხისმგებელი მდივნები, რომლებიც შეუდგენ თავიანთ მოვალეობის ასრულებს,

ვ. შერმაზანაშვილი.

უბანი ნასხითაური (სამტრედიის რაიონი).

ჩვენი უჯრედის საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა

ზემოხსენებულ უბანში არსებობს კომკავშირის უჯრედი, რომლის წევრები არაჩვეულებრივ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში. ადგილობრივი გლეხკომის, სამკითხველოს და სკოლის მუშაობის სათავეში კომკავშირელებია, რომლებიც არ ზოგავენ თავიანთ ძალ-ღონეს, რათა ამ დაწესებულებებში გამოაცხოველონ მუშაობა. უჯრედი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე პიონერთა კოლექტივს, რომელიც ეხლახან დაარსდა. უპარტიო ახალგაზრდებიც, რომლებიც ყოველთვის ესწრებიან უჯრედის ღია სხდომებს, დიდ დახმარებას უწევენ უჯრედს სხვა და სხვა სამუშაოების შესრულებაში.

ნოკერია.

მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირი

პირველი და მეორე სხდომები

მოხსენებები ადგილებიდან

პირველ, მეორე სხდომა და მესამე სხდომის ნაწილი მოუნდა ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა მოსმენას. მოხსენებები წაიკითხეს შემდეგი ადგილების წარმომადგენლებმა: აჭარისტანის (ბათომის), გურიის, ქვემო იმერეთის (ქუთაისის), ზემო იმერეთის (ჭიათურა, შორაპანი), ფოთის, სამეგრელოს (სენაკის და ზუგდიდის მაზრის), დიდ ხუმის, ჯავახეთის (ახალციხის) ქართლის (ხაშურის, სურამის, გორის), კახეთის (თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის) და თბილისის დაწესებულებათა (რკინის გზების სახელოსნოების, დეპოს, სასაკლაოს, პოლიგრაფიული წარმოების, ტრამვაის, რკინისგზათა სამართველს და ცეკავშირის) წარმომადგენლებმა. მომხსენებლები მიმოიხილავენ უკლებლივ აგვისტოს შემდეგ შექმნილ მდგომარეობას ადგილებზე, ახასიათებდნენ უპარტიო მასის სოლიდურ განწყობილებას და შემდეგ გადადიოდნენ ადგილობრივ მუშათა კომისიების ერთი წლის მუშაობის მიმოხილვაზე. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მასები იმ თავითვე მუშათა კომისიებს, რომელნიც ზოგ ალაგას ცენტრ. მუშათა კომისიებისგან დამოუკიდებლად, თვით ადგილობრივ ძველი მუშების ინიციატივით წარმოიშვენ, დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ და გაიზიარეს მისი თვალსაზრისი. ადგილებზე კი კომისიები უმთავრესად აწარმოებდნენ იმ ამხანაგების აღრიცხვას, რომელთაც გაევლოთ არალეგალური მუშაობის სტაჟი, სცვლებით ურიგდებოდნენ ხელისუფლების და აცხადებდნენ მასთან თანამშრომლობის სურვილს. კომისიები და მათი რწმუნებულნი აწარმოებდნენ აგრეთვე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას: მიდი-მოდიოდნენ დაბა-სოფლებში და კითხულობდნენ მოხსენებებს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, საბჭოთა ხელისუფლებაზე, საბჭოთა აღმშენებლობაზე. ყოფილი მენშევიკური მასა და აგრეთვე უპარტიონიც ათასობით ესწრებოდნენ კრებებს, მხარს უჭერდნენ მომხსენებელთაგან გამოთქმულ მოსაზრებებს.

კომისიების მუშაობის საგანს შეადგენდა აგრეთვე ზრუნვა დაპატიმრებულთა განთავისუფლებისა და გადასახლებულების მთავრობასთან შერიგების შესახებ.

თითქმის ყველგან კომისიებმა შესძლეს ამ ამოცანის შესრულება: მცირე გამოკლებით პოლიტიკურ პატიმართა უმრავლესობა განთავისუფლებულ იქნა. კომისიები სცდილობდნენ აგრეთვე სამუშაო ადგილები გამოენახათ უმუშევრად დარჩენილ პოლიტიკურებისთვის. ამ მიზანსაც აღწევდნენ. კომისიების მუშაობის შედეგი არის ისიც, რომ მრავალი ყოფილი მენშევიკი მუშა არჩეულია საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ეს გარემოება კი ხელს უწყობს მუშების ერთმანეთთან დაახლოებას, ძმურ თანამშრომლობას და ნორმალური მუშაობის განმტკიცებას.

ასეთივე ნორმალური ურთიერთობა მყარდება სამაზრო ცენტრებშიაც.

მოხსენება გააკეთა აგრეთვე ბაქოელ ქართველების წარმომადგენელმა,—ამხ. ერმალო ლილიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ [illegible] ქართველი მუშები—[illegible]—[illegible] მუშათა კომისიის პლატფორმაზე. შემდეგ მომხსენებელი შეეხო კულტურულ მუშაობას ბაქოელ ქართველთა შორის, მომხსენებლის განცხადებით, ამ უკანასკნელ წლებში კულტურული მუშაობა ბაქოს ქართველებში ძლიერ მოიკოჭლა.

მ. კოვალიოვის განცხადება

მეორე სხდომის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ყ. დამფუძნებელი კრების ყოფილმა წევრმა—ძველმა მენშევიკმა მ. კოვალიოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ 1908 წლიდან უკანასკნელ დრომდე იგი თავს მენშევიკად სთვლიდა; რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ქართველ მუშებთან, რომელთაც იგი გვერდში უდგა ჭირსა და ლხინში. იგი ახლაც მთლიან რიგდება და სრული შეგნებით უერთდება მუშათა კომისიის გარშემო შემოკრებილ ამხანაგებს.

მესამე სხდომა.

მომავალი მუშაობის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. ძამანაშვილი).

მუშათა კომისიამ,—ამბობს მომხსენებელი, ერთი წლის განმავლობაში ერთი მუხლის გამოკლებით შეასრულა ყველა ის ამოცანები, რომელიც გათვალისწინებული იყო მის ათმუხლოვან პროგრამით. დარჩა შეუსრულებელი მხოლოდ ერთი ამოცანა—მუშათა კომისიის გაგზავნა საზღვარგარეთ ემიგრაციის მუშურ ნაწილთან მოლაპარაკების საწარმოებლად, წარმომადგენლების გაგზავნის საკითხი გადაუჭრელი დარჩა, რადგან გაურკვეველი იყო საკითხი, საჭირო იყო თუ არა მსგავსი (ემიგრაციის) გაგზავნა პარიზელ მუშათა ჯგუფის დაბრუნების შემდეგ. რაც შეეხება დანარჩენ 9 მუხლს, მუშათა კომისიამ არა თუ დაუახლოვა მშრომელი მასსა ხელისუფლებას და პარტიას, არამედ იმდენად მჭიდროთ დაუკავშირა იგი პარტიულ მასას, რომ ამჟამად უკვე სრული თანხმობით ეწევიან მუშაობას საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში. ეს გარემოება კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მომავალში მუშაობა ამ მიმართულებით საჭირო აღარ იყოს. მუშაობა აუცილებელია, რადგან საქართველოს ხალხს ორი საშიშროება მოელის: პირველი ის, რომ ემიგრაცია კიდევ არ სცხრება და ფიქრობს განაგრძოს ავანტიურის გზა და მეორე ის, რომ ძველი რევოლუციონერი მუშები რევოლუციონურ აქტიობის გზას შორდებიან და ერთ ადგილზე იყინებიან.

ჩვენ მათ შორის უნდა გავაჩაღოთ კულტურული მუშაობა, რომ მუშები რევოლუციონურ გზას არ ასცდნენ. დღემდე ასეთი კულტურულ მუშაობისათვის არ მოიპოვებოდა საკმარისი ძალები, რადგან ინტელიგენცია მუშათა კომისიას გარეშე უდგა, კომისიის ორგანო „ახალი გზა“ შინაარსის მხრივ მოისუსტებდა. კულტურული მუშაობის დაწყება და გაძლიერება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპარტიის ცეკა ძველებურათ აქტიურად დაგვეხმარება.

ამხ. ძამანაშვილი მოითხოვს, რათა თათბირის მიერ კომპარტიის ცეკას წინაშე აღძრული იქნეს შუამდგომლობა, იმის შესახებ, რომ ცეკასთან მოწყობილ იქნეს ქვეგანყოფილება, რომელსაც დაეკისრება ყოფილი მენშევიკ მუშათა შორის ორგანიზაციული და კულტურული მუშაობა.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, 12 ოქტომბერს საღამოს შედგა თბილისის აღმასკომის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა 1) განხილვა და დამტკიცება დებულებისა თბილისის საბჭოს, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების სექციების და მისი ორგანოების შესახებ და 2) მოხსენება საგეგმო კომისიის სტრუქტურის შესახებ.

დებულება თბილისის საბჭოს შესახებ

(ამხ. ვ. მეხსის მოხსენება)

დებულების განხილვას წინასწარი განმარტება წაუმძღვარა ამხ. ვ. მეხსმა, რომელმაც აღნიშნა განსახილველი დებულების პროექტის ძირითადი განსხვავება ამ ჟამად მოქმედ დებულებისაგან. განსახილველი პროექტის ერთ-ერთი განსხვავება ის არის, რომ ახალი დებულება უფრო გარკვევით ასახელებს თბილისის საბჭოს უფლება-მოვალეობებს, საბჭოს სექციების ფუნქციებს. არსებულ დებულებით სექციების მუშაობის გეგმა შეიცავდა მხოლოდ საკითხების წინასწარ განხილვას, ახალი დებულებით კი სექციებს ეძლევათ ესა თუ ის უფლებები.

გარდა ამისა, ახალი დებულების თავისებურება არის ის, რომ წინად განყოფილებათა სტრუქტურას ამტკიცებდნენ უმაღლესი ორგანოები, ახალი დებულების ძალით კი ეს თბილისის აღმასკომის საქმეა.

მუხლობრივი განხილვის შემდეგ დებულება უცვლელად და ერთხმად იქნა მიღებული.

საგეგმო კომისიის სტრუქტურა

თბილისის აღმასკომის პლენუმმა ამხ. ვ. მეხსის წინადადებით მიიღო თბილისის აღმასკომთან არსებულ საგეგმო კომისიის სტრუქტურის შემდეგი სქემა: საგეგმო კომისია იყოფა შემდეგ 4 სექციათ—საფინანსო-საბიუჯეტო, სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიურ და ტექნიკურ-სააღმშენებლო სექციათ. საგეგმო კომისიის სათავეში სდგას თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს კომისიის მთელ მუშაობას, ხოლო სექციებს კი სათავეში უდგანან ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები.

საგეგმო კომისიის სტრუქტურის წარმოდგენილი სქემა აღმასკომის პლენუმის მიერ მოწონებულ იქნა.

წერილები ადგილებიდან

ქალთა შორის მუშაობა

ქ. ზუგდიდი.

ზუგდიდის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა სასურველ ხარისხზე დაყენებული, რადგან ადგილობრივ ქალთა განყოფილებას დიდ დახმარებას უწევს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ქალთა შორის მუშაობის დარგში გატარებული იქნა შემდეგი ღონისძიებანი: პოლიტგანის დახმარებით დაარსდა 7 წერა-კითხვის და პოლიტიკური უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, დაარსებულია გლეხ-ქალთა კუთხეც ორი თავშესაფარ ბინით და სამკითხველოთი, სადაც სისტემატიურად მოდის სხვადასხვა გაზეთები, ქალთა განყოფილების მიერ აგრეთვე დაარსებული იქნა საბავშვო ბაღი, ორი ჭრაკერვის არტელი, 5 ქოხ-სამკითხველო და სხვა. რაც შეეხება ქალების ჩაბმას საზოგადოებრივ სამუშაოებში, ამ მხრივაც კარგი მდგომარეობაა. ქალები იწერებიან კოოპერატივის, „მოპრ“-ის, ავიოქიმის და სამხედრო ფლოტის საზოგადოების წევრებად. სამოსწავლო წლის დასაწყისში ქალთა განყოფილების მიერ ფოთის და თბილისის პარტსკოლაში გაგზავნილი იქნა 7 ქალი. ყველა ამ მიღწევებთან ერთად ზუგდიდის მაზრის ქალთა შორის მუშაობის დარგში არის ნაკლულოვანებანიც. პირველი ნაკლი ისაა, რომ ქალთა ორგანიზაციას არ გააჩნია საკმაო ლიტერატურა, მეორე—სამედიცინო დახმარების საქმე მოისუსტებს და მესამე—ქალთა განყოფილება ნივთიერ უსახსრობას განიცდის. ყოველივე ამას მომავალში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ალ. ართმიძე.

„ხომ ხედავთ, ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილო, თქვენი უვარგისი პოლიტიკის მსხვერპლი შეიქნა ქართველი ხალხი, თქვენი პოლიტიკა არის აჯანყების დამნაკური პოლიტიკა, რომელსაც პარტია და ხალხი მიჰყავს ძმათა შორის სისხლის ღვრამდე და განადგურებამდე. დაუბრუნეთ თავიანთ პატრონს—ნაციონალისტებს, ეგ დროშა, რომლის ქვეშაც აწარმოებთ დამღუპველ პოლიტიკას; ისინი უკეთესად მოკიდებენ ხელს თავის აზრის გამომხატველ ბაირაღს.

ჩვენ კი უნდა დაუბრუნდეთ ჩვენს წმინდა იდეურ მუშათა კლასის სოციალისტურ მუშაობას, ჩვენი დროშა არის სოციალისტური...

ხომ ხედავთ,—განაგრძობს წერეთელი,—საუკეთესო მუშები გადიან პარტიიდან, დგებიან უპარტიოთა რიგში და გმობენ თქვენს უვარგის მოქმედებას, არის თუ არა დრო, რომ გაიაროთ ჩვენი შეცდომები და ყველა იმედების გაცრუების შემდეგ, თქვენი პოლიტიკის დამარცხების შემდეგ მაინც დაინახოთ, რომ თქვენ არავინ გემხრობათ და რუსეთის გადაკიდება არ გარგიათ.

ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ საქართველოს არსებობა მხოლოდ რუსეთთან მშვიდობიანი მეზობლური განწყობილებით შეიძლება. ამიტომ ქართველმა ხალხმა და მუშათა კლასმა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ხალხთან უნდა გამონახოთ საერთო შრომის გზები“...

მუშა თედო დემეტრაშვილი (რომელიც 1917 წლ. დღევანდლამდე კრიტიკაში ატარებს ჩვენი მთავრობის ბეც მოქმედებას) ამბობს: განა შეიძლებოდა იმ დანგრეულ სახელმწიფო აპარატით, სადაც სრული უპასუხისმგებლობა და ქაოსი იყო გამეფებული,—ქვეყნის მართვა?!.

სადაც, (თქვენი მოქმედებით გულგატეხილი) მხედრობა ველარ მხედრობდა, მასწავლებელი ველარ მასწავლებლობდა, გლეხი ველარ გლეხობდა, მუშა ველარ მუშაობდა და სხვა...

დიალ, მართალდა არა საქართველოს მუშათა პარტია, არამედ ძალმომრეობით გაბატონებული კერძო პირები, რომელთა დამღუპველი მოქმედება შეიქნა მიზეზი ჩვენი ერის და მუშათა კლასის დღევანდელი მძიმე ტრაგედიისა.

ჩვენი ვალია ხალხს მალე უთხრათ სიმართლე, რომ თქვენ აჯანყების პოლიტიკით ქვეყანა დაღუპვისაკენ მიგყავთ“...

ნ. ხუდუხაშ მოიგონა პარტიული მუშაობის ძველი ტაქტიკა და შეეხო რუსეთის დიდ რევოლუციას, მისი მონაპოვართა დაცვის საჭიროებას, კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს. ამისათვის იგი აუცილებელ საჭიროებად სთვლის: შეიარაღებულ აჯანყების უარყოფას; ყველა გარეშე სახელმწიფოებთან (რომელნიც ცდილობენ ამა თუ იმ სახით საბჭოთა რუსეთის ინტერვენციას) კავშირის გაწყვეტას.

იგი უარყოფს გარეშე არა სოციალისტურ მიმართულების ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან რაიმე კავშირის დაჭერას, ვინაიდან ასეთი გზით ქართველი ხალხი მივა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განადგურებამდე.

ბოლოს იგი ეკითხება მოპირდაპირეებს:

1. „შესაძლებელია თუ არა დღევანდელ პირობებში და შეუძლია თუ არა საქართველოს იარაღით ებრძოლოს საბჭოთა რუსეთს“?

2. „ხელსაყრელია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ინტერვენცია გინდ უცხო სახელმწიფოების მიერ, გინდ შინაგანი რეაქციონური ძალების საშუალებით არსებულ ხელისუფლების დამარცხება?

3. „რომ ასეც მოხდეს, მივიღებთ მათგან საქართველოს დამოუკიდებლობას? (რამიშვილი უპასუხებს ადგილიდან: „არა“).

„მაშ რომელ კომბინაციებით იმედოვნებთ, რაც გვეუბნებით ჩვენ და გვირჩევთ მოვიწონოთ თქვენი ბრძოლის მეთოდები“.

დასასრულ იგი ამბობს: „ჩვენ უნდა უარვყოთ ყოველივე ხასიათის ომი და მასში ჩარევა.

უნდა გამოვნახოთ საერთო ენა რუსეთის პროლეტარიატთან, ვიქონიოთ მასთან მჭიდრო კავშირი და ვაკეთოთ ჩვენი რესპუბლიკის საქმე მუშათა კლასის სასარგებლოდ“.

გიორგი ხულაქველიძე ამბობს: მუდამ დემოკრატია, მუშა და გლეხი, იყო და არის ყველგან ნაციონალური კულტურის შემქმნელი.

ჩვენმა ლიდერებმა დაჰკარგეს ძველი გზა, ძველი სახე და პირველ საკითხად აღიარეს ნაციონალისტების იდეა; აჯანყების პოლიტიკის თვალსაზრისით უდგებიან მუშათა პარტიის სოციალისტური იდეის გადაჭრას. ეს გზა შემცდარია.

ჩვენ, მუშები ევროპაში ყოფნის დროს დავრწმუნდით, რომ ჩვენი ლიდერები ევროპის სახელით ატყუებენ ქართველ ხალხს. ევროპიდან დახმარების იმედი ილუზიაა. ჩვენი ქართველი ხალხის მეზობლობა და მეგობრობა შეუძლიან მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასს, ამ მუშათა კლასთან უნდა აღვადგინოთ ძველი, მჭიდრო კავშირი და მისი დახმარებით განვამტკიცოთ რევოლუციის მონაპოვარი“.

რუბენ ყიფიანმა სასტიკ კრიტიკაში გაატარა მთავრობის მოქმედება. იგი ამბობს: „ჩვენი უბედურების მიზეზები უნდა ვეძიოთ საქართველოს მთავრობის ჯერ კიდევ ძველ მოქმედებაში და შეცდომებში, მერმე ამავე მთავრობის საზღვარ-გარედ გადმოხვეწის შემდეგ მათ აქ ყოვლად დამღუპველ ბუნტარულ პოლიტიკაში, რომლის წყალობით ჩვენმა მეთაურებმა უდანაშაულო ქართველი ხალხი სიკვდილის კარებთან მიიყვანეს და თავი დაადებინეს გრდემლსა და მძიმე ჩაქუჩ შუა. ვინც ცოცხალი გადაურჩა ამ უბედურებას, მათაც ახალი საფრთხის წინაშე აყენებენ ჩვენი მეთაურები.

კმარა, დღეის შემდეგ ჩვენ ნებას არავის მივცემთ, რომ მუშათა პარტიის სახელით ცუდათ ისარგებლოს. ჩვენ უნდა უარვყოთ აჯანყების პოლიტიკის ყოველგვარი კომბინაციები. მოტყუებული ქართველი ხალხი ძველ მეზობელ რუსეთის მშრომელ ხალხს უნდა დაუკავშირდეს ახალი მეზობლური და ძმური განწყობილებით“.

ამ დღეს, წერეთლის მოხსენების წაკითხვის დროს ნ. ჟორდანია რეპლიკას ესვრის მას: „ეგ მოხსენება რუსის დაწერილიაო“.

ისმის ხმები: „ეგ ცილისწამებაა“. მუშა გახო ტუღუში ადგილიდან შესძახის ჟორდანიას: „მაგის თქმას სქელი შუბლი უნდაო“, ირაკლი წერეთელი ამხანაგების დასამშვიდებლად ამბობს: „ეგ არაფერია, ნ. ჟორდანიამ თავისდაუნებურათ წამოიძახა ეგ სიტყვები, თორემ მან კარგად იცის თუ მე ვინა ვარ და როგორი ოჯახიდანა ვარ გამოსული. ჟორდანიას მეტი გზა არა აქვს, ის ისევ ჩვენ მოგვცემს ხმას“-ო და სხვა.)

ნ. ჟორდანია თავის საპასუხო დასკვნით სიტყვაში ამბობს: „ჩვენს—მენშევიკურ პარტიაში შემოვიდა ახალგაზრდა ძალა, რომელმაც ყველა ადგილები დაიკავა პარტიაში. ამის გამო ძველი მუშები დარჩნენ უფუნქციოთ, უადგილოთ და ამიტომ მუშების არისტოკრატია,—12 ათასი მუშა და მათი მეთაურები წავიდნენ მენშევიკური პარტიიდან: ისინი მოღალატენი არიან“-ო. (ხმები აქეთ-იქიდან: „ეგ ცილის წამებაა“*)).

აღსანიშნავია ის უფლებრივი უთანასწორობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ კრებებზე. კრებებზე, რომლებიც ექვსი თვე გააჭიანურეს, მუდამ ლიდერები ლაპარაკობდნენ. და როდესაც ექვსი თვის წინად ჩაწერილ მუშების ლაპარაკის დრო დადგა, მაშინ ათი წუთით შეამოკლეს ლაპარაკის დრო და მუშები იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ სიტყვის თქმაზე, ზოგნი კი ერთმანეთს უთმობდნენ 10 და 5 წუთს, რომ თუთხმეტი და ოც წუთში „გამოეთქვათ“ თავისი გულის მტანჯველი სიმართლე. დემოკრატიზმიც ამას ჰქვიან.

ვიმეორებ,—აქ, პარიზში თქვენი მთავრობის ჩეკის გარდა სხვა არავინ არა დევნის კაკი წერეთელს, ოპოზიციის წევრ მუშებს და ევროპაში მყოფ პარტიულ ამხანაგებს. მეც ხომ თქვენი ჩეკის მეტი და თქვენს მეტი არავინ მდევნის.

რა თქმა უნდა, თქვენგან ჩადენილი მძიმე დანაშაულების და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით თქვენ ყველას ლანძღავთ, ცილს წამებთ და ბოლშევიკების ჩეკის მიერ შეშინებულებს, რენეგატებს და მოღალატეებს ეძახით, მაგრამ ჩვენ დავამტკიცებთ, თუ ვინ არის მოღალატე.

თქვენ მუდამ რაღაცას და ვიღაცას აბრალებთ თქვენს სიგლახეს და თქვენ მიერ დაღუპულ ქვრივ-ობლების და ღარიბ ხალხის ტრაგედიას.

თქვენ მუდამ ბოლშევიკურ წითელ არმიას, ჩეკას და რაღაც ობიექტიურ და სუბიექტიურ მოვლენებს აბრალებთ ყოველისფერს.

ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ ბოლშევიკები არაფერში არ სცდებიან. პირიქით, ჩვენ მათაც უთითებთ ამ შეცდომებზე. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვეძებთ მიზეზებს, თუ ვინ დაიწყო რუსეთის განმანთავისუფლებელ რევოლუციის ხანაში, ვინ შეიტანა განხეთქილება და არევ-დარევა რევოლუციონურ პარტიაში, ვინ დაარღვია მთლიანი რევოლუციონური ფრონტი, ვინ არის ძმათა შორის სისხლის ღვრის მიზეზი, ვინ აამღვრია წყალი სათავეში, რომელმაც წალეკა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა,—აი აქ ჩვენ ვხედავთ უტყუარ საბუთებს, რომ მთავარი დამნაშავე ამ საქმეში არის მენშევიკური პარტია, განსაკუთრებით მისი ქართველი (ნ. ჟორდანიის მეთაურობით) ლიდერები.

ჩვენ დღემდე მოვითხოვდით, რომ ნ. ჟორდანია და მისი ჯგუფები გამოტეხილიყვნენ თავის დანაშაულებებში; რომ მათ პასუხი ეგოთ სიმართლისა და მათი მეოხებით სამარეში უდროოდ ჩაყრილ ძვირფას ამხანაგების საფლავების წინაშე. პასუხი ეგოთ დარჩენილი ქვრივობლებისა და აწიოკებული ხალხის წინაშე. მაგრამ ნ. ჟორდანიას მთავრობა ჯიუტობს და განაგრძობს ყოვლად დამღუპველ მოქმედებას. და აი ამ შემთხვევაში, ნ. ჟორდანიას და მისი „მთავრობის“ მიერ მოტყუებული და ბურუსში გახვეული გლეხკაცობა და მრავალი მუშები თანდათან ხედავენ, რომ ჩვენი დამღუპველი მეთაურების უარყოფა და მათი სავსებით და საბოლოოდ საქმიდან ჩამოშორება აუცილებელია. ხალხის საუკეთესო ნაწილს, რომელიც ეძებს ნ. ჟორდანიას მთავრობის გაუქმების საშუალებას, ათასგვარი ხრიკებით და ძმათა შორის შურის ძიებით, თქვენგან მითვისებულ უფლებებით და ქონების მეოხებით, ყველგან პროვოკაციებს უწყობთ და ყველას რენეგატის და მოღალატის სახელით აჭუჭყიანებთ.

მაგრამ როდემდის შესძლებთ უხეში და უდიერი საშუალებებით სიმართლის მთქმელ ამხანაგების და ხალხის დევნას?

როდემდის შესძლებთ ხალხის ინტერესების, ხალხის ღირსების და უფლების ფეხქვეშ თელვას?

როდემდის შესძლებთ მითვისებული უფლებებით და ქონებით ბოროტად სარგებლობას?

მალე დამტკიცდება საქვეყნოდ, რომ იმ „ობიექტიური“ და „სუბიექტიური“ პირობების შექმნის მიზეზია არა ბოლშევიზმი, არამედ თვით ნ. ჟორდანიას და მისი ამყოლი მეთაურების 30 წლის ბეცი პოლიტიკური მოღვაწეობა. მალე დამტკიცდება საქვეყნოდ, რომ რუსეთში ბოლშევიკური დიქტატურის, სამოქალაქო ომის გამწვავების და რევოლუციონური სამხედრო წესების დღემდე გაგრძელების მიზეზი ბოლშევიკების პირადი სურვილი კი არ არის, არამედ მენშევიკ-ლიდერებისაგან ზურგ გამაგრებულ რეაქციონერების ავანტიურისტული მოღვაწეობა.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ გამარჯვებული საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, მისი წითელი არმია და ჩეკა მაშინ შესწყვეტენ რეპრესიებს და დევნას, როდესაც ნ. ჟორდანიასა მათ მეგობარ რეაქციონერებისაგან არავითარი საფრთხე არ ექნება მოსალოდნელი.

რუსეთის ბოლშევიკური საბჭოთა ხელისუფლება იქცევა ისე, როგორც ყველა გამარჯვებული: თავისი მიზნის და წესების დასაცავად.

ვთქვათ, რომ ნ. ჟორდანიას მთავრობისთვის, როდესაც ის ბატონობდა ქართველ სოც.-ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს ომი გამოეცხადებინათ, ამ შემთხვევაში ნ. ჟორდანიას და რამიშვილის მთავრობა, მათი „ჩეკა“ და მოხელეები მიმართავდნენ თუ არა საქართველოში აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებ ქართველების წინააღმდეგ ისეთს, და კიდევ იმაზე სასტიკ საშუალებებს, როგორიც საქართველოს საბჭოთა მთავრობამ იხმარა თავის დასაცავად?

ასე მოიქცეოდა ნაც.-დემ., ასე მოიქცეოდა ფედერალისტების მთავრობაც. ასევე იქცეოდა ნ. ჟორდანია-რამიშვილის მენშევიკური მთავრობა, როდესაც ის მართლა თავისი საქმისათვის აჯანყებულ გლეხების სოფლებს და კარ-მიდამოს მიწასთან ასწორებდა და სპობდა.

აბა კარგად მოიგონეთ ის სამწუხარო მოვლენანი, რომელსაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს დროს დუშეთის, გორის და ლეჩხუმის მაზრებში, სოხუმის ოლქში და საქართველოში. გლეხკაცობის შეიარაღებული აჯანყებები სასტიკ სამხედრო რეპრესიებით და ცეცხლით და მახვილით ჩაჰქრეთ. მე მექნება საშუალება ვთქვა, თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველოს გლეხობა ნ. ჟორდანიას ეროვნული მთავრობის დროს.

მოიგონეთ, თუ რამდენი უდანაშაულო გლეხები იქნენ ამ ბრძოლაში მოკლულნი და დახვრეტილნი: რამდენი გლეხის ოჯახი იყო აწიოკებული და დანგრეული. ამ სამწუხარო ამბების და სახელმწიფოში ბოროტ-მოქმედებების შესახებ ბევრი საბუთები გვაქვს რომლებსაც თავის დროზე გამოვაქვეყნებთ.

ამით მე ვწყვეტ ამ წერილს და მოგმართავთ აქ, საზღვარგარეთ ამხანაგ მუშებს, რომელნიც ასევე აზროვნებთ, მაგრამ ჯერ ვერ გაგიბედიათ გადაწყვეტილი ნაბიჯის გადადგმა, აგრძელებთ „პარტიაში“ მხოლოდ ოპოზიციონურ მუშაობას და ამ გზით გინდათ ასეთ საქმეებში გამოცდილ ნ. ჟორდანიას და რამიშვილის ჯგუფების დამარცხება.

ძვირფასო ამხანაგებო! „მე კარგად ვიცი გამოცდილებიდან, რომ საშინელებაა გაკიცხვა და განშორება მათგან, ვისთან ერთად ათეული წლების განმავლობაში, ცარიზმის მონობის დროს, გულ-გაუტეხლად მედგრად იბრძოდით, მაგრამ დღეს ყოველ მხრივ იძულებული, დარწმუნდით იმაში, რომ ოპოზიციონურმა მუშაობამ თავისი თავი ამოსწურა. ეხლა დადგა დრო, როდესაც ნ. ჟორდანიას და რამიშვილის აქ შემორჩენილი „მთავრობის“ წინააღმდეგ ოპოზიცია კი არ არის საჭირო, არამედ სრული მათი უარყოფა.

ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე და საჩქაროდ მოხდეს, როგორც ნ. ჟორდანიას „მთავრობის“ და მისი წარმომადგენლების, აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციის და ჯგუფების სრული ლიკვიდაცია, რომელნიც „აწყობენ“ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ვისაც გინდათ, რომ საქართველოს მდიდარი ტერიტორია ქართველ ხალხს ეკუთვნოდეს და იგი გაუგლეჯელი დარჩეს, ვისაც გინდათ ნახოთ ძლიერი და განვითარებული საქართველო—ყველა ასეთებმა დაივიწყეთ პარტიული ერთიანობა და შევასრულოთ ჩვენი ხალხის წინაშე ჩვენი პირდაპირი მოვალეობა.

ყველა საქართველოსკენ!
ყველა თავ-თავის ოჯახებში!
ყველა თავ-თავის ადგილზე!..

ვანო ალიხანაშვილი.

პარიზი.

---

*) დიახ, მართლაც, რომ მუშების ცილის წამებაში ნ. ჟორდანია ვერ ხედავს იმას, რომ მუშათა პარტიიდან მიდიან ნამდვილი მუშები და „ნ. ჟორდანიას მენშევიკურ პარტიაში“ რჩებიან ჩინოვნიკების და დამნაშავეთა ჯგუფები.

ეკონომიური ცხოვრება

მანუფაქტურა ამიერ-კავკასიისათვის

როგორც აცნობა ჩვენს თანამშრომელს საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის კანტორის გამგის მოადგილემ ამხ. ანდრეევიჩმა, უცხოეთში შესყიდულ მანუფაქტურიდან ამიერ-კავკასია მიიღებს მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში 4 ვაგონ მანუფაქტურას. რაც შეეხება კოოპერატიულ ორგანიზაციებს,— მათ ცალკე მიეცემათ 50 ვაგონი მანუფაქტურა, შესყიდული უცხოეთში.

კრიზისი, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ამიერ-კავკასიის ბაზრისათვის საბჭოთა მანუფაქტურის მიწოდების დარგში—ახლო მომავალში უნდა აღმოიფხვრეს. ოქტომბერში უკვე მიღებულია მანუფაქტურის ნაწილი, გზაშია 20 ვაგონი მანუფაქტურა, გამოგზავნილი თბილისის განყოფილების სახელზე. სულ ოქტომბერში ამიერ-კავკასია მიიღებს 80 ვაგონ მანუფაქტურას. ეს მანუფაქტურა თუ სავსებით ვერ დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებებს, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად შეანელებს არსებულ კრიზისს.

ამიერ-კავკასიის მანუფაქტურის ბაზრის ეხლანდელი მდგომარეობა მეტად არანორმალურია. მწვავე კრიზისის გამო, თბილისში საქონლის შესასყიდათ ჩამოდიან ვოლგის მხრიდან, ჩრდილოეთ-კავკასიიდან და სხვ. ცხადია, რომ საქონლის ის მცირე რაოდენობა, რომელიც არის ამიერ-კავკასიის განკარგულებაში. იგზავნება მხოლოდ ადგილობრივ ორგანიზაციების საჭიროებათათვის მანუფაქტურის მიწოდება ხდება უმთავრესად კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანოების საშუალებით. კერძო ვაჭრებს ეძლევათ ზოგიერთ შემთხვევაში სულ მცირე რაოდენობა.

მიმდინარე წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში ცენტრიდან გამოგზავნილი იქნება 198 ვაგონი მანუფაქტურა, რომელიც მიღებული და გასაღებული იქნება ადგილობრივ, ნოემბერ-დეკემბერ-იანვრის განმავლობაში.

მანუფაქტურის შეძენა საზღვარგარეთ

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს მანუფაქტურის შესყიდვა უცხოეთში, უკვე შეისყიდა 31 მილიონი მანეთის სხვადასხვაგვარი მანუფაქტურა.

შესყიდვა ცალკე ქვეყნებს შორის ნაწილდება ამრიგად: იტალიაში შესყიდულია 7,500,000 მანეთის, საფრანგეთში 3.500.000 მან., პოლონეთში—4.600.000 მანეთის, ავსტრიაში 2.200.000 მან., ჩეხო-სლოვაკიაში—4.000.000 მ., გერმანიაში—3.000.000 მ., ამერიკაში—3.000.000 მან., და ინგლისში—3 მილიონი მანეთის.

საქონლის თვისება კარგია. ფლანელი, შესყიდული პოლონეთში, თავისი თვისებით ომის წინანდელზე უფრო უმჯობესია; ყველაზე უფრო იაფი აღმოჩნდა სატინა, შესყიდული ამერიკაში. საერთოდ კი ამჟამად შესყიდვა მოხდა რამოდენიმედ უფრო მაღალ ფასებში, ვინემ გაზაფხულზე.

კრედიტის უფრო შეღავათიანი პირობები მოგვცა საფრანგეთმა.

შესყიდულ საქონლის გამოგზავნა დამთავრდება ნოემბერ-დეკემბერში.

საფეიქრო ტრესტი

საქართველოს საფეიქრო ტრესტი აერთიანებს ყველა საფეიქრო წარმოებებს აბრეშუმის და კერძო საფეიქრო სახელოსნოებს გარდა.

საფეიქრო ტრესტში შედიან ქუთაისის მაუდის ქარხანა, სახევხართავი ქარხანა და ჰიგროსკოპიური ბამბის ქარხანა.

ქუთაისის მაუდის ქარხანა.

გასაბჭოებამდე საქართველოში მაუდის წარმოება სრულიად არ ყოფილა. ქუთაისის ქარხანა პირველ ხანებში ამზადებდა მატყლის ტლანქ მაუდს, რომელიც ღირსებით დაბლა იდგა. ამ მოვლენის მიზეზი ის იყო, რომ ქარხანას არ მოეპოვებოდა მექანიკური მოწყობილობანი და რიგიანი საღებავები.

სხვადასხვა ახალი მანქანების დადგმისა და მოსკოვური საღებავების შეძენის შემდეგ ქარხანის საშუალება მიეცა დაამზადოს უფრო მსუბუქი ქსოვილი და კარგი ღირსების მაუდი. ამჟამად ქუთაისის ქარხანა ამზადებს ყოველდღიურად 400 მეტრ მაუდს, რომელიც თავის ღირსებით არ ჩამოურჩება რუსულ საქონელს. ქუთაისის ქარხნის მაუდი იყიდება იმ ფასებში, როგორც „მოსსუკნოს" მაუდი; ხოლო თვითღირებულება კი „მოსსუკნო"-ზე ნაკლებია.

ქუთაისის მაუდზე იმდენი მოთხოვნილება არის, რომ ქარხანა ვერ შესძლებს მის დაკმაყოფილებას, რადგან იგი ჯერ დამთავრებული არ არის. ქუთაისის ქარხანას შეუძლია დაამზადოს 30 ათასი მეტრი მაუდი, მაგრამ ეს რაოდენობა ვერ დააკმაყოფილებს ბაზრის საჭიროებას. წარმოების შემდეგ მოწყობას და მექანიზაციას უნდა საკმაოდ მოზდილი თანხები, რაც ტრესტს არ მოეპოვება.

ძაფ-ნართის ქარხანა

ქარხანა ამზადებს სხვადასხვა ხარისხის ნართებს და ძაფებს. გასაბჭოებამდე ძაფ-ნართის ქარხანა კერძო პირის ხელში იყო, რომელიც მხოლოდ ერთ წყება მუშებს ამუშავებდა და ქარხანას ამზადებინებდა მხოლოდ ფაბრიკატების მცირე ნაწილს. ამჟამად ფაბრიკაში მუშაობს მუშების ორი წყება, ხანდახან სამიც, მზადდება ფაბრიკატები მეტი რაოდენობით და უკეთესი ღირსებით, ვიდრე გასაბჭოებამდე იყო. ბამბაც, რომლიდანაც მზადდება ნართი და ძაფი, ღირსებით თანდათან უმჯობესდება. ვინაიდან ამ ქარხნის ფაბრიკატებზე დიდი მოთხოვნილება არსებობს, ტრესტს განზრახვა აქვს ძაფნართის ქარხნის წარმოება გააფართოვოს: თითისტრების რიცხვი აიყვანოს 5 ათასამდე, და გარდა ამისა დასდგას 10 საფეიქრო დაზგა ნართის დასამზადებლად, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება არის ჩვენს გლეხობაში. ამ გეგმის განხორციელებისათვის საჭიროა 178 ათასი მანეთი.

ბამბის ფაბრიკა

მანქანების გაცვეთის მიუხედავათ დამზადებული ბამბის ღირსება ომის წინა დროინდელს არ ჩამოუვარდება. ამ ჟამად ფაბრიკაში მუშაობს ათი კრემპელი, რომელიც ამზადებს ყოველთვიურად 1900 ფუთი ბამბას, რომლის ღირებულება 30 ათას მანეთს უდრის. მომავლისათვის ტრესტს განზრახვა აქვს დასდგას ქარხანაში 5 ორმაგი კრემპელი რაც 34 ათასი მანეთი დაჯდება, ასეთი გაფართოების შემდეგ ქარხნის თვიური ნაყოფიერება ავა 3500 ფუთამდე.

ქარხნის პროდუქციის 80 პროცენტი საღდება ამიერ-კავკასიის გარეთ, 20 პროცენტი საქართველოს ბაზარზე. ფაბრიკის მიერ დამზადებული ჰიგროსკოპიული ბამბა თავის ღირსებით სჯობია გერმანულ ფაბრიკატს.

ეკონომიურ საბჭოში

— **რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის წესი.** ეკონომიური საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკის ადგილობრივი ბიუჯეტი, ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ ყოველმხრივად შესწავლისა და დამუშავების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს სახ. საგეგმო კომისიას, რომელიც განიხილავს მას ცენტრალურ უწყებების წარმომადგენელთა თანდასწრებით და სათანადო მოხსენებას წარმოუდგენს სახალხო კომისართა საბჭოს.

— **საურთიერთო ნდობის საზოგადოება ქ. ფოთში.** საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო დაარსდეს ქ. ფოთში საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო.

ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცა მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებული საშტატო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს შტატი.

ს. მ. უ. ს. შუამდგომლობა.

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ს. მ. უ. ს. საბჭოს შუამდგომლობა ს. ს. რ. კავშირის ფარგლებში სპირტეულობის და კონიაკის უშუალოდ ვაჭრობის ნებართვის მიცემის შესახებ,

მონოპოლიის მოხსნა ნავთზე საქართველოში.

ეკონომიურმა საბჭომ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ნავთის წვრილად ვაჭრობის მონოპოლია. ამ მიზნით ეთხოვა საქართველოს სახკომსაბჭოს გამოსცეს სათანადო დადგენილება.

მემინდვრეობის 5 წლის საპერსპექტივო გეგმა.

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქ. საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი მემინდვრეობის 5 წლის საპერსპექტივო გეგმა.

საქართველოს პურეულობის ბალანსი.

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს პურეულობის ბალანსი 44.039 ათასი ფუთის რაოდენობით, (აქედან მთავარ პურეულობათა მოსავალი უდრის 38.335,3 ათ. ფ. და დეფიციტი—5.703,9. ათ. ფ.)

მასთან საბჭომ შესაძლებლად სცნო 1925/26 წ. ერთი მილიონი ფუთი სიმინდის საზღვარგარეთ გატანა.

აჭარისტანის სას.-სამეურნეო ბანკი.

ი. ანდრონიკაშვილის მოხსენების თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდება.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტში.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტის დირექტორად დაინიშნა ამხ. გიგინეიშვილი, ხოლო მის მოადგილედ ამხ. კრიშტალი.

პროფკავშირებში

ადგილკომის არჩევნები

(შთაბეჭდილება)

სოც. უზრუნ.-ყოფის სახკომატის მუშა - მოსამსახურეების საერთო კრებაა. ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი მოკლე სიტყვაში გარკვევით აშუქებს პროფკავშირების მუშაობის იმ ახალ მეთოდებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას პროფკავშირთა მუშაობის გამოცოცხლებას—მასთან დაახლოვების საშუალებით. ეხება არჩევნების ახალ სისტემას და ტეხნიკას და დასასრულ მიუთითებს სწორ პროფესიონალურ ხაზზე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ადგილკომმა თავის მომავალ მუშაობაში.

ადგილკომის მოხსენება

მომხსენებელი ცოცხლად აშუქებს კრების წინაშე ადგილკომის მუშაობას, აღნიშნავს დამოკიდებულებას, რომელიც მას ჰქონდა ცენტრალურ გამგეობასთან და ადმინისტრაციასთან; ეხება შრომის დისციპლინას, რომლის დაცვა დაწესებულებაში მას თავის მოვალეობად მიაჩნდა და უკვირს, რომ ცენტრალურ გამგეობამ მას ეს აუკრძალა იმ მოსაზრებით, რომ ეს ადმინისტრატიული „გადახრაა კავშირის მუშაობაში". ამის შემდეგ ადგილკომს ხელი აუღია შრომის დისციპლინის დაცვაზე და ეს საქმე სავსებით ადმინისტრაციისათვის მიუნდვია. პროფესიონალური ხაზით და აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობით ეს მას ვერ მოუხერხებია.

ეკონომიური ბიუროს მუშაობა სუსტია

ადგილკომთან არსებობს ეკონომიური ბიურო, მაგრამ რეალურ შედეგებს ვერ მიაღწია. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადმინისტრაცია არ უწევს ანგარიშს ეკონომიური თათბირის მოსაზრებებს და მასთან არ არის ჩამოყალიბებული გარკვეული ფორმა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ამ მუშაობის გეგმიანად წარმოება. კავშირის უმაღლეს ორგანოებისაგან ამ მხრივ ხელმძღვანელობა სუსტი იყო.

ადგილკომის მოხსენების გარშემო კამათიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ ამხანაგს ასეთი თათბირები ზედმეტადაც მიაჩნია. მისი აზრით თანამშრომლობის ასეთი ფორმა სახელმწიფოს მმართველობაში მიუღებელია, რადგანაც დაწესებულებას ჰყავს თავისი პასუხისმგებელი მუშაკები და ჩარევა მათ საქმეებში ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. ალბად ამხანაგს სწამს, რომ კოლექტიური საქმიანობა საჭირო არ არის და საკმარისია ყველამ მხოლოდ თავისი საქმე იცოდეს, როგორც „ჩინოვნიკმა".

კრებაზე ადმინისტრაციის სიტყვაც მოვისმინეთ. ის თავს იცავს ადგილკომის თავდასხმისაგან და უსაყვედურებს ადგილკომს, რომ უკანასკნელი ადმინისტრაციას უყურებს, როგორც „კაპიტალისტს", და არა როგორც მუშების და გლეხების ისეთსავე დამცველ ორგანოს, როგორიც არის პროფკავშირი.

„მიზანი ჩვენ ერთი გვაქვს, მხოლოდ შრომა გვაქვს ერთმანეთს შორის განაწილებული", ამბობს ამხანაგი, რომ ერთმანეთში სადავო არაფერი უნდა გვქონდეთ".

მაშ, რაღა საჭიროა კავშირი?

უნდა გავიგოთ მისი აზრი ისე, რომ ადმინისტრაცია და ადგილკომი მხოლოდ შეთანხმების გზით უნდა აწესრიგებდნენ ყოველგვარ საკითხებს.

რა თქმა უნდა, ასეთი გზა პრინციპიალურად მიუღებელი არ არის, რამდენად ასეთი შეთანხმებითი მუშაობა არ ვნებს კავშირის ავტორიტეტს, მაგრამ დღეს ადმინისტრაციასთან თანხმობით მუშაობა ხშირად გადადის ადმინისტრაციასთან „მაჩანჩალობაში", რაც დამღუპველ გავლენას ახდენს კავშირის მუშაობაზე და მის ნდობაზე საკავშირო მასაში.

ადგილკომის კულტმუშაობა მოიკოჭლებს,

მიუთითებდნენ ადგილკომს ზოგიერთ დეფექტებზე, განსაკუთრებით კულტურულ მუშაობის დარგში. ირკვევა, რომ კლუბში თითქმის არავინ დადის და ამას ხსნიან იმით, რომ კლუბის მუშაობის შინაარსი, არ არის დამაკმაყოფილებელი.

კედლის გაზეთი არ გამოდის და ადგილკომის მუშაკებიც სჩანს, მაინცა და მაინც სიმპატიურად ამ საქმეს არ უყურებენ; თითქოს საბჭოთა დაწესებულებაში კედლის გაზეთს არ შეუძლია შეასრულოს ის როლი, რომელსაც ის ასრულებს წმინდა მუშურ დაწესებულებებში. ეტყობა ამხანაგებს არა აქვთ შეგნებული კედლის გაზეთის მნიშვნელობა პროფესიონალური კოლექტივის შექმნისათვის და მასიური მუშაობის გაჩაღებისათვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი ამხანაგების გამოსვლებიდან ისეთი დასკვნა გამომდინარეობდა, რომ თითქოს კავშირის მუშაობა მხოლოდ აპარატით სწარმოებს და არა მასიური თვითმოქმედების გამოწვევით და კოლექტიური სულის შეტანით საკავშირო მასაში. ამ მხრივ კი დღეს, აშკარად გვაქვს ნიშნები მუშაობის გაჯანსაღებისა.

„არ იფიქროთ", ამბობს ერთი ამხანაგი, რომ სტუმრების პატივსაცემად იჩენს ჩვენი კრება ასეთ აქტივობა-საქმიანობას. ეს აიხსნება მით, რომ ყველა ჩვენთაგანი დღეს გრძნობს მეტ პასუხისმგებლობას, ვინემ დღემდე ვგრძნობდით".

მართლაც, კრება მეტისმეტად ცოცხლად და საქმიანად ჩატარდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ კავშირების მასიური მუშაობის გაჩაღებისათვის ჩვენ მუშა-მოსამსახურეებში ობიექტიური პირობები უკვე მზად არის. საჭიროა მხოლოდ სწორი ხელმძღვანელობა პროფესიონალური ახალი ხაზის ცხოვრებაში სისწორით გატარებისათვის. **გ. მელქაძე.**

პროფორგანიზაციები და ახალგაზრდობა

(ა.-კავკასიის პირველი თათბირი პროფკავშირების მუშაობის შესახებ მუშა-ახალგაზრდობაში)

მოხსენებები ადგილებიდან

თათბირის გახსნის პირველ დღეს, 9 ოქტომბრის სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. ხარქისოვის მოხსენება.

ამხ. ხარქისოვის მოხსენება.

მან აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა გაგზავნა საქართველოს პროფორგანიზაციებში დაიწყო 1923 წელს, მაგრამ მაშინ ყველა კავშირებში არ ყოფილან წარმომადგენლები, ზოგ კი არ არის ისეთი პროფკავშირი, ან ძირითადი პროფორგანიზაცია სადაც ასეთები არ იყოს. მათი რაოდენობა ეხლა უდრის—1,706 კაცს.

გარდა ცენტრისა, მუშაობა სწარმოებს სამაზრო პროფბიუროებში, სადაც მუშაობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული. მომხსენებელი ამასთანავე ეხება სოფლად მუშაობას და ამბობს რომ ამ მხრივ უმთავრესი საქმიანობა სწარმოებს მოჯამაგირეთა შორის, რომელთაგან ამჟამად აღრიცხულია—5.526 კაცი, დადებულია შრომის ხელშეკრულება დამქირავებლებთან, რაც სისწორით ხორციელდება.

მომხსენებელი ეხება მოზარდთა გაგზავნას სამუშაოზე და ამბობს, რომ ამ მხრივ ცუდათაა საქმე.

შემდეგ იგი გადადის მოზარდთა და ახალგაზრდობის უმუშევრობაზე. აღნიშნავს, რომ ჩვენში სულ 803 უმუშევარი მოზარდი და ახალგაზრდა ყოფილა და ამბობს, რომ რათა მომავალში ადვილად ხდებოდეს მათი გაგზავნა სამუშაოზე, ამიტომ საჭიროა მათგან კვალიფიციური მუშაკების მომზადება.

გადადის რა მოზარდთა შრომის დაცვაზე, მომხსენებელი თათბირს აცნობს რომ წელს ჩატარდა მათი საექიმო გამოკვლევა: 1041 კაციდან—515 ავადმყოფი აღმოჩენილ, რისთვისაც წარსულ ზაფხულს ისინი და მათთან სხვებიც გაუგზავნიათ დასასვენებელ სახლებში.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საქარხნო-საფაბრიკო სკოლებს, ახალგაზრდობის კულტურულ მდგომარეობას და ამბობს, რომ მათი კულტურული დონე თანდათან იზრდება. ერთ ნაკლად აღნიშნავს პროფგაუნათლებლობას, რის სალიკვიდაციოთ იხსნება სპეციალური კურსები. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურაში ყოფილა ჩაბმული ჩვენში—1793 მოზარდი და ახალგაზრდა მუშა.

მეორე დღე.

(დილის სხდომა)

გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან.

სომხეთის წარმომადგენელი ამხ. დარახჩევი აღნიშნავს, რომ პროფორგანიზაციებში ახალგაზრდობის წარმომადგენლობას მხოლოდ ეხლა ეძლევა ორგანიზაციული ხასიათი. მომხსენებელი მიუთითებს, რომ სომხეთი უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ამის გამო უმთავრესი ყურადღება ექცევა მუშაობას სოფლის მოჯამაგირეთა შორის.

შემდეგ გამოდის ამხ. სამოხინი, რომელიც აკეთებს მოხსენებას, რკინისგზის პროფკავშირების მუშაობის შესახებ ახალგაზრდობაში.

იგი ამბობს, რომ ტრანსპორტის პროფორგანიზაციებში ჩაბმულ ახალგაზრდობას ნაკლები აქტივობა ემჩნევა მუშაობაში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება.

მოზარდთა გაგზავნა სამუშაოზე რკინის გზებზე დამთავრდება ამ დღეებში.

კამათი

ადგილებიდან—მოხსენებებს ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა ამხანაგმა.

უმუშევრობასთან ბრძოლა

კამათის დასრულების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ხიმოჩაცის მოხსენება ახალგაზრდობის უმუშევრობასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ.

მომხსენებელს მოჰყავს ციფრები უმუშევრობის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ მთელი უმუშევართა 92 პროცენტს შეადგენს ახალგაზრდობა.

უმუშევრობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად მომხსენებელს მიაჩნია ყველა უმუშევარ ახალგაზრდობის მხოლოდ საშუამავლო ბიუროს საშუალებით გაგზავნა სამუშაოზე. ის საჭიროდ ცნობს სამუშაოზე გასაგზავნ მოზარდთა შერჩევას, მათთვის საზოგადო სამუშაოებში ჩაბმას, მათგან შრომის კოლექტივების შექმნას და სხვა.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. ვოსტრიკოვმა თათბირს გააცნო თავისი აზრი, ახალგაზრდობის საწარმოო და პროფტეხნიკური განათლების შესახებ.

მომხსენებელმა მიუთითა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა რათა საწარმოო და პროფტეხნიკურმა განათლებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს.

როგორც ამხ. სიმონოვის, ისე ვოსტრიკოვის მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი.

მესამე დღე

დილის სხდომა

ხელფასი და შრომის ნაყოფიერება.

ამ საკითხზე მომხსენებელი ამხ. შვარცი ამბობს, რომ თუმცა ჯერ მასალები არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც აღსანიშნავია შრომის ნაყოფიერების საგრძნობი ზრდა წარმოებებში, რის გამოც განზრახულია ხელფასის მომატება.

ეხება რა მოზარდთა ხელფასს მომხსენებელი ამბობს, რომ უნდა მოხდეს მათი გამოცდა, ხელფასის მოსამატებლადო, რასაც ბუნებრივად მოჰყვება მათი გადაყვანა თანრიგებში. მომხსენებლის აზრით მოზარდები დაშვებულ უნდა იქნენ ნარდ სამუშაოებზე, ეს მათ ხელფასსაც მოუმატებს და ცოდნასაც მეტს მიაღებინებს, მაგრამ მათში მონაწილეთა უმრავლესობამ გაილაშქრა ამხ. შვარცის ამ წინადადების წინააღმდეგ.

შრომის კანონმდებლობა

მოხსენებას აკეთებს ამხ. გოლდბრეიხი—იმაზე თუ რას ითვალისწინებს შრომის კანონმდებლობა მოზარდთა დაცვის საკითხში.

მომხსენებელი აცნობს თათბირს შრომის კანონთა კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც ეხებიან მოზარდთა უფლებების დაცვას.

თათბირი ამ მოხსენებას იღებს ცნობად და ადგენს, რომ აღნიშნული წიგნაკი გამოცემულ იქნეს ნაციონალურ ენებზე.

შემდეგი მომხსენებელი ამხ. კუჩუროვი ეხება წარმოებებში მოზარდთა გაგზავნას და მოწაფეობას. იგი ახასიათებს, თუ როგორ ტარდება ცალკე რესპუბლიკებში მოზარდთა გაგზავნა წარმოებებში და თათბირს აცნობს თავის აზრს, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს იგი.

მოჯამაგირეობა

მოჯამაგირეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სემკოვმა.

მისი სიტყვით მთელ ამიერ-კავკასიაში ყოფილა—40.000-ზე მეტი მოჯამაგირე—გაფანტულია ა.-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში.

მხოლოდ ეხლა ხდება მათი შეკავშირება მიწა-ტყის კავშირში ჩარიცხვით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მოჯამაგირეობის საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია საბოლოოდ და მისი შესწავლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამისათვის იგი მოუწოდებს თათბირს, მიღებულ რეზოლიუციაში შეიტანონ შესაფერი მუხლი.

საღამოს სხდომაზე

თათბირმა მოისმინა კომისიების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი რეზოლიუციები თითოეულ საკითხზე ცალ-ცალკე. რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

სასოფლო მეურნეობა

ბაზრის მოპოვება ჩვენი ღვინოებისათვის.

ჩვენი მევენახეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სასარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის, როცა ჩვენ შევძლებთ ღვინოების გასაღებას ხელსაყრელ ფასებში.

ჩვენი ღვინის უმთავრესი დიდი ბაზარი არის რუსეთი და ამ ბაზარს უნდა გაუფრთხილდეთ; ჩვენ უნდა შევეცადოთ ნამდვილი თავი ღვინო მივაწოდოთ მომხმარებელს და არამცდაარამც არ გავაზვიადოთ ღვინის ფასები.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ალაგების ღვინოები განთქმულია ბაზარზე და მუშტარიც ეტანება.

ჩვენს ქვეყანაში არის ღვინის სხვადასხვა რაიონები, სადაც თავისებური ღვინოები კეთდება, რომლებიც ერთი მეორისაგან შესამჩნევათ განირჩევიან. კახური, იმერული, რაჭული ღვინოები ერთი მეორეში არ აირევა მუშტრისაგან და ბაზარი მათ ცნობს ცალცალკე.

ცალცალკე რომ ავიღოთ დასახელებული რაიონები, თვით რაიონებშიც არის ცალკე ალაგები, რომლებიც განთქმული არიან თავიანთ ღვინოებით; მაგალითად, კახეთში—წინანდალი, თელიანი, ნაფარეული, კარდანახი და სხვა ცნობილი არიან ფართო ბაზარზე, როგორც საუკეთესო ღვინოების ალაგები. იმერეთში—სვირი, ბაღდათი და სხვა განთქმული არიან აგრეთვე საუკეთესო ღვინოებით. მაგრამ ამ ალაგებს სახელი გაუვარდათ ბევრი მუშაობისა დახარჯის შემდეგ. ბაზარზე სახელის მოხვეჭა ნაწარმოებისათვის არ არის ადვილი საქმე. ბაზრზე სახელის მოსახვეჭათ უპირველესად საჭიროა, რომ ნაწარმოები იყოს მაღალი ხარისხის. მაგრამ რაც უნდა მაღალი ხარისხის იყოს ნაწარმოები, მის გასაღებას და ბაზრის გაჩენას თავიდან უსათუოდ ესაჭიროება რეკლამა—განცხადებები, აგენტები და სხვა, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ბევრი რეკლამისა და მეცადინეობის შემდეგ ითქვამს სახელს და იხვეჭს ფართო ბაზარს ესა თუ ის კოოპერატივი ან ფირმა. ამისათვის, რომ რეკლამებში ხარჯავენ ათი და ასი ათასობით, რადგან რეკლამა ძლიერი საშუალებაა ბაზრის მოსაპოვებლათ, ამისათვის ფირმები ხარჯებს არ ერიდებიან.

თუ ფირმამ ერთხელვე სახელი გაითქვა, ის თვალისჩინივით უფრთხილდება თავის სახელს და არავის აღარ მისცემს ნებას, რომ მისი სახელით სხვამ ისარგებლოს თავისი ნაწარმოების გასასაღებლათ. ამაზე კანონიც არსებობს.

იმ ღვინოებს, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს და ბაზარზე ცნობილი არიან, უსათუოდ უნდა შეუნახოთ სახელი; ბევრს ნიშნავს ღვინის სახელი; განგებ ცდილობენ ისეთი სახელი მისცენ ღვინოს, რაც უფრო ადვილი სათქმელია და ცნობილი; ხშირათ იმეორებენ, მრავალ გაზეთებში, ჟურნალებში, ცალკე ფურცლებზე სწერენ განცხადებებს და აჩვევენ მომხმარებელს სახელს; ამნაირათ ავრცელებენ ღვინოს.

ჩვენ ახალი სახელები რომ გამოვუგონოთ ჩვენს ღვინოებს და ძველი სახელები მივატოვოთ, ამით გადავაჩვევთ ძველ მომხმარებლებს ჩვენ ღვინოს ყიდვას და ახალ მუშტრების შეძენამდის კი ბევრი დრო გაივლის, რეკლამებშიაც კი ბევრი ხარჯი მოგვინდება.

ყოვლად დაუშვებელია ვაჭრობის შეწყვეტა; როცა არსებობს ფირმა, მას ყავს თავისი მუშტრები. ერთ დღესაც რომ შეწყვიტო ვაჭრობა, ისიც დიდ ზარალს აძლევს ფირმას, უკარგავს მუშტრებს. მაგრამ თუ კვირაობით და თვეობით იქმნა შეწყვეტილი ვაჭრობა, ეს ფირმის დაკეტვას ნიშნავს ვაჭრული ანგარიშით.

სამწუხაროდ, ჩვენში ამას წინად ზოგმა კოოპერატივებმაც კი შესწყვიტეს ვაჭრობა რამოდენიმე თვით რაღაც მოსაზრებით და ამნაირათ გაიხარეს კერძო ვაჭრები. რა თქმა უნდა გამოცდილი ხელმძღვანელი ამათ არ ჩაიდენს და არც ჩაუდენიათ კოოპერატივების ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებიც იცავდენ კოოპერატივის წევრების ინტერესებს და აინტერესებდათ დიდი ხარჯით მოპოვებული ბაზარი და მუშტარი.

ქოქე ბერეჟაშვილი.

მებამბეთა თათბირი

12 ოქტ. დღის 12 საათზე წარმოკავშირთან გაიხსნა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების წარმომადგენელთა თათბირი მებამბეობის შესახებ.

თათბირს დაესწრო 12 ამხანაგობის წარმომადგენელი, 1 ბორჩალოელ მებამბე გლეხების წარმომადგენელი, მთავარ მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენელი მოსკოვიდან ამხ. რაგოჟინი, საქარბამბის წარმომადგენელი—ამხ. გიგინეიშვილი და კრიშტალი, მ.-გ. ინსპექციიდან ბელინჩუკი. თათბირი გაიხსნა ამხ. ლადო ლ. უმბაძის მისასალმებელი სიტყვით, რის შემდეგ შემუშავებული იქნა დღის წესრიგი შემდეგი სახით: 1) ბამბის ოპერაციების ჩატარების შესახებ გასულ წელს საქართველოში, 2) წლევანდელი მოსავლის დამზადების გეგმა და ფასები, 3) 1925—26 წლის მუშაობის გეგმა, 4) ბამბის ნათესების მელიორაცია, 5) მომარაგება, 6) ბამბის ნათესების დაზღვევა და მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა წარმოკავშირის საბამბო სექციის გამგემ ამხ. უზნაძემ, მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ბამბის ოპერაციების ჩატარებას გასულ წელში და აღნიშნა შემდეგი: გასულ წელს—ამბობს მომხსენებელი—თანახმად საქბამბის კომიტეტთან დადებულ პირობისა, ჩვენ უნდა დაგვემზადებია კახეთსა, ბორჩალოსა და ყარაიაზში ქულად 53.844 ფ. ბამბა—ღირებული 245,742 მან., იმერეთში კი 20.072 მანეთის. გადამუშავებული და ჩაბარებული იქნა 342,777 მან. 78 კ. ბამბა.

გადამუშავება ბამბის და თვითღირებულება უდრიდა 315,674 მან. 96 კ., ამ რიგათ მოგება (342,777 მან. 78 კ.—315,674 მან. 96 კ.) დარჩა 27.102 მან. 82 კაპ.

აქედან წარმოკავშირმა, თანახმად ხელშეკრულებისა, მოკავშირე ამხანაგობებს, რომლების საშუალებით ადგილებზე სწარმოებდა ბამბის დამზადება, მისცა მოგებიდან 70 პროც., ე. ი. 18,971 მან.

აგრეთვე საქბამბის კომიტეტიდან მიღებულ თანხიდან მებამბე გლეხებს დარიგებული ჰქონდათ ავანსები, ცუდი ბამბის ჩაბარებისას მათთვე მიეცათ განსხვავება ბამბის ჩაბარების დღეს არსებულ ფასების მიხედვით.

იმავე მომხსენებელმა გააკეთა მოხსენება მეორე საკითხზე. მან სთქვა, რომ საქბამბის კომიტეტთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, მოკავშირე ამხ. საშუალებით ჩვენ წელს უნდა დაგვეთესა 6246 დესეტინა, რის მიხედვით მებამბე გლეხებს ავანსათ მიეცათ დაახლოვებით 391,000 მან., ნამდვილათ კი დაითესა 5530 დესეტინა, აქედან გვალვებმა დააზარალა 600-მდე დესეტინა.

მოსავალი დაახლოებით უნდა იყოს 190,000 ფუთი ნედლი ბამბა.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ამხანაგობები მოითხოვენ იმდენ პროცენტს მოგებიდან, რამდენიც საჭირო იქნება საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

მომავალ წელში ბამბის დათესვის გეგმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კრიშტალი. ის პირველად შეეხო ბამბის მოსავლის რაოდენობას ომამდე. მისი გადმოცემით ბამბის მოსავლის სრულ 100 პროც. იძლეოდა აზერბეიჯანი, სომხეთი 85 პროც., შუა აზია 76 პროც. ხოლო საქართველო—40 პროც. მომავალ წელში ბამბის მოსავლის ასაწევათ, მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია, რათა უმუშევართა დიდი ნაწილი განაწილებული იქნას ბამბის მოსავლისათვის სავარგისიან ადგილებზე და ისინი ჩათრეული იქნან ბამბის მეურნეობაში. მეურნეებს უნდა გაეწიოთ დახმარება როგორც იარაღებით, ისე ფულით და დავაინტერესოთ ისინი ბამბის ხარისხის გაუმჯობესებაში, რაც ასწევს მათ მიერ გაწეულ შრომის ფასს.

აგრეთვე საჭიროა ამხ-ბებმა დროზე დაამზადონ და შემოიტანონ ბამბა, რაც ხელს შეუწყობს ბამბის დროზე რეალიზაციას და ამავე დროს მოგვცემს საშუალებას გავამართლოთ ხელისუფლების ნდობა, რომელიც გამოიხატება მისგან სესხების მიღებასა და სხვა დახმარების გაწევაში.

ამით დამთავრდა პირველი სხდომა, რომლის გაგრძელება გადაიდო საღამოსათვის.

ჯ.

წითელ ჯარში

როგორ მიმდინარეობს 1903 წ. დაბადებულთა გაწვევა

საქართველოს ტერიტორიალურ ნაწილების სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს ჯარში გაწვევის კამპანია.

წლევანდელი პირობები ჯარში გაწვევისა ძირითადით განსხვავდება წასული წლის გაწვევისაგან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წელს შეღავათების 3 კატეგორიაა. წელს ნაცვლად შარშანდელი 4-სა. შარშან ახალ წვეულების გასინჯვა, შემოწმება და გაგზავნა ნაწილებში ერთ დღეს ხდებოდა, რაც ბევრ გაუგებრობას და შეცდომებს იწვევდა და საჩივრებს ახალწვეულების მხრივ და ცენტრს უხდებოდა მათი გარჩევა. წელს უკვე, რათა ჯარში გაწვევის საკითხი მოწესრიგებულიყო და შეცდომებს და დეფექტებს ადგილი არ ჰქონოდა, ტერიტორიალურ ნაწილების სამმართველომ გამოიმუშავა ჯარში გაწვევის ახალი წესი.

ამ წესის თანახმად ადგილებზე, კომისიები, რომლებიც მუშაობდენ წინეთ ახალწვეულების მისაღებად, კვლავ არსებობენ და მუშაობენ, მაგრამ ისინი განთავისუფლებული არიან ახალწვეულების ნაწილებში გაგზავნის მოვალეობიდან და მათ მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ახალწვეულის ჯანმრთელობის გამოკვლევა, გამორკვევა იმის იცის თუ არა მან ქართული ენა (ეს აუცილებელია საკადრო ნაწილებში ახალწვეულის გასაგზავნად) და გამოკვლევა მათი სოციალური და ოჯახური მდგომარეობის.

როცა კომისია მოაგროვებს ყოველგვარ მასალას ახალწვეულთა რაოდენობის შესახებ მაზრაში, ცნობებს, თუ რამდენს ეკუთვნის 1, 2 თუ 3 ხარისხის შეღავათი. ამ მასალებს აგზავნის ცენტრში—ტერიტორიალურ სამმართველოში და ამით კომისიის მოვალეობა შესრულებულად ითვლება, სხვათა შორის, კომისიას აქვს უფლება განთავისუფლოს ახალწვეული, თუ შემოწმება დაამტკიცებს, რომ ის უვარგისია სამსახურისათვის.

ტერიტორიალური სამმართველო მიღებულ მასალათა მიხედვით ანაწილებს ახალწვეულებს იმის თანახმად თუ, რომელ ნაწილში რამდენი კაცი უნდა გაიგზავნოს.

წელს შესაძლებელია, რომ ახალწვეულების რაოდენობის შევსება შეღავათიანებით არ იქნება საჭირო, თუ ეს საჭირო შეიქნა, შევსება არ გადასცილდება მე-3 კატეგორიას.

ეხლა საჭიროა შევეხოთ დეზერტირობას. შესაძლებელია იგი თუ არა ამ ახალი წესის დროს?

როგორც ვიცით, ძველად გაწვევის დროს ეს ბოროტება ხშირი იყო, ახალწვეული იპარებოდა, მას იჭერდენ, სასამართლო მას სჯიდა და ამით თავდებოდა საქმე. სასჯელს დეზერტირი იხდიდა და თავისუფალი იყო.

ეხლა ტერიტორიალური სამმართველო ყოველ ახალწვეულს ნიშნავს ამა თუ იმ ნაწილში ისე, რომ იგი თავის დროზე გამოცხადდება თუ არა ამას მნიშვნელობა არ აქვს. იგი ჯარში სამსახურს ვერ გაექცევა, რაც ადრე მივა ნაწილში, მისთვის უმჯობესია, თორემ დაგვიანებით იგი თავის თავს ავნებს, რადგან გაძლიერებული მეცადინეობით მას უსათუოდ დააწევენ ამხანაგებს.

ჯერ-ჯერობით კომისიების მუშაობა წესიერად და ინტენსიურად მიმდინარეობს, გამოცხადებაც წესიერია: რაც შეეხება ნაწილებში ახალწვეულების გაგზავნას მისი დაწყება განზრახულია დაახლოებით 25 ოქტომბრიდან.

განათლების ფრონტზე

სასოფლო-სამეურნეო სკოლები აჭარისტანში.

აჭარისტანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა მუშაობას აჭარისტანში სასოფლო-სამეურნეო სკოლების გასახსნელად. გამომუშავებული გეგმის მიხედვით განზრახულია ჯერ-ჯერობით მთელს ავტონომიურ ოლქში გაიხსნას მხოლოდ 4 სასწავლებელი. ერთ-ერთი სკოლა გაიხსნება ქოროხის მაზრაში, სადაც სასწავლებელს გადაეცა ადგილობრივი სანერგე, რომელიც ერთ-ერთ დიდ საწარმოო სანერგეთ ითვლება მთელს აჭარისტანში.

ჯავახეთის სასწავლებლები.

ჯავახეთის ყველა სოფლებში დაიწყო სწავლა—იმ თემების გამოკლებით, სადაც ამ ჟამად სკოლების შენობების აგება და შეკეთება მიმდინარეობს. სკოლის ახალი შენობები კეთდება სოფელ კარზახში, ზაკში, ხოჯაბეკში. დანარჩენ სოფლებში სკოლების შენობათა შეკეთება დამთავრდა. მიმდინარე წელს გაიხსნა გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, სადაც მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

კახეთის სკოლებში

მიმდინარე წელს კახეთის სასოფლო სკოლებს მოაწყდა აუარებელი ახალგაზრდა. შენობების უქონლობის გამო შეუძლებელი შეიქნა ყველა მსურველთა მიღება. ასეთი მდგომარეობა თავიდანვე მოსალოდნელი იყო, წინასწარ ზომებიც იყო მიღებული სკოლების შენობათა შესაკეთებლად, საკლასო ოთახების რიცხვის გასადიდებლად, პარტების შესაძენად, მაგრამ საკმაო თანხების შეუკრებლობის გამო, შენობების შეკეთება-მოწყობის დაგვიანდა.

ელექტრო-ტეხნიკუმი ქუთაისში

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი ხსნის ქუთაისში ელექტრო-ტეხნიკუმს 4 წლიანი კურსით, წელს გაიხსნება 3 ჯგუფი—100 მოწაფისათვის. ელექტრო-ტეხნიკუმისათვის უკვე შეძენილია 3 ლაბორატორია, მეოთხე—მექანიკური ლაბორატორია შეკეთილია.

ელექტრო-ტეხნიკუმზე შესვლის მსურველთა განცხადებების მიღება გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე. საკონკურსო გამოცდებზე, რომელიც 15 ოქტომბერს დაიწყება, დაშვებული იქნება 300 ახალგაზრდა, რომელთაც 7—9 წლედის სკოლები აქვთ დასრულებული.

ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი

ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი დაარსდა 1922 წ. ამჟამად იგი მოთავსებულია ყოფილ რეალურ სასწავლებლის შენობის საეკლესიო დარბაზში. ერთი წლის განმავლობაში სწარმოებდა მუზეუმის მოწყობა-მოწესრიგება. მუზეუმის საგანძურს შეადგენს იმერეთ-ოდიშის სიძველეთა კოლლექციები, არქეოლოგ. შმიდტის მიერ მოწამეთის ახლო ნაპოვნი ქვის საუკუნის იარაღები. კრიუკოვსკის მიერ მდ. ყვირილის ნაპირების გათხრის დროს აღმოჩენილი მოვთები და სხვა.

სიძველეთა ნაშთების მოტანა მუზეუმში ახლაც გრძელდება.

მიმდინარე წლის აგვისტოში მუზეუმს შეემატა ლეჩხუმიდან ჩამოტანილი 20 ნივთი: ბრინჯაოს ცულები, ამულეტები, პირველყოფილი სადურგლე იარაღები და სხვა. ნივთები ბრინჯაოს საუკუნის ნაშთს წარმოადგენენ.

აგვისტოს დამლევს მუზეუმმა მიიღო კიდევ დანები, ხერხები ფარი, სადგისი, რომელნიც ქვის საუკუნის ნაშთებს ეკუთვნიან.

მუზეუმის გამდიდრების საქმეს ხელი შეუწყო აგრეთვე დევრეტმა ისტორიული მნიშვნელობის საეკლესიო განძეულობის მუზეუმზე გადაცემით. სექტემბრის შუა რიცხვებში მუზეუმში მოტანილ იქნა ბერძნული სტილის ხატები იშვიათი ბერძნული ემალით, რომლის წარმოშობის თარიღი მე-10 საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო წარწერები მე-[illegible] საუკუნეს. ეს განძეულობა ქუთაისის მუზეუმში ჩამოტანილია სოფ. უბისიდან და კახარიდან (სად. მარტვილის ახლოა).

ძველი განძეულობის და იშვიათ ძვირფასს ისტორიულ ნივთებს გარდა მუზეუმში ინახება ფალოსის კერპი, რომელიც თაყვანისცემის და კულტის საგანი იყო ორი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე.

კერპობის ეს ნაშთი ნაპოვნია სოფელ ბაღდადის ახლო.

აქვე ინახება ხელთნაწერი სახარება, რომლის სიგძე უდრის 4 სანტიმეტრს, ხოლო სიგანე 3 სანტ. სახარების ტექსტი დაწერილია ისეთი წვრილი ხელით, რომ მისი წაკითხვა მოსახერხებელია მხოლოდ გამადიდებელი შუშით. სახარება დაუწერია ვინმე მანუჩარს, და 1501 წლიდან ინახებოდა აბაშიძის სახლში. მუზეუმის საყურადღებო ხელთნაწერს წარმოადგენს აგრეთვე წმ. მაკარის ცხოვრება, რომელიც დაწერილია მეცხრე საუკუნის დამლევს პირველი მხედრული შრიფტით.

მუზეუმში ინახება აგრეთვე ძველი ფულები, რომელიც იხმარებოდენ კოლხიდაში 3 საუკუნის წინად ქრ. დაბადებამდე.

აქვე ინახება სამხედრო სამოქალაქო სამკაულები, იარაღები სამუსიკო ინსტრუმენტები და სხვა.

ახალი დასასვენებელი სახლი

ა/კავკასიის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ დაადგინა უახლოეს დროში შეუდგეს დასასვენებელი სახლის აგებას თავის თანამშრომლებისათვის.

ამისათვის გაცემულია განკარგულება ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე თანხების გამოსათხოვად მთელ ოლქში, თანახმად ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ცირკულიარისა.

სპეციალურად არჩეულ კომისიას მიცემული აქვს წინადადება, სასწრაფოდ წარუდგინოს პრეზიდიუმს სახლის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

ქრონიკა

საკავშირო. სავაჭრო. კომისიაში.

— საკავშირო სავაჭრო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ წარდგენილი გეგმა 1925—26 წლის პირველ მეოთხედში, რესპუბლიკებში საქონლის შემოტანის შესახებ.

ამ გეგმის თანახმად ამიერ-კავკასიაში შემოტანილი უნდა იქნეს—16.112.000 მანეთის საქონელი.

პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის შემდეგი საქონლის შემოტანას: ბამბა-ქაღალდის ქსოვილები, ლითონის ნაწარმოები, ტყავის ნაწარმოები, შაქარი, ფანჯრის მინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, კალოშები და სხვა.

თბ. აღმასკომში

— წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მომავალ წლის განმავლობაში გახსნილი იქნება თბილისის მაზრაში ახალი სალიკვიდაციო პუნქტები, სადაც წერა-კითხვას შეისწავლის 12,000 გლეხი.

— მანგლისის სავადმყოფოსთან მომავალ წელში გახსნილი იქნება სადოსტაქრო განყოფილება.

— ბაღი ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან გააშენოს ბაღი. ბაღს გარდა იმისა, რომ იქ ხალხი დაისვენებს, მნიშვნელობა ექნება იმ მხრივაც, რომ აქ მოეწყობა ვაჭრობა და ამასთანავე ფუნიკულიორის ახლო მცხოვრებთ ექნებათ დასასვენებელი ადგილი ზაფხულის ცხელ დღეებში. ეს საკითხი ეხლა, ყოველმხრივ შესასწავლად გადაეცა აღმასკომის საგეგმო კომისიას.

სანამ აღნიშნული ბაღი გაშენდებოდეს, ტრამვაის დირექცია ამ ადგილის ააგებს ხის ფარდულს, სადაც ხალხი დაისვენებს.

ჯანმრ. სახ. კომისარიატში.

— კბილის ექიმობა. ჯანსახკომის განკარგულებაში მყოფი კბილის საექიმო ამბულატორიებში მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში ისარგებლა 32,091 მოქალაქემ.

— თეთრეული მაზრებს. გასული სამეურნეო წლის პირველ მეოთხედში თეთრეულობით დახმარება უპირველესად ეძლეოდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს.

თბ. დამზღვევ სალაროში

— სამსახურში შესახვედრელად. თბ. დამზღ. სალარომ დაადგინა სამსახურში შემსვლელ მუშა-მოსამსახურეთათვის შემოიღოს სავალდებულო საექიმო შემოწმება.

— საზამთრო კურორტებზე დამზღ. სალარო აგზავნის 120 დაზღვეულს.

დამზღვევ სალაროში

— წამლეულობის გაცემის გაადვილება. თბ. დამზღვევ სალაროს დადგენილებით ავადმყოფ დაზღვეულებს წამლები მიეცემათ ყველა აფთიაქებიდან.

— ამბულატორიების განტვირთვის მიზნით დამზღვევ სალარომ დაადგინა შესწყვიტოს ამბულატორიებიდან მოწმობების გაცემა ავადმყოფების შესახებ.

სოც. უზრ. სახალხო კომისარიატში.

— სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გამოსაკვლევათ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საპენსიო განყოფილებამ ადგილებზე სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გამოსარკვევათ გამოიმუშავა საანკეტო ფურცლები და ამ დღეებში დაუგზავნის სამაზრო აღმასკომებს საჭირო ცნობების შესაკრებათ.

— ინვალიდების არტელებში ბოროტ-მოქმედების აღსაკვეთად. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ინვალიდების არტელებში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად გააძლიერა კონტროლი და მეთვალყურეობა.

წერკუმში

— თანახმად წერკუმს-ის ც. გამგეობის დადგენილებისა განზრახულია წერკუმს-ის სრ. საქართველოს ყრილობის მოწვევა ა. წ. 28 ნოემბერს.

— წერკუმს-ის ც. გამგეობა უკვე შეუდგა მზადებას კვირეულის ჩასატარებლად 1—7 ნოემბრამდე.

— წერკუმს-ის ც. გამგეობამ დაიწყო მაზრებში თავის ხარჯზე გახსნილ 500 სალიკვიდაციო სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და საკანცელარიო ნივთების დაგზავნა.

სოფლის კომუნისტი

— გამოვიდა ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 4. შინაარსი: გ. ბახტაძე—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ სოფლად, მამია ორახელაშვილი—მიწის ნაციონალიზაცია, როგორც კომპარტიის პროგრამული მოთხოვნა და საბჭოთა მიწის კანონის საფუძველი, თედო ღლონტი—თემის ბიუჯეტი და მისი მნიშვნელობა. გ. მუშიშვილი—საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტები, ალ. ჯიჯაძე—დაქირავებული შრომის საკითხების მოწესრიგება სოფლად, ალ. პაპავა—ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გადაცემა გლეხობაზე, ა. კეკელია—კომკავშირის საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად. ადგილობრივი ცხოვრება: ანურიძე—სოფლად პარტიულ ორგანიზაციის მუშაობის დეფექტები, ა. ურუშაძე—ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკული საკითხები. კ. ბ—ლი—ქალთა შორის მუშაობა და პარტიული უჯრედები, ილ. კილაძე—თემკომების მდივნების კურსები ბათომში. ბიბლიოგრაფია.

სხვადასხვა

— შინამრეწველთა და ხელოსანთა ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო 15 ოქტომბერს, გადაიდო რამდენიმე კვირით.

— ბიოლოგიური სადგური. მხარეთმცოდნეების ყრილობამ (ბათომში) მიზანშეწონილად სცნო შავი ზღვის სანაპიროზე, ბათომის ახლოს ააგოს ბიოლოგიური სადგური, რომელიც შეისწავლის ზღვის მცენარეებს და ცხოველებს.

— თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტი შეუდგა სკოლებისათვის ფიზიკური კაბინეტების საჭირო ნივთების დამზადებას.

— საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებების შესახებ მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა მიმდინარე წელს გამოსცა 2 წიგნი.

— საბინაო საიჯარო ამხ.-ბა. ამჟამად საქართველოში არსებობს 56 საბინაო-საიჯარო ამხ-ბა.

— აბრეშუმის თესლის დამზადებას ამჟამად რესპუბლიკაში აწარმოებს 2 სახელმწიფო აბრეშუმის სადგური—თბილისის და ქუთაისის. აგრეთვე 11 კერძო წარმოება და 2 ამხ-ბა.

— ტრაქტორების მიღება. ბათომში ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 40 ტრაქტორი.

— ფულის გადაგზავნა. საზღვარგარეთ უნებართვოთ შეიძლება გააგზავნოს ჩერვონცებით 200 მანეთამდე ყოველთვეში. ზედმეტი თანხისათვის საჭიროა ფინსახკომის ორგანოების ნებართვა.

— ქაღალდის ქარხანა. უმაღ. სამ. საბჭოს განზრახული აქვს ფოთში ააგოს ქაღალდის დამამზადებელი ქარხანა. ქარხანაში იმუშავებს 700 მუშა.

— თბილისის მუშათა კლუბების წრეების ხელმძღვანელთა აღრიცხვა. ა/წ. 15 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრამდე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 123), ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება აწარმოებს თბილისის ყველა მუშათა კლუბების წრეების ხელმძღვანელთა აღრიცხვას, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე ყოველდღე.

შეცდომის გასწორება.

კომუნისტის 234 ნომერში დაბეჭდილ წერილში: „ყოფილ მენშევიკთა „მუშათა კომისია“ ინგლისის საპარლამენტო დელეგაციასთან“ არის შემდეგი შეცდომა: ინგლისის პარლამენტში მუშათა ფრაქცია შესდგება 1914 წევრისაგან. უნდა იყოს 194 წევრისაგან.

შემდეგ სწერია: ადრევე ვიცოდით, რომ ეს პარტია გადასცდა სწორ, სოციალისტურ გზას. ეს ჯერ არ მოხერხდა...

უნდა იყოს: ადრევე ვიცოდით, რომ ეს პარტია გადასცდა სწორ, სოციალისტურ გზას, ვცდილობდით საქმის გამოსწორებას, მაგრამ ეს არ მოხერხდა...

შემდეგ ერთი დელეგატის შეკითხვაზე, თუ საიდან იცით, რომ თქვენთან 10.000 კაცი არისო... უპასუხებს ამხ. ვასო გოგიშვილი, რომლის გვარი გამოტოვებულია.

შემთხვევები

— თავდასხმა. 10 ოქტ. ღამის 3 საათზე ხაშურში მოიჯარადრე ჩიჩუას თავს დაესხნენ 2 შეიარაღებული ბოროტმოქმედი გაცარცვის მიზნით. მაგრამ თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

— შეპყრობა. 11 ოქტ. მე-2 თუმანოვის ქ. № 36 სახლში შეიპყრეს იმავე სახლში ქურდობისათვის შეპარული ვინმე გირუსოვი, 13 წ.

— ქურდი ცოლი. 11 ოქტ. ღამის 10 საათზე შეიპყრეს მოქ. ალიკოვის ცოლი, შირანა, რომელიც ბრალდება თავის ქმრის გამსხლში ყოფნის დროს, მისი ბინის გაქურდვა.

— ქურდობა. 11 ოქტ. ლოტკის ქუჩაზე მცხოვრებ პარასკევა ქალდიაშვილის ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— გვამის პოვნა. 11 ოქტ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის უკან ხრამში იპოვეს დანით მოკლული ქალის გვამი.

— ქურდი ქალი. 11 ოქტ. შეიპყრეს ქურდი ქალი აიუშ ამიკარიანცი.

— ქურდი ქმარი. 11 ოქტ. სამხედრო ქ. № 3, ნატალია ფრანგიშვილს მოჰპარეს 60 მან. დაზარალებულს ეჭვი აქვს თავის ყოფილ ქმარზე ტ. ქ-ზე.

— ჯიბგირობა. 9 ოქტ. მირიან ყოჩიაშვილს თავისუფლების მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 262 მან.

— ქურდი სტუმარი. 11 ოქტომბ. გონჩაროვის ქ. № 60, შუშანიკა ტერმანუველიანცს, მასთან სტუმრათ მყოფმა ხაჩატურიანცმა მოპარა საზამთრო პალტო, ღირებული 100 მ.

— ქურდი მოსამსახურე. 9 ოქტ. პავლოვის ქ. № 5, გრიგორ პოპოვმა განუცხადა მილიციას, რომ შეამჩნია ქურდობა მის მოსამსახურე აგრაფინა ივანოვას, რომელიც მიმალულია.

— ქურდობა. 11 ოქტ. გაქურდეს ვაკეზე მცხოვრებ ეგნატე ფაილოძის ბინა.

— იმავე დღეს ვარლისუბნის ქ. № 13 პარასკევა ღამბაშიძეს მოპარეს კოვერკოტის პალტო და სხვა ნივთები.

— ნივთების პოვნა. 11 ოქტომბ. მოქ. პეტრე ქაცარავამ მილიციაში წარადგინა ქუჩაზე ნაპოვნი ნივთები —ერთი ოქროს ბეჭედი და ხელსახოცი ფულით. დამკარგველს შეუძლია მიაკითხოს 1 კომისარიატში.

მუშათა ცხოვრება

ქორწინების საკითხი მუშებში

ყველამ ვიცით, თუ რას წარმოადგენდა ძველი მეუღლეობა, ძველი საეკლესიო-რელიგიური ქორწინება. იგი იყო მოცული ყოველგვარი „საიდუმლოებით“. ერთხელ, (შესაძლოა) შემთხვევითაც შეყრილ-დაქორწინებული მეუღლენი იძულებულნი ხდებოდნენ ეცხოვრათ ერთად, „განუყრელად“, მიუხედავათ იმისა, არსებობდა თუ არა მათ შორის ადამიანური, მეგობრული განწყობილება არავითარი ანგარიში არ ეწეოდა მეუღლეთა ხასიათის და სურვილების, სხვადასხვაობას. ეკლესია და ძველი ზნე-ჩვეულება არ უწევდა ამას არავითარ ანგარიშს. დაქორწინებულების განქორწინება ძალიან იშვიათი და თითქმის შეუძლებელიც იყო.

ეს გარემოება ოჯახში ჰქმნიდა საშინელ მდგომარეობას: ცოლი, რომელსაც ეზიზღებოდა თავისი ბოროტი, უხეში და უზნეო ქმარი, იძულებული ხდებოდა აუცილებლად მასთან ეცხოვრა, დამორჩილებოდა გათახსირებული „მამა-კაცის“ ყინიანობას და ბატონობას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რჩებოდა ყველასგან გარიყული.

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც ყველგან, აქაც—ქორწინებაში, ოჯახურ მდგომარეობაში, მოახდინა სრული გადატრიალება; მოაშორა მას „საიდუმლოების“ ბურუსი; გაანთავისუფლა იგი ყოველგვარ უსიცოცხლო ფორმალობის და „ცერემონიებისაგან“. ადვილი, მარტივი და ბუნებრივი გახადა ქორწინების და განქორწინების წესები. მოსპო ყოველგვარი წოდებრივი და კლასობრივი დაბრკოლებანი ქორწინების სფეროში, გაათანასწორა მეუღლენი ყოველგვარ უფლებებში, მამა-კაცის უსაზღვრო დესპოტიზმის შეზღუდვით. ამგვარად მეუღლეობას ეძლევა თავისუფალ და სრულუფლებიან პირთა თავისუფალი კავშირის ხასიათი. მამა-კაცი და დედა-კაცი თავიანთ სურვილების თანახმად ყოველგვარი საეკლესიო ფორმალობის გარეშე, თავისუფლად ქორწინდებიან და შორდებიან კიდეც ერთმანეთს.

ძველი, მონური ოჯახის ასეთი რადიკალური გადახალისება-გარდაქმნა უნდა ჩაითვალოს ახალი ყოფა-ცხოვრების უდიდეს მიღწევად. მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილეში კი ეს ჰუმანიური მეუღლეობა ხშირად მახინჯდება, იბილწება და იღებს სახელმწიფოსათვის საზიანო და დამაფიქრებელ სახეს. მეუღლეთა სურვილების თავისუფლება შეუგნებელ ან და შეგნებულ, მაგრამ გარყვნილ და უზნეო ადამიანებს ესმით თავისებურად, ეგოისტურად და სჩადიან თავიანთი პირადი ჟინიანობის და უზნეობის დასაკმაყოფილებლად ყოველგვარ უსამართლობას, ბოროტებას და უსინდისობას თავიანთ მეუღლეების მიმართ. მამა-კაცები და ხანდისხან დედა-კაცებიც, ბოროტად იყენებენ საბჭოთა კანონმდებლობას ქორწინების შესახებ, და არ გაივლის სამ-ოთხი თვე ქორწინების შემდეგ, რომ ქმარი ყოველგვარ პასუხისმგებლობის გარეშე სრულიად უნუგეშოდ, ყოველგვარ პატრონობის და საარსებო წყაროს მოკლებულს თავის მეუღლეს სტოვებს, ქუჩაში ერეკება. გახშირდა ცემა-დასახიჩრება ცოლ-ქმართა შორის (განსაკუთრებით მუშებში). ამაზე კიდევაც დაიწერა რამდენიმე წერილი ჩვენი მუშკორების მიერ. მამა-კაცები ხშირად სრულიად უმიზეზოდ სტოვებენ ულუკმა-პუროდ თავიანთ ცოლ-შვილს ქუჩაში.

ეს საშინელი სენი ნიადაგს პოულობს ჩვენ მუშებშიაც და უთხრის უფსკრულს ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნის საქმეს.

ოჯახის ასეთ მერყეობა-უნიადაგობას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს. უნდა იქნეს მტკიცედ დაცული ყოველ შემთხვევაში მუშა და გლეხ-ქალის და არასრულწლოვან ბავშვთა უფლება-ინტერესები.

ქორწინების ახალი კანონპროექტი სრულებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და ეს კანონპროექტი უნდა იქცეს კანონად და სისწორით და მთლიანად უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ლეწინელი.

განის ჩარდახი ფეხსადგილად

მე-9-რე სამილიციო უბანში, არდონის შესახვევში, № 3 სახლის პატრონს ჩარდახის ის ნაწილი, რომლის ქვეშაც სცხოვრობს მუშა-ქალი მარგალიტა პაპიძე თავის დედით, ფეხსადგილათ გადაუქცევია, თუმცა კი ფეხსადგილიც აქვს. ხსენებულ ქალებს ჩარდახიდან ჩამოდის სიბინძურე ოთახში.

მოარჯულეთ ბინძური ადამიანი.

მუშა—ასოთ-ამწყობი.

რა შუაშია ადმინისტრაცია

(პასუხად მუშკორ ტრამველს)

„კომუნისტი“-ს მე-220-ში „ტრამველი“ სწერს, რომ „ტრამვაის ადგილკომს ჰქონდა დაკვეთილი და კიდეც მიიღო სხვადასხვა გვარი ტანსაცმელები მუშებისათვის. ზოგი მუშებმა წაიღეს, ზოგი გარეშე პირებზე გაიყიდა და უმეტესი ნაწილი კი ტრამვაის საწყობებში ჰყრია და ლპება. ტრამვაის დირექცია, რაშია საქმე“?

ვაცხადებ, რომ ტრამვაის დირექციას არავითარი უფლება არა აქვს ადგილკომის საქონელზე, ტრამვაის ადმინისტრაციამ მხოლოდ ავანსის სახით მისცა ადგილკომს თამასუქების გამოსასყიდლად შეძენილ ტანისამოსის ღირებულება დაახლოვებით 9.000 მანეთამდის და ამ თანხას ადგილკომი იხდის ნაწილ-ნაწილად.

ტანისამოსის ყიდვა-გაყიდვა და მასზე ზრუნვა სრულიად და სავსებით ადგილკომის მოვალეობა-უფლებაში შედის და ტრამვაის ადმინისტრაციას არ შეუძლია ჩაერიოს ადგილკომის საქმეებში.

ტრამვაის დირექტორი
ფარნიევი.

კოოპერატივის დაარსების მოწინააღმდეგენი

შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირს თბილისში განზრახვა აქვს დაარსოს მეტყავეების კოოპერატივი სახელწოდებით—„საწარმოო კოოპერატივი „დაბალი“. დაბახანის ქარხნებში შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირს აღრიცხული ჰყავს 150-დე მშრომელი კავშირის წევრი, რომლებიც ჯერ-ჯერობით დამოუკიდებლად მუშაობენ. ამათი შეკავშირება კოოპერატიულ ამხანაგობაში აუცილებლად საჭიროა და ზომებიც არის მიღებული, წესდება დამტკიცებულია და მიმდინარეობს საწევრო გადასახდელების შეკრება. მაგრამ, სამწუხაროდ აქ არიან ძველი კულაკები შემოპარულნი, რომლებსაც ვერ მოუნელებიათ კოოპერატიულ წესებზე გადასვლა და ეწევიან [illegible] ხელოსნებს შორის აგიტაციას—კოოპერატივის დაარსების წინააღმდეგ. ასეთი პირი არის ალაბეგ ბიძიანცი და ძმანი მისნი.

საჭიროა ასეთი ელემენტები სულ განდევნილი იქნან ქარხნიდან და კავშირიდანაც.

მუშკორი შუქურა.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ამგვარ დატვირთვამ მუშები წელზე გაწყვიტა. ქალ. ონში (რაჭის მაზრა) არსებობს კომუნალურ განყოფილების სტამბა, სადაც მუშაობს ორი მუშა—ასოთ-ამწყობი და მემანქანე, რომელნიც ასრულებენ მემანქანეობას, ასოთ-აწყობას კორექტორობას და დარაჯის სამსახურსაც, შრომის ხელფასი კი მათ ძალიან მცირე აქვთ. მათ არ აძლევენ სპეცტანისამოსს.

შვებულების დროს რჩება ერთი კაცი და მთელი ეს სამუშაო მანვე უნდა გააკეთოს—ხელფასის მოუმატებლად.

ეს უსამართლობაა და უნდა გამოასწოროთ!

მუშა—ასოთ-ამწყობი.

— როდის გაგვისწორდებიან ანგარიშს? შორაპნის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გაწერაზე დროებით მომუშავეებად სამფინგანის მიერ მოწვეული იქნა 85 კაცი. აქედან სამუშაოს შემცირების გამო უკვე დათხოვნილია 30 კაცი.

სამი კვირა გავიდა და მათ სამფინგანი ანგარიშს არ უსწორებს; სიარული კი ანგარიშის მისაღებად ყოველ დღე უხდებათ.

სამფინგანის გამგე აბესაძე იბარებს მათ და უშვერი სიტყვებით ისტუმრებს.

მიშა ნოცუბიძე.

— ცოლ-შვილს მხეცურად ეპყრობა. ტყიბულის ნაღის მე-5 სასონტალოში ნაღის თავადი არის ვინმე ვარლამ დევდარიანი, რომელიც მხეცურად ეპყრობა თავის ცოლს და შვილებს. სახლში ბრუნდება ყოველ დღე მთვრალი. მიუვარდება ცოლს, აგლეჯს თმებს,—დაათრევს თმით. შემდეგ დაერევა ბავშვებს და უარეს დღეს აყენებს. მათი ტანჯვა-ცრემლით და წივილ-კივილით შეწუხებულნი არიან მეზობლებიც.

მოუღეთ ბოლო ამ მხეც-ადამიანის თავგასულობას!

მუშა ტყიბულელი.

— საჭიროა კედლის გაზეთი. ყველამ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კედლის გაზეთს. სამწუხაროდ, სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს გაზეთი არ არსებობს.

ადგილკომო, შენ გევალება დაარსო ეს გაზეთი.

მუშკ. შალი.

რა ხდება „კოოპერატივ“ მდელოსში

(პასუხი)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა თბილისის განაპირა სოფლების გლეხ-მებოსტნე-მებაღეთა „მდელოსი“ დაარსდა 1924 წელში ხსენებული გლეხ-მშრომელების ბაყალ-წურბლებისაგან დასახსნელად. ამ მოსაზრებით თბილისის 4 ადგილას გაიხსნა გამსაღებელი პუნქტები, სადაც მებაღე-მებოსტნეთ მოაქვთ გასასაღებლად თავისი ნაწარმოები. მებოსტნე-მებაღეების ნაწარმოები შემოდის ხოლმე გაზაფხულიდან შემოდგომის ნახევრამდე. ნახევარი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხულის ნახევარი ე. ი. ნახევარი წელიწადი მათ ნაწარმოები არ შემოაქვთ გარდა რძისა. ამრიგად მათი შრომის ნაყოფი ატარებს სეზონურ ხასიათს და დროის მიხედვით ხან მცირდება და ხან მატულობს. ამის და მიხედვით „მდელოს“-ის მაღაზიებიც ხან სავსეა და ხან ცარიელდება და ვისაც ცოტაოდნად ესმის მებოსტნეობა-მებაღეობა თბილისის განაპირების, ვინც მართლაც „მეთვალყურე“ა, მან ეს კარგად უნდა იცოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის მაღაზიები, რომლებიც ვაჭრობენ სხვა საქონლით, როგორიცაა ხორცი, საკატლეტო, ღვეზელი და სხვ. დღესაც სავსეა და ხალხსაც ბლომად იზიდავს. ვაჭრობის ასეთ სეზონურ ხასიათზეა დამყარებული მოსამსახურეთა რაოდენობა; თუ გაზაფხულიდან საჭიროა მათი რაცხვის გამრავლება, პირიქით შემოდგომაზე იქ, სადაც 4—5 კაცი იყო, უკვე საკმარისი ხდება 1—2 კაცი. სამწუხაროდ „მეთვალყურის“ შეგნებამდე ამას ვერ მიუღწევია და ძალიან გაკვირვებულია, რომ გამგეობამ ეხლა შემოდგომაზე მოსამსახურეთა რიცხვი შეამოკლა. ვერ გაუგია მას ისიც, რომ წელს საქონლის შემცირება დამოკიდებული იყო სუსხიან ზამთარზე და გვალვიან ზაფხულზე. მართლაც, რომ განსაცვიფრებელია, როდესაც ამდენად დაკვირვებული „მეთვალყურე“ ბუნების მოვლენების მიზეზებით გამოწვეულ საქონლის შემცირების ბრალს სდებს კოოპერატივის გამგეობას. „მეთვალყურეს“ ისიც აკვირვებს, რომ გამგეობას სურს ხარჯების შემოკლება და თანაც ავტომობილის შეძენაზე ფიქრობს. აქ ის პირდაპირ მალავს, რომ განზრახულია შეძენა მსუბუქი სატვირთო ავტომობილისა, რომელმაც ამხანაგობის სოფლებიდან, დიღმელ და დელისელ წევრებისაგან უნდა ჩამოზიდოს რძე და სხვ. „მეთვალყურე“-ს წერილის მიხედვით კი შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ გამგეობა იძენს სამგზავრო საპარადო ავტომობილს.

ყველამ, ვინც ცოტაოდნათ მაინც იცის „მდელოსი“-ს საქმიანობა, ისიც კარგად იცის, რომ გამგეობაში ყოველი წვრიმალი საკითხის გადაწყვეტაც კი კოლეგიალურად ხდება, არავინ არ ეწევა უზურპატორობას და არც ამხ. კ. გარაყანიძეს აქვს ამის საშუალება. მეთვალყურე სტყუის, როცა ამბობს, 26 კაცი უკეთესი მოსამსახურეთაგანი დაითხოვეს და სამი ახალი მიიღესო. ის განგებ მალავს, რომ მიღებულ სამ კაცში ერთი ბუღალტერია, ერთი გამოცდილი ინსტრუქტორი კონტროლიორი და ერთიც თავისი დარგის სპეცი. დათხოვნილებში ვერც ერთი ვერ შესძლებდა ამ პირთა მოვალეობის შესრულებას. ერთად ერთი, რაც შედარებით სამართლიანია—არის მისი ნათქვამი მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ; მართლაც იყო შემთხვევები, როდესაც სუსხიანი ზამთრით და გვალვიანი ზაფხულით გაჭირვებულ წევრთა მეურნეობას ესაჭიროებოდა სურსათი და ხმარება, გამგეობაც ყველას შველოდა შეძლების დაგვარად და ამის გამო ზოგიერთ შემთხვევებში ფერხდებოდა ჯამაგირების გაცემის საქმე, მაგრამ ეხლა საკითხი მოგვარებულია.

„უახლოეს ხანში საჭიროა მოხდეს რევიზია“—ამბობს „მეთვალყურე“. ნეთუ მან არ იცის, რომ იყო რევიზია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა წარმოკავშირის, ცეკავშირის, მუშგლეხინის და ცეკას კოოპერატიული ცენტრის და პრესის წარმომადგენელი. ამ რევიზიამ აღიარა, რომ საქმე კარგად არის დაყენებული და მადლობაც გამოუცხადა გამგეობას საქმიანობისათვის.

გარდა ამისა სულ ერთი თვეა, რაც „მდელოსი“-ს გამგეობამ სთხოვა წარმოკავშირს მოახდინოს კოოპერატივის რევიზია.

ჩვენ ვფიქრობთ, კოოპერატივ „მდელოსს“ არაფერი აქვს დასამალავი და ყველას, ვისაც სურს, შეუძლია მობრძანდეს და გაიცნოს მისი საქმიანობა.

ჩვენის აზრით, „მეთვალყურე“-ის წერილში გაბნეული სხვა წვრიმალი მაგალითები აღარ საჭიროებენ განმარტებას.*)

კოოპ. ამხ. „მდელოსი“-ს თავმჯდომარე ბ. დუმბაძე.

---

*) საუკეთესო განმარტება იქნება შედეგები იმ რევიზიისა, რომელიც, ჩვენი ცნობით, განზრახულია ამ დღეებში. ჩვენც ამ რევიზიას მოვუცდით.

რედ.

წერილები პროვინციიდან

წარმოკავშირის მდგომარეობა გურიაში

ამ რამდენიმე ხნის წინათ გურიის კომიტეტთან არსებულ საკოოპერაციო კომისიამ მოიწვია საკრედიტო ამხანაგობებისა და წარმოკავშირის წარმომადგენელთა თათბირი.

გამოცხადდა 6 საკრ. ამხ-ბის წარმომადგენელი.

ადგილებიდან მოხსენებებმა გამოარკვია, რომ ღარიბი მოსახლეობა სესხს ვერ ღებულობდა; სესხით სარგებლობდა მხოლოდ ის, ვისაც საშუალება ჰქონდა საწევრო და საპაიოს შემოტანის; სარგებლობდენ უფრო შეძლებულები და მოსამსახურეები. ამას ამტკიცებს ოზურგეთის საკრ. ამხ-ბის წარმომადგენელის მოხსენება, რომელიც ამბობს შემდეგს: ჩვენთან სესხის მისაღებათ მოვიდა გლეხი მიხაკო ცეცხლაძე; ჩვენ მას თავდები მოვსთხოვეთ, რადგან ის ღარიბი იყო; თავდები მან ვერ იშოვა და სესხი ისე არ მივეცითო; რომ მოსამსახურეები უპირატესობით სარგებლობდენ, ამას ადასტურებს წაგომრის საკრ. ამხ-ბის გამგეობის და ოზურგეთის საკრ. ამხ-ბის გამგეობის მუშაობაც.

არის კიდევ ერთი გარემოება: ამხ-ბებში უმთავრესად წევრებად ირიცხებიან იმ თემის მცხოვრებნი, სადაც ამხ-ბაა დაარსებული, მასში შემავალი თემების მოსახლეობა კი თითქმის სავსებით მოკლებულია სესხს.

წარმოკავშირიდან დაესწრო ამხ. მელიმონაძე, რომლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წარმოკავშირი და საკრედიტო ამხ-ბები ერთი მეორეს ხელს უშლიან მუშაობაში, ითავისებენ ერთიმეორის ფუნქციებს და სხ.

დასასრულ თათბირმა საჭიროდ აღიარა ოზურგეთში დაარსებულ იქნეს საქართველოს საკრ. ამხ-ბის განყოფილება და სთხოვა საკოოპერაციო კომისიას აღძრას შუამდგომლობა ასეთის დაარსების შესახებ.

ქ. უჯმაჯურიძე.

ხანძარი ბაკურიანის სატყეოში

არაფერს არ შეუძლია მიაყენოს ტყეებს იმდენი ზარალი, რამდენიც ხანძარს. ყოველწლიურად ხანძრის გამო ხელიდან გვეცლება ათასი დესეტინობით მშვენიერი ტყეები.

ხანძრის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები, მაგრამ საჭიროა, რომ გლეხების ფართო წრეებმაც მიიღონ ამ საქმეში მონაწილეობა.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი გლეხი ტყის ხანძარში ვერ ხედავს ვერავითარ ბოროტებას. პირიქით, დიდ სიამოვნებას განიცდის, როცა ცამდე ატყორცნილ ფიჭვისა და ნაძვის ხეები ცეცხლის ალშია გახვეული და საბოლოოდ ილუპება. გლეხები დარწმუნებულია, რომ ნარუჯ ხე-ტყეს მიიღებენ და არ მოუხდებათ თითო-ოროლა ხის შეგროვება სხვადასხვა ადგილებიდან. ეს მართლაც ასე ხდება. ნახანძრ ხე-ტყეს, რომ არ დაუკარგოს ფასი, და აგრეთვე რომ არ გავრცელდეს ქერქის მჭამელა ჭიები, სატყეო ადმინისტრაცია აძლევს იმავე რაიონის მცხოვრებს სადაც ცეცხლი ჩნდება. ამით წაქეზებული გლეხები, სისტემატიურად განაგრძობენ ტყეში ცეცხლის გაჩენას. სექტემბრის შუა რიცხვებში ბაკურიანის სატყეოს მე-93 კვარტალში ვილაც ბოროტ მოქმედებმა გაუჩინეს ცეცხლი და რამდენიმე ათეული დესეტინა ნორჩი-მოზარდი საბოლოოდ გაანადგურეს.

ერთი კვირის მუშაობის შემდეგ, ჩვენ ის იყო ვბრუნდებოდით სადარაჯოებზე, რომ მოულოდნელად ავარდა ცეცხლის ალი, სოფელ მაჰარწყლის გასწვრივ მშვენიერ დაბურულ ტყეში ექვსს სხვადასხვა ადგილს.

ჩვენ დაღლილ დაქანცულებმა მივმართეთ ადგილობრივ საბჭოს წევრს გამოეყვანა ხალხი და აღმოეჩინა ჩვენთვის დახმარება ცეცხლის ჩაქრობაში. 'საუბედუროთ საბჭოს წევრმა არა თუ მოგვეხმარა, არამედ სხვა გლეხებიც წაიყვანა და გაიპარა ულელტეხილზე—თავის თივის შესაგროვებლად.

მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ წლობით უჩნდება ტყეს ცეცხლი ამა თუ იმ სატყეოში, დღემდე არ მიგვიღია ისეთი შემთხვევა, რომ ბოროტმოქმედი აღმოჩენილიყოს.

საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო განზრახ ტყის ცეცხლის წაკიდებას.

ზ. ტაბატაძე.

მისაბაძი მაგალითი

მეჯვრისხევის „ემოსმა“ „ალორძინებამ“ მოაწყო მოძრავი კოოპერატივი ტაჩკებზე. დილით ადრე სპეციალურად დაქირავებული დამტარებლები გაუდგებიან სოფლებს, პირველ მოთხოვნილების საქონლით დატვირთულნი. სოფელი ძლიერ ეტანება ამ მოძრავ კოოპერატივებს. გლეხს თუ ვინიცობაა ფული არა აქვს, კოოპერატივი საქონელს უცვლის მათ ნაწარმოებზე. აგრეთვე კოოპერატივი იძენს ფულადაც გლეხურ ნაწარმოებს. გამოკრულია განცხადებები მთელ სოფლებში, თუ რა ნაწარმოებს და როგორ ფასებში ყიდულობს კოოპერატივი მაგ. სოფელში, ბილში ქარისაგან ჩამოცვივნულ ხილს დედა-კაცები საქონელს აჭმევდენ, კოოპერატივმა კი ამ ხილს ბაზარი უშოვნა და მისგან გაკეთებულ ჩირში 3 მან. და 50 კაპ. აძლევს ფუთში. გლეხობა ასეთი კოოპერატივით ძლიერ კმაყოფილია. სხვა კოოპერატივებმა უნდა მიბაძონ მეჯვრისხევის „ემოსს“.

ქ. მგ—ხძე.

ნუ ანადგურებთ ტყეს.

ხშირათ ჩვენ ბრალს ვსდებთ გლეხებს ტყის განადგურებაში, მაგრამ ბრალი ჩვენც მიგვიძღვის. მაგ. ატენის ხეობის გლეხები კრებებზე ასე აცხადებდენ: „დადიან ჩვენში მოიჯარადრეები და მთავრობის ნებართვით ტყეს სრულიად გვინადგურებენო, ჩვენ კი ლამის არის მდინარე ტანამ სახლ-კარიანათ წაგვიღოსო.“ მართლაც როდესღაც მშვენიერი, განთქმული ატენის ხეობა დღეს უდაბნოს მოგაგონებთ. ისე გაივლით 42 ვერსს ქ. გორიდან, რომ მარჯვენა მხარეზე ერთის ხეს ველარ ნახავთ, არც ახალი ამოსულა. ამჟამათ მართლაც ყოფილან ვილაც მოიჯარადრეები და რაც მარცხენა მხარეზე ტყე დარჩენილა სრულიად ანადგურებენ. ყოველივე ამის შემდეგ ის ხდება, რომ სოფ. ატენის და ხიდისთავის განთქმული ბაღ-ვენახები ყოველწლიურათ მდინარეს მიაქვს. თუ ასე გაგრძელდა ტყის განადგურება, ამ ორ სოფელს ცოტა ხანში აუცილებლათ წაღეკავს მდინარე. დროა მოიჯარადრეების თარეშს ბოლო მოუღოთ. თავის მხრივ ატენის ხეობის გლეხები მთავრობის წინაშე ფიცს სდებენ, რომ ტყე შეინახონ ორი თვალივით.

ქ. მგ—ძე.

წერილებიდან

გააკეთეთ ხიდი

კახეთში, მდ. ალაზანს გაღმა მდებარე სოფლები ყოველმხრივ მდიდარია. მაგრამ ამ მდიდარ სოფლებს არ აქვს ხეირიანი გზა. გლეხებს საშუალება არ აქვთ გაიტანონ თავისი ნაწარმოები ბაზარზე და გაყიდონ. ამით სარგებლობენ ჩარჩები და ტყავს აძრობენ, ამიტომ საჭიროა პირველათ ყოვლისა გზის გაყვანა და ალაზანზე ხიდის გაკეთება. თუ მეთაურობას იკისრებს ადგილობრივი აღმასკომი გლეხები ყველაფერში დახმარებას გაუწევენ და ხიდიც იოლათ გაკეთდება.

ალაზნელი.

გაგვიხსენით სკოლა

ძამის ხეობაში (გორის მაზრა) რამდენიმე სოფელია რომ სკოლა არაა. ამიტომ აქ გლეხების შვილები სკოლას გარეთ რჩებიან. ამ სოფლებში ვერ ნახავთ წერა-კითხვის მცოდნეებს. არის რამდენიმე წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ იმათ წითელ ჯარში ყოფნის დროს შეუსწავლიათ წერა-კითხვა. გორის მაზრის განათლების ინსპექციამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და გახსნას სკოლა, რომ მოზარდი თაობა უსწავლელი არ დარჩეს. ადგილობრივი გლეხები შეძლებისადაგვარათ დაეხმარება.

ვ. ძამელი.

რა მოხდა 15 სექტემბერს სოფ. ოყურეშში? (ლეჩხუმის მაზრა)

15 სექტემბერს სოფ. ოყურეშის მცხოვრებლებმა იციან საეკლესიო დღესასწაული. ამ დღის სათანადოთ შესახვედრათ გლეხი არაფერს არ ზოგავს, რამდენიმე თვის წინ იწყებს მზადებას და თუ რამე აქვს ყველაფერს ამ დღისთვის ინახავს. გლეხს არ უნდა შერცხვეს სტუმართან და ამიტომ თვითონ იკლებს სასმელ-საჭმელს და სადღესასწაულოთ ინახავს. დღესასწაულის დღეს კი ყველაფერი ბლომათ აქვს და სტუმარიც და მასპინძელიც კმაყოფილი და მხიარულია. რაც კი წლის განმავლობაში მოუწევია გლეხს ამ დღეს თავდება. არა ერთი და ორი [illegible] გლეხი [illegible] ამ დღესასწაულებს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ხშირია კაცის მკვლელობა. მაგალითად 15 სექტემბერს ლეჩხუმში, სოფელ ოყურეშში დღესასწაულზე ერთი სტუმართაგანი დანით მოკლეს, მეორე სასიკვდილოთ დასჭრეს, მესამე ყანწით გადაუარდა, მეთოხეს სახლი დაეწვა და სხვ. რამდენს თავი გაუტეხეს და გალახეს ამას ვინ მოსთვლის. აი, რა მოაქვს საეკლესიო დღესასწაულებს სოფლისთვის.

ქ. კინჩხელი.

წყალი გამოგვიყვანეთ. სოფ. ალი (გორის მაზრა)

ალი დიდი სოფელია. დღემდი იქაურ მცხოვრებლებს სასმელი წყალი არ ქონდათ. ხმარობდენ ჭაობიან წყალს. ეს ავრცელებდა ავადმყოფობას. ერთი წელიწადი იქნება, რაც სათემო აღმასკომმა ითავა წყაროს გამოყვანა 600 საჟენის მანძილიდან. ამაზე ჯერ-ჯერობით დაიხარჯა 8 ათასი მანეთი. წყარო გამოყავთ რკინის მილებით და 7 კრანით დააკმაყოფილებს 7 უბანს.

ქ. მგ—ძე.

ს. ქილოზანი (სენაკ. მ.)

შეუპოვარი ბაგრატი. ჩვენს თემში, არის ერთი თავხედი ბაგრატ ნიკურაძე, რომელიც არც ხალხს ეპუება და არც მთავრობას. ამას წინად ნიკურაძე ღამით თავს დაესხა მოკვლის მიზნით ზურაბ ზამთარაძეს. ატეხილ ყვირილზე ზამთარაძეს მოეშველა ჯერ ძაღლები და შემდეგ შვილი, რომელმაც გამოქცეულ ბაგრატს ცოცხალ-მკვდარი მამა ძლივს გააგდებინა ხელიდან. თუ თემის მთავრობა უძლურია მასთან ბრძოლაში, მაზრა რატომ არ მიიღებს ზომებს?

ცქმიტი.

სოფლის ქრონიკა

— აგურის ქარხანა. სოფ. მუგეულში შეუდგენ აგურის ქარხნის აგებას.

— რადიო ონში. რაჭის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს სათანადო თანხა ონში რადიოსადგურის მოსაწყობად.

— საბავშვო სახლი. შორაპნის სამაზრო აღმასკომმა საჩხერის საბავშვო სახლს გადასცა ახალი შენობა.

— ახალციხის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გადაიტანოს მუზეუმი ახალ შენობაში და მასში თავი მოუყაროს მაზრაში არსებულ ისტორიულ მნიშვნელობის ნივთებს.

— საბინაო ამხ-ბა. გორში დაარსდა საბინაო კოოპერატიული მშენებლობის ახალი ამხ-ბა.

— მიმღები პუნქტი. რაჭის აღმასკომის დადგენილებით ქვემო-რაჭის სოფლებისათვის სამხედრო საკრებულო პუნქტად დანიშნულია სოფ. ამბროლაური.

— ფოთში ამ დღეებში გაიხსნება ურთიერთ ნდობის საზ-ბა.

— საექიმო სადგური. ს. ნაგომარში (გურია) დაარსდა საექიმო სადგური.

— გორის მაზრაში დიდი მოთხოვნილებაა საქონლის საკვებზე.

— აჭარის მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა გასასაღებლად დაამზადა 100 ათასი გირვანქა ჩაი.

— ტყე გლეხებს. თელავის მაზრის გლეხებს გადაეცა ტყე.

— ბორჩალოს აღმასკომი შეუდგა მაზრაში ტყეების გაშენებას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ქალაქ თბილისის ყველა გაზეთების მუშკორების და კედლის გაზეთების კორესპონდენტების საერთო საქალაქო კრება.

ამხ. ყუფულაშვილის მოხსენება: მუშკორები და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილკომების არჩევნები.

სასურველია მუშკორების გამოცხადება.

თბილისის კომიტეტის მდივანი:—ახრიბეკოვი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 16 ოქტომბერს

მორიგ პარტიულ დღეს

საკითხები წამოაყენონ თვით რაიკომებმა და უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი:—ახრიბეკოვი.

— საქ. ახ. ლენ. კომუნისტური კავშირის სახ. უნივერსიტეტის უჯრედების ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 13 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, შესდგება კომკავშირის სახ. უნ. უჯრედების ღია კრება. ევალება ყველა ამხანაგებს, გამოცხადდენ აღნიშნულ დროს უნივერსიტეტის შენობაში.

ბიურო-კოლექტივი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპრო[illegible] განყოფილება იწვევს დღეს დღის, 1 საათზე ამხ. სუტირინს, პიასეცკის, რა[illegible] ტატულოვს, და ადამიანს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის პოლიტგანათლების [illegible]მის დაყენების საკითხის განსახილველად.

— მე-2 საარტილერიო ლეგიონის ბ/კ. ამით აცხადებს, მეორე რაიონის პარტკონფერენციის დელეგატების საყურადღებოდ რომელნიც იქნენ არჩეულნი ლეგიონის საერთო პარტიულ კრებაზე, რომ კონფერენცია დაიწყება 13 ოქტომბერს, რისთვისაც დელეგატებმა უნდა შემოიარონ აღნიშნულ ლეგიონში (კამოს ქუჩა № 26) მანდატების მისაღებად.

არტ-ლეგიონის ბიურო-კოლექტივი.

სია

იმ ამხანაგებისა, რომლებიც მოწვეულნი არიან კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე.

1. ზამანოვი, 2. დავტიანი, 3. ლალიევი, 4. გრიგორიანი, 5. კაკაბაძე, 6. კუშნარევი, 7. მურადოვი, 8. იაკობაშვილი, 9. გოფმანი, 10. ურთმელაძე, 11. ტერეტიანი, 12. მიშველიძე, 13. კაზარიანი, 14. ცანცაძე, 15. ენუქიძე, 16. ჩხაიძე, 17. რუხაძე, 18. მაისაშვილი, 19. ოქშიაშვილი ა., 20. დეკანოზიშვილი გ., 21. არჯევანიძე შ., 22. დავლიანიძე ი., 23. ნატროშვილი რ., 24. ლოლიძე.

— ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, მოწვეულია

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის თათბირი

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების გამოცხადება:

ფანცულაია (1 რაიკომი), წითლიძე (მე-2-ე რაიკომი), ფირალოვი (მე-3-ე რაიკომი), აკოპოვი სტ. (მე-4-ე რაიკომი), მარკმანი და მაჩაიძე (საქ. პროფსაბჭო), ბლიუმზაკი (კავ. წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამდივნ.), ბლუაშვილი (ქართული დივიზიის პოლიტ-განყოფილება) გობეჩია და გეგეჭკორი (კომკავშირი).

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

— ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 14 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, შესდგება კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა. წინადადება ეძლევათ საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრებს და ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დაუგვიანებლად.

იმ კანდიდატების სია, რომლებიც გამოწვეული არიან საორგანიზაციო კოლეგიის სხდომაზე დასამტკიცებლად:

1. პოლოსოვი, 2. ფირცხალავა, 3. ფილიპოვი მარიამ, 4. ჯანაშია, 5. ალიხვაშვილი, 6. მისკინი სურენ, 7. სუხანსკი ვლადიმერ, 8. მზეიძე ქსენია, 9. ჩანქოშვილი სიმონ, 10. ანანოვი კეროპ, 11. არტემიევი რუბენ, 12. შმულევიჩი მიშა, 13. ამირჯანოვი არმენ, 14. ფელისტაკი, 15. მარგიევი, 16. ლინოვი ჩიკა, 17. კვეცინაძე, 18. კაჩიანი შოთა, 19. გრომოვი გრიგ. 20. გვინეპაძე, 21. მატერიანი, 22. სკორუბსკაია, 23. ჩურუხაძე, 24. ქორიძე, 25. გარეჩილაძე, 26. ნიკოლაევა, 27. გუსევი, 28. სტეპანოვა, 29. შიშოვი, 30. სარიჩევი, 31. პეტროვა, 32. ედაშენკო, 33. დარევსკაია, 34. დიაკონოვი, 35. დროზდოვი, 36. მირკოტენკო, 37. პეტეც, 38. ნიკობაძე, 39. ტიატრაშვილი, 40. სიროვა ოლღა, 41. ცოხოვა, 42. კალინინი, 43. ობიდნიანი, 44. ადამჯანოვი, 45. დემენტიევი, 46. ოვანესოვი, 47. ბერკოვიჩი, 48. სტეპანიანი, 49. მანუკოვი. 50. სტეპანიანი, 51. ცინკლანაძე, 52. შნეიდერი ბორის, 53. ტატიშვილი, 54. ხუსუნაშვილი, 55. სულიევა, 56. გოლიაშვილი, 57. წვერავა, 58. პარაშანოვი, 59. ტრუკოვი. 60. შამილაძე. 61. გრიგორიანი, 62. იბილჩიკ, 63. ივიანი არმენ, 64. გევონდიანი, 65. ხაჩატურიანი, 66. მარკაროვი, 67. ტროტკოვი, 68. გოგინაშვილი, 69 არჩვაძე, 70. მარგველაშვილი.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი: [illegible]

— საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს მოხსნან რაიკომებს აღრიცხვიდან ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის წევრები და კანდიდატები ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და მიამაგრონ ქალაქის რაიკომზე სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის უჯრედზე მისამაგრებლად.

1. აჯიმამუდოვი სერგო გერასიმეს ძე, 2. არაქელოვი მიხეილ კონის ძე, 3. ალშიბაია კონსტანტინე იაკობის ძე, 4. კალიევი სოლომონ მიხეილის ძე, 5. ერმოლოვი გიორგი ალექსის ძე. 6. კოზაჩენკო ბორის გიორგის ძე, 7. ქარუმიძე ბორის ვახტანგის ძე, 8. კოტელნიკოვი ალექსანდრე ალექსის ძე. 9. მატიუხოვი ალექსანდრე სტეფანეს ძე, 10. მორმიშევი პავლე ვასილის ძე, 11. მიხაილოვი კონსტანტინე ილიას ძე, 12. მაიოანოვსკი ემილ [illegible]ს ძე, 13. პშენიჩნი ნიკოლოზ ნიკოლოზიძე, 14. პერევუშინი პავლე ვასილისძე, 15. სიხარულიძე ავთანდილ ნიკიფორის ძე, 16. ტრიფონოვი პეტრე ვასილის ძე, 17 ფინაროვი აშოტ ტევოსისძე, 18. ცატუროვი კარაპეტ მიკირტუმის ძე, 19. ჩაჩაპინი არშავირი გრიგოლის ძე, 20. ჩარდაცკი იური პეტრეს ძე, 21. ჩაჩალი ნიკოლოზ ირემის ძე, 22. ჩერევატოვი ტიმოთე ივანეს ძე, 23. ავრიანცი რობენ ოვანესის ძე, 24. ბელიაევი ალექსანდრე ლეონიდის ძე, 25. ბოლოტოვი პავლე გიორგის ძე, 26. ზარიანი ერანოს სტეფანეს ძე, 27. ვოშჩინსკი ივანე კაზიმირის ძე, 28. მოსენკიანი დამიანთი ივანეს ასული, 29. კანანიანი აიკანუშ აკოპის ასული, 30. კოზერია ვლადიმერ ნესტორის ძე, 31. კოლტამოვა მარიამ გიორგის ასული, 32. მაიოიანც სარქის მანუჩარის ძე, 33. მურუზოვა სოფიო ვართანის ასული, 34. მაჭუტაძე დანიელ დიმიტრის ძე, 35. მიკირტუმიანცი ერვან კარაპეტის ძე, 36. პაპუნოვი გიორგი კონსტანტინეს ძე, 37. ფალკოვიჩი ანა იაკობის ასული, 38. ასათიანი ევგენია ირაკლის ასული, 39. ზონდარენკო მიხეილ პროკოფის ძე, 40. გრიუდახინა სერაფიმა მიხეილის ასული, 41. ვინოვი ანატოლი ვასილის ძე, 42. კასუმბეკოვა ნორა ხალილის ასული, 43. ლაბარტყავა ბიქტორ ილიას ძე, 44 პერიხანიანი თამარა სედრაკის ასული, 45. პეტერსენი პეტრე პავლეს ძე, 46. სტოლიპინი ნიკოლოზ კლავდის ძე, 47. ტომაევი პავლე იოსების ძე, 48. ხიზანოვი ბორის ივანეს ძე, 49 ვერტოუსოვი ანატოლი პეტრეს ძე, 50. ძუზაევი ვლადიმერ ბორისის ძე, 51. ინოეკიანი ვასილ, 52. მელკუმიანი თამარა არკადის ასული, 53. სააკჩიანი ასმიკ კარაპეტის ასული და 54. ხარინა ელენე ნიკოლოზის ასული.

საქ. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მდივანი:
გობეჩია.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 13 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში.

მე-4-ე რაიკომიდან:

1) დუთაევი არტემ—უჯ. № 17, 2) ლაგვილავა ტარასი—უჯ. № 28. 3) ლომაძე ალექსი—უჯ. № 8 4) ქუმსიაშვილი ალექსანდრე—უჯ. № 31, 5) რაზმაძე ანტონ—უჯ. № 31, 6) დევიძე ვენიამინ—უჯ. № 32, 7) ლეჟავა ვარლამ უჯ. № 32, 8) ბაზინჯაგიანი—უჯ. № 34, 9) კორინთელი ნესტორ უჯ. № 34, 10) მამრაძე ვლადიმერ—უჯ. № 34. 11) გვარამია ვიქტორ—უჯ. № 35, 12) ენუქიძე გრიგოლ—უჯ. № 35, 13) თაყაიშვილი ალექსანდრე—უჯ. № 35. 14) გვალია კლიმენტი—უჯ. № 36, 15) ჩხარტიშვილი კირილე—უჯ. № 36, 16) გვანცელაძე ნიკოლოზ—უჯ. № 37, 17 გულბანი სიმონ—უჯ. № 56, 18) ყურაშვილი ონისიმე—უჯ. № 38, 19. კოპალეიშვილი ნიკოლოზ—უჯ. № 23, 20. მაქაცარია არსენ—უჯ. № 23, 21. ფანცულაია ვასო—უჯ. № 28, 22. ხომუა პიმენ—უჯ. № 28, 23. წულაძე გიორგი—უჯ. № 36, 24. მამულაშვილი—უჯ. № 28, 25. ჭანიზე ლი—უჯ. № 44, 26. კვაჭაძე—უჯ. № 41, 27) კეჭეყმაძე—უჯ. № 23, 28. ლეკიშვილი—უჯ. № 37.

მე-3-ე რაიკომიდან

1. გულულოვი ამბარცუმ—უჯ. № 1, 2. ალაკბერ-ალი-მამედ-ზადე უჯ. № 31, 3. მესხი ვასილ—უჯ. № 28, 4. პერჩიანი ტოროს—უჯ № 17, 5. ნოვროზოვი ოვანეს—უჯ. № 7, 6. ცანავა ონისიმე—უჯ. № 17, 7. იუზბაშევი აშრაფ—უჯ. № 5.

მე-2-ე რაიკომიდან:

1) ასტვაცატუროვი ვარშამ—უჯ. № 36, 2) აზნაღლევიჩი იოსებ—უჯ. № 3, 3) ბერძნიშვილი პროკოფი—უჯ. № 18, 4) გვინჯაძე ვლადიმერ—უჯ. № 27, 5) ღლონტი ნიკოლოზ—უჯ. № 5, 6) ჯანაშია ვ.—უჯ. № 17, 7) ზამბახიძე ნოე—უჯ № 38, 8) ქავთარია ლეონტი—უჯ. № 3. 9) ქიტიაშვილი ნიკოლოზ—უჯ. № 9, 10) ლობჟანიძე სიმონ—უჯ. № 17, 11) მჭედლიძე მიხეილ—უჯ. № 35, 12) ნადარეიშვილი ვიქტორ—უჯ. № 27, 13) სარქისოვი აშოტ—უჯ. № 32. 14) სიკინჩილაშვილი არტემ—უჯ. № 17, 15) ჩიქლაძე ლიუდი—უჯ. № 28, 16) ხოდშიაბოროუხოვი მ.—უჯ. № 34.

სავალდებულოა ყველა ამხანაგების გამოცხადება.

განცხადებანი

დიდი ხნის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ახუთში (ზუგდიდის მ.) 1925 წ. 7 ოქტომბერს გარდაიცვალა

ელისაბედი ვახტანგის ასული

ჯაიანისა

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი შვილები: გრიშა, იასონი, სევერიანე და ამბროსი ჯაიანები ქალიშვილები: არიადნა და დომნიკა და რძალი ლილი ჯაიანისანნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გასვენება და დაკრძალვა მოხდება ზემოთხსენებულ სოფლის გოგოლეთის სასაფლაოზე ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზე.

1-1 140

ოპერა — სახელმწიფო — სეზონი — თეატრი

ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს 1925 წ.

სეზონის გახსნა

ტ. ვ. ბაქოვას პირველი გამოსვლა

აბესალომ და ეთერი

პარასკევს, 16 ოქტომბერს 1925 წ.

ბანკრატოვას, ბოროვკინას და კიპარენკო-დამანსკის პირველი გამოსვლისათვის

აიდა

ნ. 53—2—2

ბილეთები იყიდება.

განათლების სახ. კომისარიატის

სახელმწიფო საბუღალტრო კურსები № 2

იოსებ გიორგის ძე ავალიშვილის

ხელმძღვანელობით აცხადებს,

რომ **განახლდა** თხოვნების მიღება ჯგუფებში ჩასაწერად

გამგის ბინა: დუშეთის ქ. № 19, საღამ. 5 საათ.

კურსებისა: დავიდოვის ქ. № 25.

იყიდება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამოცემანი:

პ. ლანდია—„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო“ ინჟ. ვ. კაკაბაძის რედაქციით, ფასი 2 მან.

ინჟ. ვ. კაკაბაძე—„შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“, ფასი . . . . 40 კაპ.

ინჟ. ზ. ჭიჭინაძე—„პრაქტიკული ჰიდრავლიკა“, ფასი . 40 „

ინჟ. ვ. კაკაბაძე—„ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა“, ფასი . . . . 40 „

„ „საქარ. ბუნებრივი სიმდიდრენი“, ფასი 40 „

„ „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება“ (ამ დღეებში გამოვა).

მისამართი: მთავარი საწყობი, თბ. ინდუსტრიალური ტეხნიკუმი, კამოს ქ., № 70, ტელ. 10—43.

ამხ—ბა „სორაპნის“, წიგნის მაღაზიაში, გაორგუევის ქ., № 5 ღარაბა 1113.

წიგნის მაღ. „განათლება“, ლენინის ქ., № 6.

„წერაკითხვის“ წიგნ. მაღაზიაში (რუსთაველის პრ. № 11).

139—2—2

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

14—10

დაიბეჭდა **ნ. ნიკოლაძის** ბროშიურა:

К истории грузинской Марганцепромышленности

(Как построилась чиатурская ветвь?)

ფასი 50 კაპ. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში; მთავარი საწყობი: ამხ. „ქართული წიგნის“ მაღაზია, გიორგის ქ. № 1., ქაშუეთის პირდაპირ.

3—2 134

ა. წ. 15 ოქტომბრისათვის დანიშნული

1-ლი სრულიად საქართველოს შინამრეწველ-ხელოსანთა

ყრილობა

გადადებულია რამოდენიმე ხნით. დღე ყრილობისა გამოცხადებული იქნება.

1-1 ნ. 59.

საორგანიზაციო კომისია.

რადგან ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები, აგრეთვე ყოველი ქართველი ინტელიგენტი: დაწესებულებათა მოხელენი, ინჟინრები, ტეხნიკოსები, ექიმები, მასწავლებლები, მოწაფეები, სტუდენტები, ბუღალტრები, მთარგმნელები, მწერლები, მეცნიერები და მოღვაწენი სხვადასხვა დარგში,—დიდ გაჭირვებას განიცდიან დაწესებულებათა გაძღოლების გატარების დროს, ან სხვადასხვა თერმინების თარგმნისას, შესაფერი სიტყვარის უქონლობის გამო, ამიტომ შევუდექით გამოცემას

ფართო და სრული

პროფ. იუსტინე აბულაძის

ქართულ-რუსული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.

ქართულ-რუსული ლექსიკონი 2 ტ.—300 გვერდი.

და

რუსულ-ქართული ლექსიკონი—1 ტ.—300 გვერდი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი—2 ტ.—300 გვერდი.

წინასწარი ხელისმოწერით ოთხივე ტომი ღირს 14 მანეთი.

რადგან ქაღალდი ძალიან ძვირი ჯდება, ლექსიკონი გასასყიდათ **სრულებით არ გამოვა.** ასე, რომ ვისაც არ სურს დარჩეს უწიგნოდ, მან აუცილებლად წინასწარ ხელი უნდა მოაწეროს. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად **ორი თვის განმავლობაში,** მაგრამ პირველი ნაწილი ღირებულებისა აუცილებლად შემოტანილი უნდა იქნეს დღიდან ამ განცხადების „მოთავსებისა გაზ. „კომუნისტ“-ში ერთი თვის განმავლობაში ე. ი. 10 ნოემბრამდე. რადგან ამ ხნის განმავლობაში პირველი წიგნის ბეჭდვა დაიწყება და ტირაჟი განისაზღვრება. ლექსიკონში შევა ყველა ტერმინები, **მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერების ყველა დარგთათვის** (აგრონომიის, ანატომიის, ანტროპოლოგიის, ასტრონომიის, არხიტექტურის, ბოტანიკის, ვეტერინარიის, გეოლოგიის და მინერალოგიის, ზოოლოგიის, ხელოვნების, საინჟინერო, კრისტალოგრაფიის, ლიტერატურის, მათემატიკის, სამედიცინო, მუსიკის, მეურნეობის, პედაგოგიკის, პოლიტიკური ეკონომიის, სტატისტიკის, პსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, საფინანსო, ქიმიის, ეთნოგრაფიის, ფილოლოგიის და ყველა ამ ლ შემოღებული თერმინები როგორც **რკინის გზის ხაზზე,** ისე სხვა დარგებში).

დაწესებულებებს ჩამოივლიან გამომცემლობის წარმომადგენელნი და შეადგენენ სიას ხელისმომწერთა; ერთი წლის განმავლობაში ხელისმომწერნი მიიღებენ ოთხივე ტომს აღნიშნულ ლექსიკონისას. ლექსიკონი იქნება დიდი ფორმატისა. ლექსიკონი არის მრავალწლოვანი შრომის და გამოცდილების ნაყოფი.

მისამართი: რუსთაველის 8, საექსპედიციო კანტორა, ამ მისამართით გამოიგზავნება ფულიც.

ნ. 4 5—2.

გამომცემლობა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენის დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (შარდის და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილით 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები, მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. მარიამტინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.

25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონტი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოეს“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (შემმერის აფთიაქის პირდაპირ).

ექიმი შუხმანმა

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

1—12

ექიმი ე. ი. პალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნით (1 უბანი).

25—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

კბილის ექიმმა

ი. გ. ბაქრაძისამ

განაახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2

ს. 4—6-მდე.

ელისაბედის ქუჩა № 117.

№ 107 13—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონის, სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 19 ოქტომბერს 1925 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 კომუნალური ჩიხი. ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გუსეინ-კულის და ფატმა ბაგიროვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას. შეფასებულს 240 მანეთად, კამარ-გასან-კიზი გასანოვისა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახალხო 1-ლი საბინაო საქმეთა სასამართლოსაგან 8 სექტემბრის 1925 წ. თარიღით, № 3396 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1-1 148

2—1 ნ. 58

აპოლო [illegible]

პირველად თბილისში

„ОСОБНЯК ГОЛУБИНЫХ“

ის პირნი, რომლებიც იყიდიან ბილეთებს 1 სეანსის დაწყებამდე, იხდიან: პარტერი—35 კაპ., ამფითეატრი—25 კ., მე-IV-ე ადგილები—20 კაპ.

„კოლეჟსკი რეგისტრატორ“

მთავარ როლში—მოსკვინი. || სოლოს შეასრულებს იაშა ბროდსკი.

სეზონის საუკეთესო სურათი

„საროსკიპოში აღზრდილი“

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი რეიზნერის ხელმძღვანელობით.

ს. ს. ს. რ. ტყავტრესტი ს. ფ. ს. ს.

თბილისი, კომუნალური ქუჩა, 82, ტელეფონი 3—08 და 19—05

ამით აცხადებს, **მოქალაქეთა საყურადღებოთ**

რომ ტრესტმა მიიღო დიდძალი დამზადებული ფეხსაცმელი—ქალების და მამაკაცების, ფეხსაცმელები შეკერილია ქარხანა

„სკოროხოდ“-ში

მიღებულია აგრეთვე ტყავის სხვად სხვა დამზადებული საქონელი, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ქარხნებში გაკეთებული

გარდა ამისა მომავალ ზამთრის სეზონისათვის ტრესტის მექანიკური ქარხნის მიერ დამზადებულია დიდძალი ადგილობრივი, კავკასიური ფეხსაცმელები და აგრეთვე სხვადასხვანაირი სპეციალური მუშათა ფეხსაცმელები

ფეხსაცმელები იყიდება ტრესტის ყველა მაღაზიებში

პუშკინის ქუჩა, № 7, საფვრიშალო ხავაზრო, (ტელეფონი 8—95); ხომხის ბაზარი, № 62 (ხითუმად ვაჭრობა, ტელეფონი 12—85; ახალ ბაზარზე და დეზერტირის ბაზარზე)

აგრეთვე ახლად გახსნილ მაღაზიაში № 3, სადგურის ქუჩა, № 5

ნ. № 55—3—1

ტრესტის ცენტრალური გამგეობა

თბილისის „მოსკვოშვეი“ განყოფილება

„МОСКВОШВЕЙ“

რუსთაველის პროსპ. № 10, ტელ. 6—78.

მაღაზიები: № 1—რუსთაველის პროსპ. № 10
№ 2—მადათოვის კუნძულზე

აცხადებს ყველას საყურადღებოდ, რომ მაღაზიებში მოიპოვება შემოდგომის—ზამთრის სეზონისათვის ქალაქის მცხოვრებ მამაკაცების, ქალების და ბავშვების დიდძალი ტანსაცმელები, აგრეთვე გლეხების ტანსაცმელებიც, ჩვეულებრივი და სპეცტანსაცმელები და თეთრეულები.

თვისება და ფასები

კონკურენციის გარეშეა

გაყიდვა სახელმწიფო ორგანოებზე, კოოპერატივებზე და კერძო პირებზე, ბითუმად და ცალობით

მუშებს და მოსამსახურეებს კოლექტიურად ტანსაცმელები ეძლევათ კრედიტით. დაწესებულებების თავდებობით.

მაღაზიაში არის გამოცდილი მკერვალი-გადამკეთებელი, გაყიდულ ტანისამოსების. საჭირო შესწორება და გადაკეთება სწარმოებს უფასოდ.

2—1 ნ. 56

საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

სამთო განყოფილება

ამით აცხადებს იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც აწარმოებენ სამთო მუშაობას საქართველოს ფარგლებში, რომ

მათ 2 კვირის ვადაში აუცილებლად უნდა შეიძინონ

აღნიშნულ განყოფილებაში (თბილისი, პუშკინის ქ., № 3)

„სამთო სამუშაოების წარმოების დროს გამაფრთხილებელი ზომების მიღების წესები“

დამტკიცებული საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ 1924 წ. 25 ნოემბერს.

ვინც აღნიშნულ ვადაში არ შეიძენს აღნიშნულ წესებს, მას აეკრძალება სამთო სამუშაოების წარმოება შემდეგში.

სამთო განყოფილების უფროსი: მოდებაძე

საქმეთა მმართველი: კვესაძე

ნ. 48—3—2

გორის სამაზრო ალმასკომის სამჭედლო ქარხანა „აღორძინება“

გალანსი 1 ოქტომბრისათვის 1925 წლისა.

	აქტივი				პასივი		
1	სალარო	1.179	04	1	კაპიტალი	96.103	93
2	უძრავი ქონება	17.774	90	2	სხვადასხვა პირნი	14.586	81
3	მანქანები	86.057	—	3	გაცემული თამასუქები	6,038	30
4	ინვენტარი	19.798	05	4	მოგება 15 დეკემბ. 24 წლ.—დან.	39.774	80
5	მასალა ნედლი	3.293	87				
6	დამხმარე მასალა	1.884	96				
7	საქონელი გორის საწყობში	27.851	90				
8	საქონელი თბილისის საწყობში	7.369	04				
9	სხვადასხვა პირნი	38.423	11				
10	მიღებული თამასუქები	2,000	—				
11	ფასიანი ქაღალდები	801	—				
12	სახელდახელო ანგარიშები	70	47				
		156.508	84			156.503	84

ნის. 57. 1—1

სამჭედლო ქარხნის გამგე გ. ფილია.

ბუხჰალტერი ე. გვერდწითელი.

ექიმი გ. ა. [illegible]

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

[illegible] ქ. № 35 (ყოფ. [illegible]). 25—1

[illegible]

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ. 47.

ექიმი ა. დ. პეკალია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ.

მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

25—1

ექიმი ვ. ოსიპოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ბავშვთა სნეულებაში 4—6 საათამდე, ლენინის ქ. (ყოფ. ოლღას ქ.) № 7., ზემმელის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ზ. ა. თარუმოვი

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 13—1

პროფესორი გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58.

13—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ქ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნალო კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ე. ქ. ნ. პ. ფალავილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარი მედიკურ ანალიზების შარდის ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათმანგზე), ბურდეკოსი (ბლეფზე) და სხვა. გამოკვლევებს მიღება მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10.

2511 1—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1 2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი და პასპორტი ვასილ ბუაჩიძის სახელზე. ჩ. გ.

148 1—1

დაიკარგა მიწა წყლის კავშირის წიგნაკი № 690 ნოე დოლიძის სახელზე. ჩ. გ.

146 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 441, ერმილე კონსტანტინეს ძე ჩიხლაძის სახელზე ჩ. გ.

145 (ა) 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, გრიშა ვაგარშაკის ძე ხაზუმიანცის სახელზე ჩ. გ.

145 1—1

დაიკარგა სამხედრო-სააღრიცხო ბარათი, მარტიროს ტერ-მოვსესოვის სახელზე ჩ. გ.

144 1—1

დაიკარგა პარტბილეთი № 503 | 903 და კავშირის წიგნაკი № 965, მიხეილ მელაძის სახელზე. ჩ. გ.

141 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 1282, ფორმა № 4, ვლადიმერ ცომაიას სახელზე ჩ. გ.

142 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი № 1203, ფორმა 4, ონიფანტე კვანტალიანის სახელზე ჩ. გ.

142 1—1

დაიკარგა ამონაწერი „ვ“, რკინის გზის სამმართველოდან მოცემული № 3373, ტარასი ვარლენის ძე ნიკურაძის სახელზე ჩ. გ.

144 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი განათლების პროფკავშირის № 15234, პლატონ ანტონის ძე გოლეთიანის სახელზე ჩ. გ.

149 1—1

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამა წულუკიძის ქუჩა № 4